ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცემის 75-ე წელიწადი

№007 (12686) 13 იანვარი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




>> 16

## ახალი ფერარი

FIFA World Player 2008

# კრისტიანო და მარტა




**კრისტიანო რონალდომ** „ოქროს ბურთს" კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო დაუმატა. გუშინ ციურიხის „ოპერა ჰაუსში" პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი ფიფას 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადდა. საპატიო ტროფეი მას თვით ლეგენდარულმა **პელემ** გადასცა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ გამოკითხვაში კრისტიანო მესამე იყო.

2008 წელს რონალდომ პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა მიჯრით მოიგო, პლუს ამას, ყველა ტურნირში 42 გოლის გატანაც მოახერხა. საინტერესოა, რომ 1991 წლის შემდეგ, როცა ფიფამ ამ გამოკითხვას ჩაუყარა საფუძველი, კრისტიანო ჯილდოს მომგები პირველი პრემიერლიგელია. ამავე დროს, **ლუიშ ფიგუს** (2001) შემდეგ ის არის მეორე პორტუგალიელი, რომელსაც წილად ხვდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული. სხვათა შორის, ამ ერთი წლის განმავლობაში რონალდომ 5 სხვადასხვა ინდივიდუალური პრიზი მოიგო.

გამოკითხვაში, რომელშიც ფიფაში შემავალ ასოციაციათა ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები და კაპიტნები მონაწილეობდნენ, რონალდომ 953 ქულას მოუყარა თავი. ისევე, როგორც შარშან, მეორე ადგილზე **ლიონელ მესი** („ბარსელონა"/არგენტინა, 678 ქულა) გავიდა, ხოლო მესამეა ევროპის ჩემპიონი **ფერნანდო ტორესი** („ლივერპული"/ესპანეთი) რომელმაც 203 ქულა დააგროვა.

რაც შეეხებათ ქალ ფეხბურთელებს, მათ შორის ზედიზედ მესამედ ბრაზილიელი **მარტა** გამოარჩიეს.

## ოდიკაძე და დიორ ეგო: არის კონტრაქტი!



კონტრაქტის გაფორმების შემდეგ >> 2




## ფაჩულია სასტარტოში დაბრუნდა



## მარტო სკიტა რეალს არ ეყო

საკალათბურთო ამბები >> 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ოდიკაძე და დიორ ეტო: არის კონტრაქტი!

## რატომ თქვა უარი დინამოს ყოფილმა კაპიტანმა ყოფილ საბჭოეთზე...

გუშინ თბილისის დროით 20:00 საათზე, უნგრული კლუბის „დიორ ეტოს" ოფისში, გაცხადდა, რომ დავით ოდიკაძე კარიერას ამ კლუბში გააგრძელებს. კონტრაქტის გაფორმების ფაქტი „დიორ ეტოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა.

თბილისის „დინამოს" აწ უკვე ყოფილ კაპიტანს, 27 წლის მარჯვენა ნახევარმცველს უნგრეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა სინჯების გარეშე გაუფორმა კონტრაქტი. გუშინვე, უნგრეთში ოდიკაძის მენეჯერ გოგა გახოკიძეს დავუკავშირდით. ცნობისთვის: ეს იყო ფიფას მენეჯერ გახოკიძის პირველი ტრანსფერი და რაკი საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გეზი ევროპისკენ აიღო, ამიტომაც გვსურს, საქმის წარმატებით გაგრძელება ვუსურვოთ...



მარცხნიდან: გოგა გახოკიძე და დავით ოდიკაძე უნგრული კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად

**- გოგა, როგორც გავიგეთ, დავით ოდიკაძემ კონტრაქტი გააფორმა...**

- დიახ, დათომ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და „დიორ ეტომ" 3,5-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. იყო შეთავაზება, რომ კონტრაქტი მინიმუმ 3-წლიანი ყოფილიყო, მაგრამ ამ სეზონში კიდევ ნახევარია დარჩენილი და ესეც გადაება.

**- ეს თქვენთვის პირველი ტრანსფერია...**

- ასეა და ძალიან მიხარია, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ევროპულ კლუბში მოვაწყვე.

**- როგორც შევიტყვეთ, „დიორ ეტოში" სელექციის საკითხებს ქართველი ლაშა ოდელაძე წყვეტს. სრულიად უცნობი პიროვნებაა...**

- ლაშასთან დიდი ხანია ვმეგობრობ. ის უკვე მეცხრე წელია, „დიორ ეტოში" მუშაობს და რამდენიმე თვის წინ დამირეკა - აინტერესებდა, როგორი ფეხბურთელი იყო დათო ოდიკაძე. შემდეგ თავად დათოს დაველაპარაკე და ტრანსფერიც გამოვიდა.

**- „დიორ ეტოში" სხვა ქართველის ჩარიცხვასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- მგონი, შესაძლებელია. გააჩნია, დათო როგორ ითამაშებს... ისე, მჯერა, რომ ის თავს გამოიჩენს. „დიორ ეტომ" ზამთარში 7-8 ახალი ფეხბურთელი შეიძინა, დღეს გუნდის ვარჯიში ვნახე და ისე ჩანს, წესით, კარგი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

გახოკიძის შემდეგ, თავად ოდიკაძესაც გავესაუბრეთ:

- ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ევროპულ კლუბში მოვხვდი. დარწმუნებული ვარ, წინსვლისთვის ეს მშვენიერი შანსია. გოგა გახოკიძისა და ლაშა ოდელაძის დამსახურებაა, რომ დღეს ევროპაში ვთამაშობ და არა სხვაგან.

**- მაისურაც ხომ არ გადმოგცეს?**

- ისევე, როგორც თბილისის „დინამოში", აქაც 49-ნომრიანი მაისურის ალება მინდა, მაგრამ ჯერ არ გადმოუციათ. ეს არ არის მთავარი. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, „დიორ ეტო" ამ დონის კლუბი თუ იყო, ჩინებული ბაზა აქვს... და საერთოდ, ყველაფერი ძალიან კარგია.

**- ნალჩიკის „სპარტაკში" რომ არ წახვედი, არ ნანობ?**

- ოდნავადაც არ ვნანობ.

**- შენი აზრით, უნგრეთის ჩემპიონატიდან ეროვნულ ნაკრებში ისევ მიგიწვევენ?**

- იმიტომაც ვთქვი რუსეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გუნდებზე უარი, რომ ნაკრებში ისევ მოვხვედრილიყავი. ახლა რაღაა დასამალი - ბაქოს „ნეფთჩი", „ბაქი", კიევის „არსენალი" და ზაპოროჟიეს „მეტალურგი" მიწვევდნენ, თანაც ყველგან პირდაპირ კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ ყოფილ საბჭოეთში არ მსურდა თამაში და მათზე უარი ვთქვი.

**მერაბ მამულაშვილი**

რას წერენ ჩვენებურზე

# აიაქსმა გრიგალავას ერთი კვირა დაუმატა

## 300 ათას ევროდ შეფასებულ ქართველ მცველს, ამსტერდამელთა მწვრთნელები კარგი თვალით უყურებენ

როგორც გაუწყეთ, 19 წლის გია გრიგალავა უკვე რამდენიმე დღეა ამსტერდამში, „აიაქსის" მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. როსტოვის სკა-ს მცველმა, რომელმაც ორმაგი (საქართველოსა და რუსეთის) მოქალაქეობა აქვს, „აიაქსის" სარეზერვო გუნდის რიგებში უკვე ითამაშა. მართალია „აიაქსი 2" „ექსელსიორთან" დამარცხდა, მაგრამ გრიგალავამ მოწონება დაიმსახურა. რუსული „სოვსპორტი" ფეხბურთელს ჰოლანდიაში დაუკავშირდა. აი, გიას კომენტარიც:

*„მოხარული ვარ, რომ ჩემით ისეთი დიდი კლუბი დაინტერესდა, როგორიც „აიაქსია". მინდა, დიდი ფეხბურთი ვითამაშო. ჩემი უსაყვარლესი კლუბი „მილანია", მაგრამ „აიაქსიც" გრანდებს მიეკუთვნება. ამსტერდამში სარეზერვო გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ამპლუით მარცხენა ცენტრალური მცველი ვარ. როსტოვის სკა-სთან კიდევ ერთი წლით მაკავშირებს ხელშეკრულება. „აიაქსი" მაკვირდება და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი დავიმსახურო... რუსეთში ივანოვიჩს მადარებენ? სერბი მარჯვენა ფეხით თამაშობს, მე კი ძირითადად ცაციათი. ჩვენს შორის ეს სხვაობაა. მსგავსება კი ისაა, რომ მის დარად შეტევებში ჩართვა მეც მეხერხება".*

როგორც ირკვევა, „აიაქსმა" გრიგალავა ტესტირებაზე 12 იანვრამდე მიიწვია. გუშინ ეს ვადა ამოიწურა. აღმოჩნდა, რომ ამსტერდამელებმა სინჯების ვადის კიდევ ერთი კვირით გაგრძელება ითხოვეს.

*„გრიგალავას აშკარად ეტყობა, რომ ნიჭიერი და საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. ის ფიზიკურადაც კარგად გამოიყურება და საერთოდ, მასზე პირველი შთაბეჭდილება კარგია და დაკვირვებას ვაგრძელებთ"* - აღნიშნა „აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა **დანი ბლინდმა** „აიაქსშოუთაიმთან" საუბარში.

ვნახოთ, რა აზრისაა გია გრიგალავაზე „ექსელსიორთან" 2:3-ზე ნაგებული მატჩის შემდეგ, „აიაქსის" სარეზერვო გუნდის თავკაცი **ადრი კოსტერი:**

*„გრიგალავა ბურთს ჩინებულად ფლობს და ფიზიკური მომზადებაც ნამდვილად არ დაეწუნება. ის ჩვენთან კიდევ ერთი კვირის განმავლობაში ივარჯიშებს. სამშაბათს გრიგალავას „ლისეს" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩშიც დავაკვირდებით. ამჯერად, გვინდა, ამ ფეხბურთელის დაცვით თვისებებს კარგად დავაკვირდეთ"* - განაცხადა კოსტერმა.

„სოვსპორტის" ცნობით, გრიგალავას საკითხი მას მერე გადაწყდება, როცა „აიაქსის" მთავარი გუნდი პორტუგალიური შეკრებიდან სამშობლოში დაბრუნდება. ახალი ფეხბურთელის ტრანსფერისას მთავარი სიტყვა „აიაქსის" თავკაც **მარკო ვან ბასტენს** ეკუთვნის. პოპულარული გერმანული ვებგვერდი „ტრანსფერმარკტი" გრიგალავას სატრანსფერო ფასად 300 ათას ევროს ასახელებს.

### სპანდერაშვილი დააწინაურეს: როსტოვიდან... როსტოვში

და კიდევ ერთი ამბავი: გრიგალავას ჰოლანდიაში ყოფნისას მის ამჟამინდელ კლუბში ცვლილება მოხდა. რუსული პრესის მტკიცებით, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ პირველ დივიზიონში მოასპარეზე როსტოვის სკა-ს რუსეთის მოქალაქე ქართველი **ბადრი სპანდერაშვილი** გაწვრთნის. სპანდერაშვილი ფეხბურთელობისას გურჯაანის „ალაზანში", გორის „დილაში", როსტოვის სკა-ში, მოსკოვის „დინამოში", სტავროპოლის „დინამოში", ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცსა" და როსტოვის „როსტსელმაშში" ასპარეზობდა. ბოლოს კი რუსეთის მეორე ლიგაში მოასპარეზე როსტოვის ოლქის „ბატაისკ 2007"-ის მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლომაია: ალტახი 90 პროცენტით

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** ავსტრიულ „ალტახში" ჩაირიცხება. მას თბილისის „ლოკომოტივთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია. სამი დღეა, რაც ლომაიამ საქართველო დატოვა. ახლა ის კიევშია და ავსტრიულ ვიზას ელის. საქართველოში ავსტრიის საელჩო არ არის და გიორგისაც ამად მოუწია უკრაინაში ჩასვლა.

გუშინ ავსტრიაში შევეხმიანეთ იქაურ „შტრუმში" მოთამაშე საქართველოს ნაკრების მცველ **გიორგი შაშიაშვილს** და ლომაიას „ალტახში" გადასვლაზე ვკითხეთ.

*„ვალტერ ჰერმანი, ვინც ახლა „ალტახის" სპორტული დირექტორია, მანამდე „შტურმში" მუშაობდა ამ თანამდებობაზე და მისგან შევიტყვე, რომ „ალტახს" ლომაიას აყვანა სურს. რა თქმა უნდა, არანაირ გასინჯვაზე არ არის ლაპარაკი, კლუბში მასზე ყველაფერი იციან და ეგრევე კონტრაქტს სთავაზობენ. ჰერმანმა მითხრა, კვიპროსსა და ბულგარეთთან საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებიც ვნახეო. მოკლედ, შეიძლება ითქვას, 90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ჩვენი ნაკრების მეკარე „ალტახში" ჩაირიცხება. ალბათ გახსოვთ, რომ ლომაიას აყვანა ჩვენს გუნდსაც სურდა, მაგრამ „შტურმის" და ავსტრიის ნაკრების მეკარე კრისტიან გრაცერი მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ უკვე მომჯობინდა და ცხადია, ლომაიას მეორე მეკარედ არ აიყვანდნენ"* - გვითხრა შაშიაშვილმა.

ავსტრიის 10-გუნდიან ბუნდესლიგაში „ალტახი" ბოლო ადგილზეა და ელიტაში დარჩენისთვის იბრძვის. ეს არ არის ძალიან ღარიბი კლუბი და ბუნდესლიგაში დასარჩენად ახალ ფეხბურთელებსაც იწვევს. შეგახსენებთ, რომ ალტახელებს საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის, „ვიტ ჯორჯიის" ცენტრალური მცველის **ალექსანდრე კვახაძის** აყვანაც უნდოდათ, მაგრამ ეს ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე „ვიტ ჯორჯიაში" დარჩება.

ლომაიას აქვს დასავლეთ ევროპაში თამაშის გამოცდილება, იენის „კარლ ცაისის" კარს რიგიანად იცავდა და არ გვგონია, ავსტრიაში ადაპტაცია გაუჭირდეს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, შაშიაშვილისა და მისი შტურმელი თანაგუნდელის, **ილია კანდელაკის** შემდეგ, ლომაია მესამე ჩვენებური იქნება ახლანდელ ავსტრიულ ბუნდესლიგაში.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ნაკრები

# მორიგი სამშაბათობა გამორიცხული არ არის

## კუპერი ხვალ თბილისში იქნება

14 იანვარს ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი**, ასისტენტ **ხოსე ფანტაგუცისთან** ერთად, თბილისში დაბრუნდება. სწორედ ამ დღიდან დაიწყება მზადება ირლანდიასთან 11 თებერვლის გასვლითი შესარჩევი მატჩისთვის.



*„ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის გეგმებში ცვლილება არ მომხდარა. კუპერის ჩამოსვლისთანავე, საორგანიზაციო და ტექნიკური ნიუანსების საბოლოო გადაწყვეტაზე ვიმუშავებთ. მერე კი ნაკრების თავკაცი გაფართოებულ სიას დაამუშავებს და იმ ვარიანტზე შეჩერდება, რომელსაც ირლანდიასთან მატჩში დაეყრდნობა"* - უთხრა „ლელოს" ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ**.

მოგეხსენებათ, საქართველოში ყოფნისას კუპერი რეგულარულად ესწრებოდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს და ფეხბურთელებს აკვირდებოდა. გარდა ამისა, ეწყობოდა ეგრეთწოდებული „სამშაბათობები", რომლის დროსაც ნაკრების ნევრ-კანდიდატებს ავარჯიშებდა. თუმცა 7 თებერვლამდე ეროვნულ ჩემპიონატში პაუზაა და...

*„ჩვენი პირველობა თებერვალში განახლდება. კუპერს უკვე საკმაო წარმოდგენა აქვს საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებზე. მაგრამ თუ ნაკრების თავკაცი საჭიროდ ჩათვლის და მოხერხდება, არც ის არის გამორიცხული, რომ ირლანდიასთან მატჩამდე ერთი „სამშაბათობა" კიდევ მოაწყოს"* - აღნიშნა ქავთარაძემ.

საინტერესოა, როდის შედგება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც 21-წლამდელთა ახალ მწვრთნელად **კახა ცხადაძე** უნდა დაამტკიცოს. განიხილება ასევე 19 და 17-წლამდელთა ნაკრებების თავკაცთა მომავალიც.

*„ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი უკვე შეუდგა მუშაობას. პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიაშია და სამშობლოში ამ კვირის ბოლომდე დაბრუნდება. რაც შეეხება აღმასკომს, მორიგი სხდომა იანვრის ბოლოს გაიმართება. ზუსტი თარიღი კი ამ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი"* - ამბობს ქავთარაძე.

დავინტერესდით ნაკრებსა და სპონსორს შორის ურთიერთობითაც. ეროვნული გუნდის გენერალური სპონსორი სააქციო საზოგადოება „მადნეულია". მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოშიც არა ერთ საწარმოს შეექმნა პრობლემა. სამწუხაროდ, დეკემბერში ამ პრობლემებს ვერც „მადნეული" ასცდა. რამდენად იქონიებს ეს გავლენას ფეხბურთის ფედერაციასა და ამ კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასა თუ სპონსორულ ვალდებულებებზე? ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დაგვამშვიდა:

*„ახალკაცი შეხვდა „მადნეულის" ხელმძღვანელობას და მას მერეც გვქონდა სატელეფონო საუბრები. სპონსორი ერთგულია ვალდებულების, ყველაფერი გააკეთოს საიმისოდ, რათა ნაკრებს არანაირი პრობლემა არ შეექმნას. პარტნიორები ვართ და პარტნიორებად ვრჩებით. ბუნებრივია, ჩვენ მათი გვჯერა. ასე რომ, „მადნეული" წელს ჩვეულებრივ გააგრძელებს ეროვნული ნაკრების გენერალურ სპონსორობას".*

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

ინტერვიუ რაინერ ცობელთან

# ურთიერთნდობის ფაქტორი

მწვრთნელობა რთული პროფესიაა; განსაკუთრებით კი ისეთ გუნდში, სადაც ჩემპიონობის გარდა... ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლად მიიჩნევა. ჰო, თბილისის „დინამოს" მარადიული ფავორიტის სტატუსი აქვს და ადვილი წარმოსადგენია, როგორი განწყობა იქნებოდა სეზონის დასაწყისში ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბში. შეგახსენებთ, საიუბილეო პირველობის საწყის ხუთ ტურში „დინამომ" სამი მატჩი წააგო - ასეთი რამ კი საქართველოს ჩემპიონატების 19-წლიან ისტორიაში არასდროს მომხდარა. აი, სწორედ მაშინ იყო, „დინამოს" ახალი მწვრთნელის, გერმანელი სპეციალისტის რაინერ ცობელის კომპეტენციაც, ცოტა არ იყოს, ეჭვქვეშ რომ დადგა. თუმცა ეს ჩავარდნა რომ დროებითი მოვლენა იყო, ძალიან მალე გამოჩნდა - ცობელის ხელმძღვანელობით „დინამომ" 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შემოგვთავაზა (ცხრა მოგება და ორი ფრე); ამიტომაც არ გახლდათ შემთხვევითი, ცობელი სამჯერ ტურის მწვრთნელად რომ მივიჩნიეთ. პლუს ამას გერმანელმა მწვრთნელმა პირველი აქაური ტიტულიც მოიგო - საქართველოს სუპერთასი! თუმცა, უმთავრესი, მაინც თამაშის ხარისხი იყო - გუნდი სანახაობრივ და შედეგიან ფეხბურთს უჩვენებდა და ერთპიროვნულ ლიდერ „ვიტ ჯორჯიასაც" თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.


რაინერ ცობელი

რაინერ ცობელი ხანმოკლე შვებულების მერე თბილისში ორიოდე დღის წინ დაბრუნდა. გერმანელ სპეციალისტს პირველი ეტაპის შეფასება ვთხოვეთ; ამასთან, რაღა თქმა უნდა, გუნდის უახლესი გეგმებითაც დავინტერესდით. აქვე, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საფეხბურთო კლუბ „დინამოს" უსაფრთხოების ოფიცერს გია ისიანს, ვინც ამ ინტერვიუს მომზადებაში დაგვეხმარა.

**- ჯერ, მეორე ეტაპისთვის მზადებაზე ვისაუბროთ.**

- ხუთკვირიანი მოსამზადებელი ციკლი გვექნება; აქედან ერთი კვირის განმავლობაში ფეხბურთელებს დღეში ორჯერადი ვარჯიშები ექნებათ: დილით ათკილომეტრიანი კროსი და მეორე ვარჯიში უკვე ბურთით. ამასთან, სწორედ ამ ეტაპზე დავაკვირდებით ახალ ფეხბურთელებს. მეორე ვარჯიშის მერე კი ფეხბურთელები უკვე ტრენაჟორებში გადაინაცვლებენ.

**- საკონტროლო მატჩების ჩატარებას თუ გეგმავთ?**

- სამწუხაროდ, ჩვენი ბაზის სავარჯიშო მოედანზე თამაშს ვერ ჩავატარებთ - კლიმატური პირობებიდან გამომდინარე დიდი ალბათობაა, ბიჭებმა ტრავმები მიიღონ. სავარაუდოდ, 17 ან 18 იანვარს ხელოვნურსაფარიან მოედანზე ერთ საკონტროლო შეხვედრას მაინც ჩავატარებთ; 23 იანვარს კი ბათუმში გვაქვს დაგეგმილი მეორე მატჩი და მეტოქედ ან „ბათუმი" გვეყოლება, ან - ფოთის „კოლხეთი". ანთალიაშიც ბათუმიდან მივემგზავრებით და მზადების მეორე ეტაპს უკვე თურქეთში გავაგრძელებთ.

**- მომავალი სპარინგპარტნიორები უკვე შერჩეული გყავთ?**

- თურქეთში, სავარაუდოდ, ოთხ ან ხუთ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. ორი მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია: რუსეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი პერმის „ამკარი" და ლატვიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ლიეპაიას „მეტალურგი".

**- ახლა პირველ ეტაპზე „დინამოს" ასპარეზობა შევაფასოთ. მოქმედი ჩემპიონის სტარტი, რბილად რომ ვთქვათ, სენსაციურზე მეტი იყო - სამი მარცხი ხუთ შეხვედრაში. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა იყო?**

- გეთანხმებით - ამას, მართლაც, ვერავინ წარმოიდგენდა. რამდენიმე ფაქტორი იყო - ახალი ფეხბურთელები, ახალი მწვრთნელი... ნედ ზელიჩსაც სრულფასოვანი შეცვლა სჭირდებოდა. თანაც, როცა გუნდში ახალი მწვრთნელი მიდის, მის მეთოდებისა და იდეების ათვისებასაც ხომ გარკვეული დრო სჭირდება. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ ურთიერთნდობის ფაქტორიც: მეც დრო მჭირდებოდა კონკრეტული ფეხბურთელებისთვის ნდობა რომ გამომეცხადებინა; იმავეს ვიტყოდი არცთუ უმნიშვნელო ნიუანსზეც - მწვრთნელიც უნდა გრძნობდეს, რომ ფეხბურთელები ენდობიან...

**- ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამომ" ღირსეული მეტოქეობა გაუწია სახელოვან „პანათინაიკოსს". ამ ფაქტმაც უარყოფითად ხომ არ იმოქმედა საშინაო ასპარეზზე?**

- არ დავმალავ - შესაძლოა, მასეც ყოფილიყო. დღესაც მიმაჩნია, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა „პანათინაიკოსთან" თავიანთი შესაძლებლობების 120 პროცენტი გამოავლინეს. ეტყობა, ამის მერე ეროვნულ ჩემპიონატზე „გადმორთვა" გაუჭირდათ. სხვათა შორის, დაახლოებით იმავე სიტუაციაში აღმოჩნდა იურგენ კლინსმანი, ვისაც თავდაპირველად „ბაიერნში" საქმეები კარგად ვერ აეწყო. კარგად ვიცი, როგორ სტრესი ჰქონდა იმ დროს კლინსმანს (ვინც ძლიერ მწვრთნელად მიმაჩნია), მაგრამ მალე სიტუაცია გამოსწორდა და ყველა ხედავს, თუ როგორ ფეხბურთს უჩვენებს „ბაიერნი".

**- პირადად თქვენ გარკვეული ფსიქოლოგიური წნეხისქვეშ არ მოექეცით?**

- რა თქმა უნდა, ასეთი სტარტი ვის ესიამოვნებოდა... იმასაც ვამჩნევდი, კლუბშიც და გუნდშიც დაძაბულობა რომ იყო. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორი გზით მივდიოდით და შედეგიც მალე უნდა მოსულიყო.

**- შედეგი მართლაც მოვიდა - მომდევნო ორ თვეში „დინამომ" ხანგრძლივი წაუგებელი სერიაც გამოაცხო, როცა ცხრა მატჩი მოიგო და ორი ფრედ ითამაშა.**

- ჩემი აზრით, „ვიტ ჯორჯიასთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრაც მოგების ტოლფასი იყო - ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, გამარჯვებაც შეგვეძლო. დარწმუნებული ვარ, ეს წარმატებული სერია კვლავაც გაგრძელდებოდა, წამყვანი მოთამაშეები რომ არ გამოგვკლებოდნენ. „ოლიმპთან" წაგებულ მატჩში ოთხი ძირითადი ფეხბურთელი (ვაწაძე, მერებაშვილი, ნერგაძე, ფირცხალავა) გვაკლდა და ეს შედეგებზეც აისახა. სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელებს სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავდათ და საერთოდაც, მთელმა სიმძიმემ 12-13 ფეხბურთელზე გადაიარა. არადა, ჩემი აზრით, მწვრთნელს გუნდში თანაბარი ძალის 16-17 მოთამაშე უნდა ჰყავდეს.

**- ჩემპიონატის დაწყებიდან არაერთხელ შეცვალეთ გუნდის ტაქტიკური განლაგება: „დინამო" ჯერ ერთი ფორვარდით თამაშობდა, მერე ორი თავდამსხმელით; ხშირად იცვლებოდა შუა ხაზში ფეხბურთელთა რაოდენობაც...**

- ერთი სისტემა რომ ავირჩიოთ და მხოლოდ იმით ვითამაშოთ, ადვილად „გასაშიფრი" ვიქნებით. თანამედროვე ფეხბურთში მაქსიმალურად უნდა ეცადო მრავალფეროვანი ტაქტიკური განლაგება ჰქონდეს გუნდს - ამით ხომ მეტოქესთან უკვე გარკვეული უპირატესობა გექმნება.

**- პირველი ეტაპის განმავლობაში ასევე არაერთ ფეხბურთელს შეუცვალეთ ამპლუა: ხმალაძე მარცხენა მცველად მოგვევლინა, ფირცხალავა - მარჯვენა, ხოლო ნერგაძე - ცენტრალურ მცველად.**

- ახალს არაფერს ვიტყვი - თანამედროვე ფეხბურთელს ერთნაირი წარმატებით რამდენიმე პოზიციაზე უნდა შეეძლოს ასპარეზობა. თქვენ მიერ დასახელებული სამივე ფეხბურთელი ცენტრალური ნახევარმცველია და მივიჩნიე, რომ დაცვითი ფუნქციების შესრულებაც არ უნდა გასჭირვებოდათ. ხმალაძემ დაამტკიცა კიდეც - ჩემი აზრით, მარცხენა მცველის პოზიციაზე საქართველოში საუკეთესოა. უფრო მეტს ველოდი შოთა კაშიასგან, რომელიც ნახევარდაცვაში გადავწიე. ისე კი, ამპლუების შეცვლა სპონტანურად არ მომხდარა - ვარჯიშებზე ვაკვირდებოდი ფეხბურთელებს და გადაწყვეტილებაც ამის მერე მივიღე.

**- თითქმის ყველა მატჩის მერე განსაკუთრებულ ყურადღებას ფლანგის მოთამაშეებზე აკეთებდით.**

- მართალი ბრძანდებით - ფლანგის მოთამაშეთა აქტიურობის შედეგად ფორვარდებს ხომ უფრო მეტი თავისუფლება ეძლევათ. აი, მაგალითად, ჩვენმა მარჯვენა გარემარბმა დავით ოდიკაძემ სეზონი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ ბოლოს ცოტა მოუკლო. ალბათ, მოტივაცია აკლდა... სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე ვერ იხარჯება და გონებით უკვე მომავალ გუნდშია. არადა, სანამ კონტრაქტით ერთ გუნდს ეკუთვნი, იმის ამოწურვამდე ყველაფერი უნდა გაიღო.

**- ცოტა არეულად გამოგვივიდა ამპლუების მიხედვით ცალკეულ რგოლთა შეფასება... შეიძლება, არ დაგვეთანხმოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ოვონო წინა ჩემპიონატში უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა.**

- რამდენიმე მიზეზია: პირველ ყოვლისა, არ დაგვავიწყდეს, აგვისტოს მოვლენები. ოვონო, თანამემამულე აკირემისგან განსხვავებით, თბილისში მაინც ჩამოვიდა; არადა, იმ დროს სხვა გუნდებისგანაც ჰქონდა შემოთავაზებები. შესაძლოა, ყოველივე ამან 100 პროცენტით კონცენტრაციაც დააკარგვინა, თუმცა უკმაყოფილო მაინც არ ვარ.

**- კრშკოსგან ოსტატური თამაში ნამდვილად არ იყო მოულოდნელი; აი, გურამ კაშიას პროგრესი კი აშკარად თვალში საცემი გახლდათ.**

- კრშკო, გურამ კაშია და ნახევარმცველი დავით დილმელაშვილი ჩემი გუნდის ყველაზე მონდომებული ფეხბურთელები არიან. კრშკოზე ახალს არაფერს ვიტყვი - ყველა ყველაფერს ხედავს; აი, გურამ კაშია კი, ჩემი აზრით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მცველია. სამწუხაროდ, უფრო მეტს ველოდით ელიავასგან; სამაგიეროდ, კმაყოფილი ვარ თომაშვილით და დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭი კიდევ მოუმატებს.

**- „დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რგოლი თავდასხმაა. თანაც, გუნდში ორი ისეთი ფეხბურთელია, თამაშის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ - გიორგი მერებაშვილი და მათე ვაწაძე.**

- ორივე, მართლაც, ნიჭიერი თავდამსხმელია და საკუთარი პლუსებიც აქვთ. შესაძლოა, ხანდახან ვინმეს მერებაშვილის ზედმეტი ინდივიდუალიზმი არ მოსწონდეს (ხანდახან, მეც ვბრაზდები ხოლმე), მაგრამ ამას გუნდისთვის ზიანი არ მოაქვს. აი, მაგალითად, ბოლნისში, მერებაშვილის ინდივიდუალურმა ოსტატობამ მოგვაგებინა.

**- ვაწაძეზე, ალბათ, ცალკე იტყვით.**

- საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს. ჩინებულად ერკვევა რთულ სიტუაციებში, აქვს გოლის ალღო, ფლანგის ფეხბურთელებთან იდეალურად არის შეთამაშებული, ტექნიკასთან მწყრალად არ არის, ტაქტიკურად განსწავლულია - მეტი რაღა უნდა მოვთხოვოთ 20 წლის ბიჭს? კი, რა თქმა უნდა, სასწავლიც ბევრი აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, ბედნიერი ვარ, ასეთი ფორვარდი ჩემს გუნდში რომ თამაშობს. მეტსაც გეტყვით - ვაწაძე ტრავმის გამო რომ გამოგვაკლდა, შედეგზეც აისახა. საერთოდაც, მერებაშვილი-ვაწაძის დუეტი რომ გეყოლება გუნდში, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- კიდევ ერთ თავდამსხმელზეც გვინდა გკითხოთ: სპასოევიჩი შეცვლებზე შემოსული უფრო ეფექტიანად გამოიყურება, ვიდრე ძირითადში თამაშისას...**

- ვერ დაგეთანხმებით, უბრალოდ, ხშირ შემთხვევაში, ზომაზე მეტად მოტივირებულია. თანაც, იმავე ვაწაძისგან განსხვავებით, სხვა ტიპის ფორვარდია; თუმცა მონდომებას ვერ დავუკარგავ და ტაქტიკურ ასპექტში თუ მოუმატებს, უფრო შთამბეჭდავად ათამაშდება.

**- პირველ ეტაპზე სხვა რომელი გუნდის თამაში მოგეწონათ?**

- „ვიტ ჯორჯია" მშვენიერი გუნდია, ასევე ძალიან მომეწონა „ლოკომოტივი", ოღონდ სეზონის დასაწყისში. აი, მერე რა მოუვიდა ამ გუნდს, ვერ გეტყვით. ძალიან მაინტერესებს ახალი მწვრთნელის ხელში როგორი გუნდი იქნება „ზესტაფონი". ისე კი, გულახდილად რომ გითხრათ, ყველაზე მეტად რუსთავში, „ოლიმპთან" გაგვიჭირდა...

**- პირველ ეტაპზე საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

- „დინამოში" ასეთები მრავლად არიან: კრშკო, გურამ კაშია, ხმალაძე, მერებაშვილი, ვაწაძე... სხვა გუნდებიდან კი ერთ კონკრეტულ ფეხბურთელს აღვნიშნავდი - ლევან ცქიტიშვილს! „ლოკომოტივის" ამ ვეტერანს რომ ვუცქერ, სიამოვნებას ვიღებ - პასის კულტურა, ბურთის „დაჭერა", თამაშის გაძღოლა, მოკლედ, ნამდვილი ლიდერია. აი, ისეთი გუნდში რომ უნდა იყოს...

**- დაბოლოს, „დინამოს" ახალწვეულებზე - ქართველებზეც და უცხოელებზეც. ან, იქნებ, თურქეთიდან ჩამოსვლის მერე გვესაუბრებათ ამ თემაზე?**

- კარგია, რომ თქვენ თვითონ ასე მიიჩნიეთ მართებულად. მე მწვრთნელი ვარ და არა - ჯადოქარი, ფეხბურთელი ერთი შეხედვით და მაშინვე მის შესაძლებლობებში დავრწმუნდე. რა თქმა უნდა, დრო მჭირდება, მათ რომ დავაკვირდე და კონკრეტული პასუხი უკვე ამის მერე მოგახსენებთ...

გია ტუხაშვილი

ზესტაფონი

თბილისურ პრეზენტაციამდე

# კაკალაძე ფეროს მიუახლოვდა

„ზესტაფონი" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს. დიდთოვლობის გამო იმერლებს პრობლემები შეექმნათ, თუმცა მოსამზადებელი პროცესი არ ჩაშლილა, ხელოვნურსაფარიანი მოედანი თოვლისგან იწმინდება, მანამდე კი - კროსები და ვარჯიში ტრენაჟორებით.

„ზესტაფონი" 18 იანვარს თურქეთში გაემგზავრება. მაგრამ ჯერ თბილისშია დაგეგმილი ერთი ღონისძიება - ახალწვეულებთან კონტრაქტების გაფორმება და მათი პრეზენტაცია მედიის წინაშე. **ლევან მელქაძე, ზურაბ მამალაძე** და **გიორგი კაჭკაჭიშვილი** მალე ოფიციალურად გახდებიან ზესტაფონელები.

ადრეც გაუწყეთ, რომ ამ გუნდში გასინჯვაზე მივიდა შემტევი **მიხეილ კაკალაძე**, ვისაც ადრე თბილისის „დინამოშიც" უთამაშია, როცა იქ „ზესტაფონის" ახლანდელი დამრიგებელი **გია გეგუჩაძე** წვრთნიდა. როგორც შევიტყვეთ, კაკალაძეს კარგი თვალით უყურებენ და გუნდში მისი ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია.

რაც შეეხება კიდევ ერთ ახალწვეულს - „ზესტაფონში" თბილისის „ამერიდან" მისული 20 წლის მარცხენა მცველი **გიორგი ელბაქიძე** ჯერ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს, თუმცა თურქულ შეკრებაზე მაინც გაჰყვება გუნდს.

თურქეთში, ანთალიასთან ახლოს მდებარე პატარ ქალაქ სიდეში დაბინავებული „ზესტაფონი" ექვს საკონტროლო მატჩს გამართავს. ფეროელებმა უკვე შეიგულეს 5 გუნდი და სპარინგზე მათგან ოფიციალური თანხმობაც მიიღეს. ეს გუნდები არიან: „დნიპრო", „ვორსკლა", „სტიაუა", „კარპატი" და კიევის „არსენალი", მეექვსე მეტოქის ვინაობა კი ადგილზე გაირკვევა.

დავით თავართქილაძე


ბურთით მიხეილ კაკალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიქრალი



ილია კოკაია



გია ჭანტურია

# სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეცედენტი

„ზესტაფონის“ ყოფილი მეკარე კლუბს ფეხბურთის ფედერაციაში უჩივის. მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს - მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურში იმერლებმა „ბორჯომთან“ სტუმრად 1:1 რომ ითამაშეს, კონფლიქტიც მას მერე გაჩაღდა - ჭანტურიას „ზესტაფონში“ ვარჯიშის უფლებაც არ მისცეს. ფეხბურთელმა კუთვნილი ჯამაგირი მოითხოვა. ფედერაციამ „ზესტაფონს“ ჭანტურიასთვის 2 თვის ხელფასის გასტუმრება და გუნდში დაბრუნება დაავალდებულა. ახლა კი მეკარე იმაზე ჩივის, რომ „ზესტაფონი“ ფედერაციის ვერდიქტს არ ასრულებს. საქმის მორიგი განხილვა 9 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ 22 იანვრისთვის გადაიდო. ჭანტურიამ „ლელოს“ უთხრა - განხილვის გადადების მიზეზად „ზესტაფონის“ იურისტის საქართველოში არყოფნა დასახელდა, თუმც მას ჩემი ნაცნობი თბილისში შეხვდა და მეც თავზე დავადექი, ვისაც არ სჯერა, ყველაფერს ფოტო და აუდიოსამხილებით დავუმტკიცებო...

ჟამთა სვლამ ისე მოიტანა, ფეხბურთელი თავისი უფლებების დასაცავად სკანდალებზე მომუშავე გაწაფული ჟურნალისტივით მოიქცა და დოკუმენტური მასალები შეაგროვა. ჩვენთან არ არსებობს კერძო დეტექტივის დაქირავების პრაქტიკა და საკუთარ საქმეს შენვე უნდა მიხედო. თანაც, არ არსებობს ნამდვილი პროფკავშირი, არადა, სოლიდარობა დიდი ძალაა, მისი ყველას ცეცხლივით ეშინია და ცხადია, საფეხბურთო კლუბების მესვეურნიც ვერ იქნებიან გამონაკლისნი.

თუ არ არის პროფკავშირი, მაშინ უნდა იყოს სხვა მექანიზმი, რომელიც დაიცავს მწვრთნელ-ფეხბურთელთა უფლებებს. რადგან ჭანტურია ფედერაციაში ჩივის და ერთ სათავისო ვერდიქტს უკვე მიაღწია, სისტემა არსებობს, ოღონდაც ეს სისტემა მოქნილად, ეფექტურად უნდა მუშაობდეს - ჭანტურიასა და „ზესტაფონის“ საქმე, ალბათ, კარგად დაგვანახვებს, რა შეუძლია ამ სისტემას. სისტემის დახვეწა კი პრეცედენტს შეუძლია. როცა არსებობს ვილაცის დასჯის და, შესაბამისად, გამართლების თვალსაჩინო მაგალითები, სისტემა მუშა მდგომარეობაშია, კარგად არის გაპოხილი.

არსებობს ისეთი საქმეებიც, სისტემა რომ ვერ არეგულირებს. შარშან ზაფხულში მოხდა ასეთი რამ - „ამერის“ ფეხბურთელებს რამდენიმე თვის ხელფასი დაუგვიანეს და ვარჯიშზე არ გავიდნენ. კონფლიქტმა ისე ჩაიარა, ტრანსფერზე დაყენებულმა ფეხბურთელებმა ვერსად იჩივლეს. რატომ? ალბათ, საამისო იურიდიული საფუძველი არ ჰქონდათ. მოგვიანებით, „ამერიდან“ დათხოვნილმა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა **გიორგი დეკანოსიძემ** გვითხრა, ფეხბურთელს ასე არსად ექცევიან, „ამერს“ ჩემი ვალი მართებდა, თუმცა რუსთავის „ოლიმპში“ რომ გადავედი, ჩემი ტრანსფერი მე თვითონ გამოვისყიდეო.

ვფიქრობთ, აღარ უნდა ფიცი-მტკიცი იმას, რომ ქართულ კლუბებში იურიდიულად ბევრი რამ გაუმართავია. ჭანტურიასა და „ზესტაფონის“ დავაც, ვინძლო, ამის ბრალია, თორემ იქ, სადაც ყველაფერი მკაფიო და გამართულია, პრობლემაც მარტივად წყდება - თუ ფეხბურთელს არ ათამაშებენ, კლუბი მაინც უხდის მას ხელფასს კონტრაქტის ამოწურვამდე.

ისე, კლუბის მესვეურთა მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ. მათთვის ფეხბურთი არ არის ფულის შოვნის კარგი საშუალება, უმეტეს შემთხვევაში ამ საქმიდან ამონაგები გასავალს ვერ ფარავს, მიუხედავად ამისა, კლუბის დაფინანსება გრძელდება, მაგრამ... კლუბებში ბევრი რამ ხდება პრეზიდენტის გვერდის ავლით. პირდაპირ რომ ვთქვათ, გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს პრეზიდენტის გაცურება ძალიან ადვილად შეუძლიათ. ასეთ თაღლითობაში მთავარი მაინც მწვრთნელია - გამოცდილ, დაკვირვებულ სპეციალისტს ფეხბურთელი ვერაფერს გამოაპარებს. აი, ერთი კარგად აპრობირებული მეთოდიც: მწვრთნელი თავის ფეხბურთელებს ეუბნება - მსაჯის მოსაქრთამად ფული უნდა შევაგროვოთ, დავდოთ 500-500 დოლარი, მივცეთ მსაჯს და თამაშს რომ მოვიგებთ, იმდენ პრემიას ავიღებთ, 500 დოლარზე მეტი ნაღდად შეგხვდებათ თითოეულსო. ფეხბურთელებს მოსწონთ მწვრთნელის იდეა და მართლაც აგროვებენ ფულს, მაგრამ აქ ერთი დეტალია - დღეს მსაჯები აშკარად ველარ მიემხრობიან ამა თუ იმ გუნდს, ახლა სხვა დროა, მაგრამ ის კი შესაძლებელია, საკამათო სიტუაციებში სულ ერთი გუნდის სასარგებლოდ რომ უსტვინო თუ ალამი აფრიალო. ჰოდა, ასეც მომხდარა - ფეხბურთელებმა ფული შეაგროვეს, მაგრამ თამაში ვერ მოიგეს, მერე ეს ფეხბურთელები მსაჯთან მივიდნენ და აღმოჩნდა, რომ მათმა მწვრთნელმა მსაჯს ათას დოლარზე მეტი არ მისცა, არადა, შეგროვებული თანხა გაცილებით მეტი იყო...

კლუბის პრეზიდენტებს გუნდში თავიანთი ინფორმატორები ჰყავთ და ასეთი ამბები ხანდახან მათ ყურამდეც აღწევს. ამგვარი ისტორიების გაგონებაზე კლუბის მესვეურები ზოგჯერ ბრაზდებიან და შეცდომებს უშვებენ. არსებობს თაღლითობის სხვა ფორმებიც (სხვათა შორის, გუნდში ინფორმატორები გამოცდილ მწვრთნელებსაც ჰყავთ), მაგრამ ასეთ რამეებს საინტერვიუდ არც მწვრთნელი მოგიყვება და არც ფეხბურთელი, სისტემას კი პრეცედენტი სჭირდება, კარგად რომ იმუშაოს.

თუ უმსგავსობა მოხდება, ჩვენში უმალ რუსეთის მაგალითს მოიყვანენ. ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, რა თქმა უნდა, საფეხბურთო კორუფციის ალბათობა ძალიან მაღალია. ეგ კი არა კორუფცია ბრაზილიაშიცაა. როცა 2002 წელს ამ ქვეყნის ნაკრები მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ერთ-ერთმა ბრაზილიელმა ჟურნალისტმა სააგენტო „როიტერზე“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერდა - ნეტავ, ჩვენი ნაკრები ჩაფლავებულიყო და იქნებ, ამის მერე მაინც მიგვეხედა ბრაზილიურ ფეხბურთში ფესვგამაგრებული კორუფციისთვისო...

ბრაზილიის მოსახლეობა 200 მილიონამდეა, იქაურებს მოქნილი სახსრები გენეტიკურად აქვთ. ალბათ, ამას ჰავა და კვება განაპირობებს, რუსეთში კი იმხელა რესურსებია, საფეხბურთო კლუბებში ფული ჩეჩქით მიდის, ჩვენთან კი... ჩვენი ერთადერთი შანსი მოწესრიგებული ქვეყნის და კარგი სისტემის შექმნაა, სხვა რამის საშუალება, უბრალოდ, არ გვაქვს და იქნებ, დროა, ამაზე სერიოზულად დავფიქრდეთ.

**დავით თავართქილაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ასათიანი? მისი ხელფასი სახუმარო არ არის



რევაზ ჭოხონელიძე

კიევის „დინამო“ შვებულებიდან 10 იანვარს დაბრუნდა და კონჩაზასპეში სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება დაიწყო. მეორე დღეს „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მედიას ორი ახალწვეულიც წარუდგინა, ქართველი მცველი **მალხაზ ასათიანი** კი არ ჩანს. შეგახსენებთ, უკრაინულ გრანდს ქართველი მცველის მოსკოვის „ლოკომოტივისგან“ გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება აქვს, რუსებიც მხოლოდ სიმბოლურ თანხას ითხოვენ მის სანაცვლოდ, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **იური სიომინიც** დაინტერესებულია, მალხაზი თავის გუნდში იხილოს. მაშ, რა აფერხებს ტრანსფერს? ამის შესახებ „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა, ადრე „მილანში“ მოღვაწე **რევაზ ჭოხონელიძემ** ისაუბრა:

*„ასათიანს მართლაც არ აქვს სახუმარო ანაზღაურება, მაგრამ ფინანსური საკითხი მე არ მეხება, ეს უკვე კლუბის პრეზიდენტის პრეროგატივაა, ხელფასებს ის იხდის. და სწორედ პრეზიდენტი გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა ასათიანი კიევის „დინამოში“.*

ერთი სიტყვით, ტრანსფერის სავარაუდო დამაბრკოლებელი ფაქტორი ქართველი ფეხბურთელის მაღალი ანაზღაურებაა. ვნახოთ, რას იტყვის კიეველთა პრეზიდენტი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან გვაზავა

# გვაზავა ტომს ელაპარაკება

ვლადივოსტოკის „ლუჩიდან“ აბარგებული **ლევან გვაზავა**, რომელიც გასული სეზონის შედეგებით რუსული პრემიერლიგის კლუბების ნაკრებშიც მოხვდა, კვლავაც უგუნდოდაა. მისი მომავალი ყაზანის „რუბინს“ დაუკავშირეს. თავად ნახევარმცველმა კი „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მისი გადაბირება „როსტოვსა“ და „ყუბანს“ სურთ. ხოლო გუშინ გვაზავათი დაინტერესებული კიდევ ერთი კლუბის ვინაობა გაცხადდა - ტომსკის „ტომი“.

„ტომის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი ნეპომნიაშჩიმ** (რომელიც 1990 წლის მუნდიალზე კამერუნის ნაკრებს თავკაცობდა) გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე წაიყვანა. ტომსკელები ანთალიაში ემზადებიან. „სპორტ-ექსპრესმა“ ამას ვრცელი რეპორტაჟიც უძღვნა. მასში ლევან გვაზავაცაა ნახსენები. როგორც ირკვევა, ქართველი ნახევარმცველის მიწვევა „ტომს“ მართლაც სწადია და ფეხბურთელის აგენტთან უკვე წამოიწყო კიდეც მოლაპარაკებები. ამდენად, გასაკვირი არ იქნება, ამ დღეებში გვაზავა ტომსკელებს ანთალიაში რომ შეუერთდეს. თუ ეს ვარიანტი არ გამოვიდა, მერე გვაზავას გამოჩენას „ყუბანში“, „როსტოვში“ ან „რუბინში“ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება ამ ბოლო ვარიანტს, გვაზავას მისვლის შემთხვევაში რუსეთის ჩემპიონის ქართული ტრიო კვარტეტად გადაიქცევა, რაც ნაკლებადაა მოსალოდნელი, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. მიზეზი ისაა, რომ „რუბინი“ ყაზანში უკვე შეიკრიბა. შეკრებაზე გამოცხადდა ამ გუნდის სამივე ქართველი - **დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე** და **ნუკრი რევიშვილი**. „რუბინის“ ოფიციალურ ვებგვერდზე კი იმ ფეხბურთელების ჩამონათვალია, რომელთაც ჩემპიონის რიგებში იწვევენ, თუმცა ამ სიაში გვაზავა არ ფიგურირებს.

**დავით ცაბაძე**

რა ხდება

# ადამიას ტრანსფერი ჩიხში შევიდა

არახალია, რომ „ბაქის“ **გიორგი ადამიას** შეძენა სურს, თუმცა მისი ამჟამინდელი კლუბი „ნეფთჩი“ ჩვენებურის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას ითხოვს. „აზერისპორტის“ ინფორმაციით, ადამიას კონტრაქტი 11 იანვარს უნდა გაეფორმებინა. როგორც ჩანს, მისი ტრანსფერის საკითხი ჩიხში შევიდა.

*„გიორგი ადამიას გავუშვებთ, თუკი მის სანაცვლოდ 180 ათას მანათს გადაგვიხდიან. ადამიას ჩვენთან ჯერ კიდევ კონტრაქტი აკავშირებს, ამიტომ „ნეფთჩის“ გარკვეული თანხა ეკუთვნის“* - განაცხადა ბაქოური გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **ილგარ გულუზადემ**.

თავის მხრივ, „ბაქი“ ამ თანხის გადახდას არ აპირებს: *„ჩვენ ამის შესაძლებლობა არა გვაქვს, ადამიას შეძენას გაცილებით ნაკლები თანხით ვაპირებდით“* - განაცხადა „ბაქის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ზეინალ მამედოვმა**. ცნობისთვის, 180 ათასი მანათი დაახლოებით 220 ათასი ამერიკული დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# უშედეგო მოლაპარაკება

რუსულ პრემიერლიგაში სეზონის დამთავრებასთან ერთად ნალჩიკის „სპარტაკში“ **დავით სირაძის** კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. მხარეებმა კიდევ ერთხელ სცადეს მოლაპარაკება თანამშრომლობის გაგრძელებაზე. სირაძე ნალჩიკში ჩავიდა და გამართა კიდეც მოლაპარაკებები, თუმცა - უშედეგოდ. ამრიგად, ქართველი ფორვარდისა და „სპარტაკის“ გზები უკვე ოფიციალურად გაიყარა. ირკვევა, რომ ნალჩიკელებს სურდათ ქართველი თავდამსხმელის შენარჩუნება, მაგრამ ფინანსური პირობების დაკმაყოფილება ვერ შეძლეს.

მოგეხსენებათ, სირაძე ახლა თავისუფალი აგენტია და ამ სტატუსის მქონე ფეხბურთელებზე მოთხოვნა გაცილებით დიდია. შესაბამისად, საქართველოს ნაკრების ფორვარდს ახალი ვუნდის მოსაძებნად დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს.



მარცხნივ დავით სირაძე

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

## ხიზანეიშვილი დაშავდა

მეორე ბუნდესლიგის „აუგსბურგი" მოსამზადებელ შეკრებას ესპანეთში გადის. თუმცა ვარჯიშებში არ მონაწილეობს **ოთარ ხიზანეიშვილი**. მიზეზზე კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს:

*„საწვრთნელ პროცესში ვერ მონაწილეობს კიდევ ერთი ფეხბურთელი, ოთარ ხიზანეიშვილი. ქართველი მცველი ვარჯიშის დროს დაშავდა, თან ისე სერიოზულად, რომ საწოლიდანაც კი ფრთხილად დგება".*

ჯერჯერობით, უცნობია თუ რამდენ ხანს გასტანს ხიზანეიშვილის იძულებითი პაუზა. შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს, „გერსტჰოფენთან" ამხანაგურ შეხვედრაში, ოთარმა სრული მეორე ტაიმი ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

არშემდგარი ტრანსფერი

## სად არის ლომია?
### არც დინამო, არც მგლები...

ზუგდიდის „მგლების" 23 წლის მარცხენა ნახევარმცველი **შოთა ლომია** მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობდა. მას გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** ძლიერ ემადლიერებოდა. მერე ლომია **რაინერ ცობელსაც** მოეწონა. თბილისის „დინამოს" თავკაცი მას ორი დღის განმავლობაში აკვირდებოდა...

თუმცა გუშინ გვითხრეს, რომ გასინჯვა დასრულდა და ლომია „დინამოში" არ ჩაირიცხა. ჯერჯერობით, ის არც „მგლებში" დაბრუნებულა. ეს ზუგდიდელთა დამრიგებელმა შეროზიამაც დაგვიდასტურა.

რაც შეეხება „მგლებს", გადაწყდა, რომ გუნდი 18 იანვრიდან ურეკში მოემზადება და სასტუმრო „კოლხეთში" დაბინავდება, სადაც გუნდს მოსამზადებლად საჭირო პირობები შეუქმნეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

მიხეილ ალავიძე

# ცხადაძე ქართველობის გამო არ მათამაშებდა...

## სიონისგან იყო შეთავაზება, მაგრამ სტანდარდის დატოვება არარეალურია



**მიხეილ ალავიძე გაურკვევლობაშია. ბაქოს „სტანდარდიდან" კახა ცხადაძის წამოსვლის შემდეგ, ჯერ არ იცის, დარჩება თუ არა გუნდში. ჩვენი ინტერვიუ სწორედ 21 წლის ქართველი მეკარის აზერბაიჯანულ კარიერას ეხება...**

**- პირველ რიგში, „სტანდარდში" თქვენი მომავალი გვაინტერესებს - კახა ცხადაძის გადადგომა გუნდის საკადრო პოლიტიკაზეც აისახება, ალბათ...**

- ჩემთვის ჯერ გაუგებარია, რა შეიძლება ცხადაძის წასვლას მოჰყვეს. თუმცა „სტანდარდთან" კონტრაქტი მაისის ბოლომდე მაქვს და მანამდე დავრჩები. მერე რა მოხდება, წარმოდგენა არ მაქვს. არ მგონია, კონტრაქტი გამიწყვიტონ.

**- მისი წასვლის გამო, გუნდში თქვენი მდგომარეობა რომ არ გაუარესდება?**

- ამის თქმა არ შემიძლია. კახა იმიტომ კი არ მათამაშებდა, ქართველი რომ ვარ, უბრალოდ, მენდობოდა. მეკარის ბედია ასეთი - თუ ძალიან საიმედო არ არის, უცხოეთში არ წაიყვანენ. ეტყობა, მთლად ცუდი შთაბეჭდილებაც არ დამიტოვებია, რაკი მენდო და კარში დამაყენა.

**- თუ მთავარ მწვრთნელად ბადრი კვარაცხელია დაინიშნა, მაშინ ვერავინ შეგეხებათ...**

- საქმეც ისაა, რომ კვარაცხელია დროებით მწვრთნელად დაინიშნა. არ ვიცი, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, თუ არა. რა მოხდება გუნდში, მარტო მე კი არა, არავინ უწყის.

**- ნებისმიერ შემთხვევაში, აზერბაიჯანში თამაში გამოცდილებისთვის წაგადგებოდათ...**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს სასარგებლო იყო, 6-7 შეხვედრა ჩავატარე და არც თუ ურიგოდ, გამოცდილება და პრაქტიკაც შევიძინე, უფრო თავდაჯერებული გავხდი.

**- რთული ჩემპიონატია?**

- რომ გითხრათ, მსგავსი სირთულის პირველობა მეორე არ მეგულება-მეთქი, რა თქმა უნდა, მართალი არ ვიქნები. თუმცა იმდენი ლეგიონერი ჩამოიყვანეს და ისეთი კლასის, შეუძლებელია, ამას საერთო დონეზე გავლენა არ მოეხდინა. ურუგვაელები, ბრაზილიელები, უკრაინელები, რუსები, ქართველები თამაშობენ და ნამდვილად საინტერესო ჩემპიონატია. ამათ ხარჯზე საშემსრულებლო ოსტატობაც საკმაოდ მაღალია.

**- თუმცა ისიც მსმენია, რომ დიდი ფულის მიუხედავად, აზერბაიჯანელები ჭეშმარიტი საფეხბურთო მიდგომებისგან ჯერ შორს არიან...**

- ასეც არ არის საქმე. ფული თავისას შვრება.

**- მაყურებელიც ბევრი დადის?**

- რა თქმა უნდა, დადის და იმაზე შეუდარებლად მეტი, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე. ცენტრალურ მატჩებზე სტადიონები ივსება, 10-15 ათასი მაყურებელიც არ არის იშვიათი შემთხვევა. საერთოდ, აზერბაიჯანელებს უყვართ ფეხბურთი.

**- ბევრით გაგვასწრეს ვითომ? ეს უფრო ლეგენდად მოჩანს, ვიდრე რეალობად...**

- რეალური ფაქტი ისაა, რომ გაგვასწრეს. სტადიონებს, ბაზებს, საფეხბურთო სკოლებს აშენებენ და თუ ჯერ მათი კლუბები ბევრით არ გვჯობნიან, ეს არ ნიშნავს, რომ ერთ დონეზე ვართ. აზერბაიჯანელები იმ საფუძველს ყრიან, რომელიც ფეხბურთის განვითარებისთვისაა აუცილებელი. თუ ასე გააგრძელეს, ჩვენ კი ქართულ საფეხბურთო მეურნეობას ვერაფერი შევმატეთ, ჩამორჩენა კიდევ უფრო გაიზრდება. იქ ფული იდება ფეხბურთში, ჩვენთან კი რა ხდება? მთავარი ისაა, რომ ეს არის ხელისუფლების სურვილი და თავად არიან დაინტერესებულნი, რომ მდგომარეობა რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს.

**- აზერბაიჯანელთა შემოსავლის მთავარი წყარო ნავთობია, მასზე კი ფასი დაეცა. ეს კლუბების მდგომარეობაზე არ აისახება?**

- მხოლოდ მცირე შეფერხება იყო, სერიოზული არაფერია.

**- აზერბაიჯანელებს ძლიერი მეკარეები ჰყავთ?**

- მე არ მგონია, რომ ქართველებზე უკეთესი მეკარეები ჰყავდეთ.

**- აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?**

- ვუყურებდი ჭიჭველიშვილისა და სილაგაძის თამაშს და ჩემზე ორივემ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი რომ არ გვყოლოდა, „სტანდარდს" ძალიან გაუჭირდებოდა. რეზო გენაძე „ოლიმპიკში" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა, ბაქოს „ნეფთჩისთან" ისე ითამაშა, ვიფიქრე, ვილაც ბრაზილიელი ჩამოიყვანეს-მეთქი. ძალიან მომწონს თორნიკე აფციაურიც, ამირან მუჯირიც... აქ ბევრი და საკმაოდ ძლიერი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს.

**- შესარჩევი ციკლი დასრულდა, ახალგაზრდულ ნაკრებში კი, გულახდილად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავი სტატისტიკა არ გაქვთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყველას ეიმედებოდა...**

- რაც იყო, იყო... რუსეთ-პოლონეთთან მინსკის მატჩებისთვის მიმიწვიეს. პოლონეთთან 0:5 რომ წავაგეთ, იმ შეხვედრაში ვითამაშე. მგონი, იმ დღეს გუნდში საუკეთესო ვიყავი (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და, მართლა ბევრჯერ მომიხდა ბურთის მოგერიება. იმის შემდეგ, რაც აგვისტოში რუსებმა საქართველოში გააკეთეს, ბიჭები დაძაბულები და ნირწამხდრები ვიყავით. და რაც მთავარია - ბევრნი იყვნენ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც მომზადება ვერ შეძლეს. ეს იყო სწორედ ამ ორი წაგების მიზეზი. თანაც, ასეთი მდგომარეობის გამო, ეტყობა, შეკრების კარგად ჩატარებაც ვერ მოხერხდა. მინსკშიც ერთი დღე პარკში ძუნძულით ვემზადებოდით, სავარჯიშო მოედანი პრობლემა იყო.

**- ამ პერიოდში თქვენით რომელიმე ქართული გუნდი ხომ არ დაინტერესებულა?**

- ბოლნისის „სიონისგან" იყო კონკრეტული შეთავაზება. თუმცა ახლა ბაქოს „სტანდარდიდან" წამოსვლა არარეალური მგონია...

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი თაობა

ლევან შარიქაძე

# არაფერია, ჩემი დროც მოვა

**საქართველოს** ჩემპიონატი არ არის მაღალი დონის, არც მაყურებელი სწყალობს და გარემოც დამთრგუნველია, ამას ემატება კლუბების საშინელი ეკონომიკური მდგომარეობა და ასე შემდეგ... მოკლედ, უამრავი პრობლემაა, რაც ხელს უშლის აქაური რესურსის გამოვლენასა და ამუშავებას. თუმცა ფაქტია - ამ დაბალი დონის, უფულო და უმაყურებლო ჩემპიონატშიც იყვნენ, არიან და იქნებიან მოთამაშეები, რომელთაც დიდი ნიჭიც აქვთ და პერსპექტივაც. უბრალოდ, ისინი უნდა დაინახო. დიახ, ჩვენს პირველობასაც ჰყავს ტალანტები და მათ პირობების არქონაც ვერ შეუშლით ხელს, რომ თავი გამოიჩინონ.

ჩვენ კი არა, რაც მთავარია, სპეციალისტები აღიარებენ, რომ ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი „გაგრის" ცენტრალური ნახევარმცველი ლევან შარიქაძეა - 19 წლის კაფანდარა მოთამაშე, რომელიც მოედნის მშვენიერი ხედვით გამოირჩევა. ერთადერთი, რასაც მას საყვედურობენ, სუსტი ფიზიკური აღნაგობაა. თუმცა ამის გამოსწორებაც შეიძლება. რანგით და ნიჭით არ ვადარებთ, მაგრამ ცნობილი ისტორიაა ბრაზილიელი ზიკოსი, რომელიც ასევე სუსტი და კაფანდარა იყო და ორწლიანი სამედიცინო პროგრამის წყალობით, ჯანითაც მოიმატა და მსოფლიო დონის ვარსკვლავიც გახდა. შარიქაძეს ვარსკვლავობამდე ბევრი აკლია, მაგრამ ნიჭიერი უდავოდ არის.

დღეს „ლელოში" რუბრიკის პრემიერაა - „ახალი თაობა", რომელიც ტალანტებს წარმოგიდგენთ. რუბრიკას ლევან შარიქაძის ინტერვიუთი ვხსნით...

**- ლევან, თავიდან ის გვითხარი, სად ვარჯიშობდი, როგორ მოხვდი „გაგრაში"... მოკლედ, ახლოს გაგვეცანი...**

- ჯერ „ავაზაში" ვვარჯიშობდი, საიდანაც 17 წლისა „ამერში" მოვხვდი. ერთი პერიოდი, რეგიონალლიგის „ამირანში" გამოვდიოდი. მორიგი თამაშის დროს, „გაგრის" მაშინდელმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა, თამაზ სამხარაძემ მნახა, ჩემს მშობლებს დაელაპარაკა და რეგიონალლიგაში მოასპარეზე „გაგრა 2"-ში, გია ჭაბრიშვილთან გამიწია რეკომენდაცია. იქ ნახევარი წელი ვითამაშე და ამის შემდეგ ძირითადმა გუნდმა ანთალიის შეკრებაზე წამიყვანა. მერე „გაგრასთან" ერთად ვითამაშე პირველ ლიგაში, გადავედით უმაღლეს ლიგაში და იმედია, სულ წინ ვივლით.



*...წინ კი მიდის ლევანი, მაგრამ იმასაც უნდა გაუსწოროს თვალი, რაც მის წინსვლას აბრკოლებს. ყველა აღნიშნავს, რომ შარიქაძე ნიჭიერი მოთამაშეა, თუმცა მას ახალგაზრდულ ნაკრებში ჯერ არ იწვევენ. მიზეზი ერთმა მწვრთნელმა (რომლის გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებთ) გვითხრა - ნიჭიერია, მაგრამ ასეთი სუსტი აღნაგობით, ახალგაზრდულში მოხვედრა გაუჭირდებაო. ეს სინანულით იყო ნათქვამი. ცხადია, პირველ რიგში, თავად ლევანს სურს ამ პრობლემის მოგვარება...*

- ეს ჩემი საზრუნავიცაა და „გაგრაც" ცდილობს, ხელი შემიწყოს. როგორც შევიტყვე, ჯერ კიდევ პირველ წრეში ჰქონიათ ფიქრად, რომ სანაკრებო პაუზით ესარგებლათ და კიევში ჩემთვის კომპლექსური გამოკვლევა ჩაეტარებინათ, ანუ გაეგოთ, თუ რა სჭირდებდა ჩემს ორგანიზმს, როგორ შეიძლებოდა მოლონიერება. სამწუხაროდ, მაშინ დრო არ მოიძებნა და კიევში ვერ წავედი. ლონე იმისთვის მჭირდება, ორთაბრძოლები რომ გამიადვილდეს. თუმცა ახლა ზუსტად არ ვიცი, რა არის საჭირო საამისოდ, როგორ და რა დატვირთვებით უნდა ვივარჯიშო, თვითნებურად ამას ვერ გავაკეთებ.

**- რომელიმე ნაკრებში თუ გითამაშია?**

- მითამაშია და გოლიც გამიტანია. როცა „ამირანში" ვთამაშობდი, 17-წლამდელებში ამიყვანეს. პალანგის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ და უკრაინას გავუტანე გოლი. სულ სამი შეხვედრა ჩავატარე. მერე 19-წლამდელთა ნაკრებშიც მიმიწვიეს. შეკრება ბათუმში გვქონდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სათამაშოდ 22 მოთამაშიდან 20 უნდა შეერჩიათ. იმ ორ ზედმეტს შორის, შესაძლოა, ერთ-ერთი მეც ვყოფილიყავი და „გაგრის" მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ შეკრებაზე აღარ დამტოვა. მაშინ, 19-წლამდელებს ჰაინც ტოპმიოლერი ავარჯიშებდა. შესარჩევ ტურნირს კი თბილისმა უმასპინძლა, ნორვეგიას, ჰოლანდიასა და ლატვიას ვერ მოვუგეთ...

**- შენ ცენტრალური, შემქმნელი ნახევარმცველის როლი უფრო შეგეფერება, მაგრამ არის კი თანამედროვე ფეხბურთში პლეიმეიქერების ადგილი?**

- ახლა კლასიკური ტიპის გამთამაშებლების დრო ნამდვილად აღარ არის. მე უფრო ჩამშლელის ფუნქციას მაკისრებდნენ, ხან მარცხენა ფლანგზე მათამაშებდნენ. თუმცა დასამალი რა არის, ცენტრში გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს.

**- ამ პოზიციაზე თამაშს გვარიანი გამძლეობა სჭირდება...**

- შეიძლება, მე ჯანი არ მაქვს, მაგრამ გამძლეობაში ნაღდად არ მოვიკოჭლებ.

**- ჯანის ნაკლებობა ორთაბრძოლებში იჩენს ხოლმე თავს...**

- ეს კი მართლაც მიშლის ხელს. ჩვენს ჩემპიონატში ზოგიერთი წონით ორჯერ ჩემზე მძიმეა. ასეთი რომ დამეჯახება, რა უნდა ვქნა? არაფერია, ჩემი დროც მოვა.

**- „გაგრამ" სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ საერთო ჯამში, პირველი ეტაპის მაჩვენებელი დამთრგუნველია - ბოლოდან მესამე ადგილი.**

- ძალიან არასტაბილურად ვითამაშეთ და ამიტომაც გვქონდა ცუდი შედეგი.

**- ამ არასტაბილურობის საშველი რაღაა?**

- გამოუცდელი ბიჭებისგან შემდგარი გუნდი სხვანაირად ვერც ითამაშებდა. „გაგრაში" 80 პროცენტი სწორედ რომ გამოუცდელია. თუმცა მაინც მგონია, რომ მეორე წრეში გაცილებით უკეთეს ვითამაშებთ.

**- იმედი რომ გაქვს კარგია, მაგრამ... რის ხარჯზე შეიძლება მომატება?**

- ჩვენ უკვე შევიძინეთ გარკვეული გამოცდილება. ვიცით, რა მოთხოვნებია უმაღლეს ლიგაში და მჯერა, ჩემპიონატის ბოლომდე, გაცილებით მეტ ქულას მოვაგროვებთ ვიდრე პირველ წრეში.

**- მართალია, რომ „გაგრა" „ლე მანში" გიშვებდა?**

- დიახ, 6 ივლისს საფრანგეთში უნდა წავსულიყავი, თუმცა ვისაუბრეთ და ხელმძღვანელობამ მირჩია, ჯერ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიიღე გამოცდილება და უცხოეთში მერე გაგიშვებთო. მართლები იყვნენ და დავუჯერე...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული

მანჩესტერ სიტი

# გივენი თუ კუდიჩინი?

## ჰიუზი ბელამიში 9.5 მილიონ გირვანქას იხდის, ძოლა უელსელს ვერ ელევა



შეი გივენი

"დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსის" სათადარიგო მეკარე **კარლო კუდიჩინი**, შეიძლება, "მანჩესტერ სიტიში" ვიხილოთ. მანჩესტერელთა თავკაც **მარკ ჰიუზს** ძლიერი გოლკიპერი სჭირდება. მან "ნიუკასლის" კარის დარაჯ **შეი გივენს** დაადგა თვალი, მაგრამ ჯორდებმა ვეტერანი ირლანდიელის სანაცვლოდ 11 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. კუდიჩინის შეძენა გაცილებით იაფად შეიძლება. იტალიელი სულ რალაც 3 მილიონი გირვანქა ღირს, გამოცდილებით კი არავის ჩამოუვარდება.

ჰიუზი გივენის ყიდვის იმედს არ კარგავს. "სიტიმ" "ნიუკასლს" 11 არა, მაგრამ 8 მილიონი გირვანქა კი შესთავაზა. ჯორდები გარიგებას არ ჩქარობენ. მათთვის ცნობილია, რომ გივენს "ტოტენჰემიც" ადევნებს თვალს. იქნებ "მამლებმა" უფრო მეტი გადაიხადონ? მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ გივენი სამსახურს შეიცვლის. მას "ნიუკასლში" გამეფებული კრიზისი ყელში ამოუვიდა.

32 წლის მეკარე მე-12 სეზონია, "სენტ ჯეიმს პარკზე" თამაშობს. მას კონტრაქტში ოთხი წელი აქვს დარჩენილი. ჯორდები გივენს კვირაში 40 ათას გირვანქას უხდიან. "სიტიში", ან "ტოტენჰემში" გადასვლის შემთხვევაში, უფრო მაღალ ხელფასს დაუნიშნავენ. "დეილი მეილი" იუწყება, რომ გივენმა "ნიუკასლის" თავკაც **ჯო კინეარს** უკვე განუცხადა, რომ გუნდიდან წასვლა სურს.

"სიტისა" და "ნიუკასლს" შორის, შეიძლება, კიდევ ერთი გარიგება შედგეს. ჯორდები ბრაზილიელი თავდამსხმელით, **ჟოთი** დაინტერესდნენ. მანჩესტერელებმა ეს უკანასკნელი 18 თვის შინ, მოსკოვის ცსკა-დან 18 მილიონ გირვანქად გადაიყვანეს, მაგრამ ჟომ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა თავი.

ამიტომაა, რომ მარკ ჰიუზი თავდასხმის გაძლიერებასაც ცდილობს. მან "ვესტ ჰემს" **კრეიგ ბელამის** გაყიდვა შესთავაზა. წინადადება მაცდუნებელია – 9.5 მილიონი გირვანქა. რამდენიმე დღის წინ "ჩაქუჩების" თავკაცმა **ჯანფრანკო ძოლამ** ბელამის ხელშეუხებელი ფეხბურთელი უწოდა. მისი აზრით, უელსელი ლეგიონერი პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, რომლის შეცვლა ჯოჯოხეთურად ძნელი იქნება. ბელამიმ მთავარ მწვრთნელს მადლობა იმით გადაუხადა, რომ "ნიუკასლთან" ბოლო ტურის ძატჩში (2:2) ორი გოლი შეაგდო.



დიეგო მარადონა

სკანდალი

# მარადონა შარში გაეხვია

## მის გამო ჩელსის ვარსკვლავებმა ღამე თეთრად გაათენესო...

"მანჩესტერ იუნაიტედი"-"ჩელსის" მატჩს არაერთი საპატიო სტუმარი ჰყავდა, მათ შორის, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დიეგო მარადონა**, რომელიც ინგლისში **კარლოს ტევესის** მოსანახულებლად ჩავიდა. დიეგოს არ გაუმართლა. ტევესს საერთოდ არ უთამაშია.

მატჩის წინალამეს სასტუმროში, სადაც არგენტინელი ლეგენდა იყო გაჩერებული, სახანძრო განგაში ატყდა. სასტუმროს პერსონალმა უკლებლივ ყველა სტუმარი ქუჩაში გაიყვანა. ევაკუაცია შეეხოთ "ჩელსის" ფეხბურთელებსაც, რომლებიც მათდა საუბედუროდ, იმავე სასტუმროში იყვნენ გაჩერებულნი. თვითმხილველნი ამბობენ, რომ **ჯონ ტერის, ფრენკ ლემპარდს, ჯო კოულსა** და სხვა ვარსკვლავებს 40 წუთის განმავლობაში სიცივეში ღია ცის ქვეშ მოუხდათ ყოფნა. მათ ძილი დაუფრთხეს. იქნებ ამის გამოც იყო, რომ "ეშმაკებმა" "არისტოკრატები" საშვილიშვილოდ შეარცხვინეს?

სასტუმროს ხელმძღვანელობამ სახანძრო განგაშის ატეხვა უსაფრთხოების სისტემის მწყობრიდან გამოსვლით ახსნა. მეხანძრეებმა კი, რომლებიც სიგნალის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ, "დეილი მეილის" მიმომხილველს განუცხადეს: განგაში იმიტომ ჩაირთო, რომ მარადონა და მისი თანმხლები პირები თავიანთ ოთახებში სიგარებს აბოლებდნენო. მარადონასა და არგენტინულ დელეგაციას მანჩესტერის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მე-14 სართულის ოთახები ეჭირათ.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ინიესტა სარეკორდო ფასად?

## მიმომხილველები გარიგებას ეჭვქვეშ აყენებენ



ანდრეს ინიესტა

სპეკულაციების თანახმად, "ჩელსი" მზადაა, **ანდრეს ინიესტას** ტრანსფერში სარეკორდო თანხა გადაიხადოს. "არისტოკრატები" კრიზისში არიან. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებს ახალი სისხლი სჭირდებათ. 24 წლის ესპანელი იდეალური შენაძენი იქნებოდა. ლონდონელები ინიესტას ჯერ კიდევ **ჟოზე მოურინიოს** დროს ეპატიჟებოდნენ. მაშინ "ბარსამ" ფეხბურთელის გაყიდვაზე ცივი უარი განაცხადა. საეჭვოა, კატალონიელთა განწყობა დიდად შეცვლილიყო.

მიმდინარე სეზონის წინ "ბარსამ" "ჩელსის" დეკუ მიჰყიდა. **პეპ გვარდიოლა** პორტუგალიელს იოლად შეელია, რადგან ინიესტას სახით, მისი სრულფასოვანი შემცვლელი ჰყავდა. ლონდონში გადასულმა **დეკუმ** სავრძნობლად მოუკლო. როგორც ჩანს, ახლა "არისტოკრატებმა" მოინდომეს მისი ინიესტათი ჩანაცვლება.

ტრანსფერების ისტორიაში კვლავ სარეკორდოდ რჩება **ზინედინ ზიდანში** მადრიდის "რეალის" მიერ გადახდილი 46 მილიონი გირვანქა. არადა, იმ გარიგების შემდეგ ლამის რვა წელი მიიწურა. ინიესტა ბარსელონელთა სული და გულია. ის ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. ანდრესმა ეროვნულ გუნდში 34-ჯერ ითამაშა და ექვსი გოლი შეაგდო.

"დეილი მეილი" იმასაც იუწყება, რომ "ჩელსის" ხელმძღვანელობა ძალიან ნანობს **დანიელ ალვეშის** "ბარსელონისთვის" დათმობას. სევილიელები ბრაზილიელი მარჯვენა მცველის სანაცვლოდ 28 მილიონ ევროს ითხოვდნენ. ლონდონელებმა 25.5 მილიონზე მეტის გადახდა არ მოინდომეს. კატალონიელებმა ამით ისარგებლეს და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი "კამპ ნოუზე" წაიყვანეს.



ქარიმ ბენზემა

# ბენზემა ტევესის სანაცვლოდ

**სერ ალექს ფერგიუსონმა** კარლოს ტევესის შემცვლელი იპოვა. "დეილი მირორის" მტკიცებით, „მანჩესტერ იუნაიტედი" 40 მილიონ ევროს ამზადებს, რათა "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი **ქარიმ ბენზემა** შეიძინოს. ამ ინფორმაციას ფრანგული სააგენტოებიც ეხმაურებიან. "ეკიპი" იუწყება, რომ 21 წლის ფეხბურთელს "ლიონიდან" აბარგება სურს. მან კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა, სეზონის მიწურულს ტრანსფერზე დააყენონ. ბენზემა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია (მერვედფინალში მისი გუნდი "ბარსელონას" შეხვდება).

გასული წლის ნოემბერში, "ეკიპმა" ბენზემას დიდი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ქარიმს არ დაუმალავს, რომ მისი ოცნების კლუბი "მილანია", მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედშიც", სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს. **კარლოს ტევეს**'ა "მანჩესტერთან" ორწლიანი საიჯარო ხელშეკრულება ივნისში უმთავრდება. ფეხბურთელის აგენტი, **კია ჯურაბჩიანი** სატრანსფერო უფლებების სანაცვლოდ 32 მილიონ ევროს ითხოვს. ფერგის მისი ფასი ძალიან ეძვირება, ურჩევნია, 32 მილიონს კიდევ ცოტა დაუმატოს და ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავი ჩაიგდოს ხელში.

# ჰესკი ლივერპულში ბრუნდება



ემილ ჰესკი

**ემილ ჰესკი** "ლივერპულში" ბრუნდება. "დეილი მეილის" ცნობით, შეთანხმება მიღწეულია. ვეტერან თავდამსხმელს "ვიგანთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ის "ენფილდზე" უკომპენსაციოდ გადაბარგდება. ემილმა მერსისაიდზე ოთხი წელი გაატარა და 2004 წელს "ბირმინგემ სიტის" მიაშურა. ბირმინგემელებმა მის სანაცვლოდ მოკრძალებული თანხა, 3.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. 2006 წელს გუნდი პრემიერლიგას გამოეთხოვა. ჰესკიმ ქვედა დივიზიონში თამაში არ ისურვა. ის ტრანსფერზე დააყენეს და 5.6 მილიონ გირვანქად "ვიგან ატლეტიკს" გადაულოცეს.

ჰესკი პირველი ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომელიც "ვიგანიდან" ინგლისის ნაკრებში გამოიძახეს. მას **ფაბიო კაპელო** უფრო მეტად ენდობა, ვიდრე **სტივ მაკლარენი**. იტალიელი ემილს გამუდმებით იძახებს. ჰესკის აქტივში 50 სანაკრებო მატჩია (და 5 გოლი). **რაფა ბენიტესს** მისი დაუყოვნებლივ შეძენა სურდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, 4 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევდა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მწვრთნელმა გადაწყვიტა, ზაფხულამდე მოიცადოს. ესპანელს იმედი აქვს, რომ ინგლისის ჩემპიონატს მის გარეშეც მოიგებს.

აქვე გეტყვით, რომ "ვიგანმა" ემილ ჰესკის შემცვლელი უკვე შეიძინა. ესაა პერუს ნაკრების თავდამსხმელი **უგო როდალიეგა**. ვიგანელებს მისი ტრანსფერი 4.5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. როდალიეგა ბრიტანეთის სამუშაო ვიზას ელოდება, რათა სადებიუტო მატჩი ჩაატაროს. განიხილება კიდევ ერთი ფორვარდის ვარიანტი. "ვიგანის" თავკაცმა **სტივ ბრუსმა** ვულვერჰემპტონელ **სილვან ებანს-ბლეიკს** დაადგა თვალი. მიმდინარე სეზონში მან უკვე 16 გოლის გატანა მოასწრო.

[illegible]

### სავიოლა პორტსმუთში მიდის?

"პორტსმუთი" "რეალის" თავდამსხმელ **ხავიერ სავიოლათი** დაინტერესდა. **ტონი ადამსმა** გადაწყვიტა, არგენტინელი ფორვარდით **ჯერმეინ დეფო** შეცვალოს. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელმა "ტოტენჰემს" მიაშურა. სავიოლას მადრიდში მომავალი არა აქვს. ის სამეფო კლუბში 2007 წლის ზაფხულში, "ბარსელონიდან" გადავიდა. სანამ "კამპ ნოუს" დატოვებდა, სავიოლამ "მონაკოსა" და "სევილიაში" იჯარით თამაში მოასწრო. განვლილ წელიწად-ნახევარში კი ხავიერმა "რეალის" მაისურით მხოლოდ 16 მატჩი ჩაატარა (აქედან 7 ამ სეზონში) და 4 გოლი შეაგდო. ხავიერი 27 წლისაა. "დეილი მირორი" იუწყება, რომ სავიოლა ინგლისში უახლოეს დღეებში ჩავა და კონტრაქტის პერსონალურ დეტალებს შეათანხმებს. სავიოლას არგენტინის ნაკრებში 44 მატჩი და 12 გოლი დაუგროვდა. მას ესპანური პასპორტიც აქვს. "პორტსმუთი" ნიგერიელი თავდამსხმელის, **ჯონ უტაკას** გაყიდვას აპირებს, რათა მასში აღებული ფული "რეალს" შიუთვალოს.

### ვესტ ჰემი პარაგვაელებით ძლიერდება

**ჯანფრანკო ძოლა** პარაგვაელ ფეხბურთელებს, **ნელსონ ამარილიასა** და **ხუან აგილარს** ყიდულობს. ამარილია 20 წლისაა და დაცვის ცენტრში თამაშობს. აგილარი 19 წლის ნახევარმცველი გახლავთ. ორივე პარაგვაულ "გუარანიში" თამაშობს. სამხრეთამერიკელი ყმაწვილები ლონდონში სინჯებზე იყვნენ და ძოლას ძალიან მოაწონეს თავი. მწვრთნელის არჩევანზე იმანაც იმოქმედა, რომ ამარილია და აგილარი იაფი ღირს. მოგეხსენებათ, "ვესტ ჰემს" ფინანსური პრობლემები აქვს. სპეკულაციებს თუ დავუჯერებთ, კლუბი ყველა ნამყვანი ფეხბურთელის გაყიდვას აპირებს.

### სტოკ სიტის ჯეიმს ბიტი გაახსენდა

"ბლექბერნისა" და "სანდერლენდის" ყოფილ თავდამსხმელ **ჯეიმს ბიტის** "სტოკ სიტი" ეპატიჟება. ბიტი "შეფილდ იუნაიტედის" საკუთრებაა. "სტოკი" მზადაა, მის ტრანსფერში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ბიტის „ბლექბერნში" გადასვლა ურჩევნია. "ვარდების" თავკაცი **სემ ელერდაისი** ამ ფეხბურთელით დიახაც დაინტერესებულია, მაგრამ ფული არ აქვს. ელერდაისი **როკე სანტა კრუსის** "მანჩესტერ სიტიში" გაყიდვას ელოდება. "სიტი" მას 20 მილიონ გირვანქას უხდის.

### რიო ფერდინანდი ისევ ისვენებს

**რიო ფერდინანდმა** შვებულება გაიხანგრძლივა. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ის "ჩელსისთან" საკვირაო მატჩისას დაუბრუნდებოდა მინდორს, მაგრამ ოპტიმისტური პროგნოზი არ გამართლდა. გუშინ "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს ექიმთან მორიგი აუდიენცია ჰქონდა დანიშნული. მოგეხსენებათ, მას ზურგის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. სერ **ალექს ფერგიუსონმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ რიომ გასული კვირის განმავლობაში სრული დატვირთვით ივარჯიშა, მაგრამ ლონდონელთა სტუმრობამდე ერთი დღით ადრე კუნთი დაეჭიმა. ფერდინანდის ტრავმა სერიოზულ პრობლემების გვიქმნისო, აღიარებს ფერგი. რიომ უკვე ოთხი შეხვედრა გამოტოვა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# პოჯსონის უხვი მოსავალი

## მეორადი საფეხბურთო ჩემპიონატების გამარჯვებული

**ლონდონის „ფულჰემმა" როი ჰოჯსონის თავკაცობით ბოლო 13 შეხვედრაში ერთი თამაში წააგო და პრემიერლიგის ცხრილში მოსალოდნელზე მაღლა დამკვიდრდა. პროგრესი შარშანდელ სეზონთან შედარებით, როცა გუნდი გავარდნას ძლივს დაუსხლტა ხელიდან, აშკარაა. მოდით, ვეცადოთ, იქნებ გავარკვიოთ, ჰოჯსონი როგორ ახერხებს წარმატებების მიღწევას.**

„ფულჰემში" რამდენიმე წლის წინ წარმატებით მუშაობდა უელსელი სპეციალისტი **კრის კოულმენი**, ვისი მუშაობითაც კლუბის დირექტორატი ძალზე კმაყოფილი იყო. და მართლაც, შედეგი კლუბის ბოსებისთვის მისაღები იყო: 2003/2004 მე-9; 2004/2005 მე-13; 2005/2006 მე-12. არა, როგორც ხედავთ განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ მაინც. 2007 წლის დასაწყისში ლონდონელთა ბანაკში კრიზისის მაგვარი დაიწყო. პრემიერლიგიდან ჩემპიონშიფში დაქვეითების საფრთხე ყოველი ტურის შემდეგ მატულობდა. შედეგად კოულმენს კარისკენ მიუთითეს და მის მაგივრად განსაცდელის ჟამს ჩრდილოირლანდიელი **ლორი სანჩესი** დანიშნეს. თამაშის ხარისხი მისხალითაც არ გამოსწორებულა, თუმცა გუნდმა სასურველ შედეგს მიაღწია - ლიგაში ადგილი დაიბევა. სანჩესს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს და ისიც დათანხმდა. სულ რამდენიმე თვეში „ფულჰემის" მესაკუთრე **მოჰამედ ალ ფაიედი** შეცდომას მიხვდა და საკუთარი გადაწყვეტილების უსუსურობა აღიარა - მან ლორი სანჩესს კარისკენ მიუთითა. ალ ფაიედისთვის ეს უკვე მეხუთე მწვრთნელი იყო, რომელსაც მან გუნდი ჩააბარა და ვინც "ფულჰემის" სათავეში წელიწადიც კი ვერ გაძლო. ჩრდილოირლანდიელის გუნდი თითქოს ძალისმიერ სტილში თამაშს ცდილობდა (სწორედ რომ ცდილობდა), მაგრამ ხისტი თამაში მათი შესრულებით ინგლისის საუკეთესო გუნდებისთვის ძალზე ადვილი დასაძლევი იყო. შესაბამისად, „ფულჰემის" უკონტროლო ვარდნა ძირს ისევ გაგრძელდა. სიტუაციას ამძიმებდა ის, რომ სინიორ ლორიმ გუნდში თავისი თანამემამულეები მიიყვანა, ვისაც ბრმა ნდობა გამოუცხადა. **სტივენ დევისი, კრის ბერდი, აარონ ჰიუზი, დევიდ ჰილი** იყვნენ თუ არა ფორმაში, დაუბრკოლებლად თამაშობდნენ. „ფულჰემი" გარდა უსახური თამაშისა, იმითიც გამოირჩეოდა, რომ თავად ძალიან ცოტა გაჰქონდა და გაშვებით კი ყოველ მეორე გოლს სტანდარტული მდგომარეობიდან უშვებდა. თითქოს ტრანსპორტი სახელად „ფულჰემი" ჩემპიონშიფის მიმართულებით შეუჩერებლად მიჰქროდა... ალ ფაიედმა გუნდი **როი ჰოჯსონს** ჩააბარა და ერთი შეხედვით გარდაუვალი უბედურება გუნდმა თავიდან აიცილა. გასული წლის 20 დეკემბერს, 60 წლის სპეციალისტმა გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც კვირაში 25 ათას გირვანქას გამოიმუშავებს. გარდა ხელფასისა, გამოცდილმა ინგლისელმა სპეციალისტმა ბონუსის სახით 1 მილიონი გირვანქა მიიღო. ჰოჯსონმა მილანის „ინტერში" ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა დატოვა და სამუშაოდ ლონდონში გადაბარგდა - აღნიშნული მსხვერპლი მან სწორედ მაღალი ანაზღაურების გამო გაიღო.

როი ჰოჯსონი ლონდონის სამხრეთ ნაწილში 1947 წელს დაიბადა. მართალია, ფეხბურთს პროფესიულ დონეზე თამაშობდა, მაგრამ განსაკუთრებულად შთამბეჭდავი კარიერა, გახსენებად რომ ღირდეს, ნამდვილად არ ჰქონია - „კრისტალ პალასის" რეზერვისტობაზე უკეთეს დონეზე მას, პრაქტიკულად, არ უთამაშია, ხოლო სხვა კლუბებს, სადაც კი უასპარეზია, პროფესიულ ფეხბურთთან, თუ შეიძლება ითქვას, ნელთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. სამწვრთნელო საქმიანობას ჩვენი სტატიის გმირმა 1976 წელს მოჰკიდა ხელი, შვედეთში, სადაც ჰოჯსონი წარმატებით მუშაობდა „ჰალმსტადსა" და „მალმიოსთან". მან რამდენჯერმე მოახერხა ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვება (1976, 1979-ში პირველთან, ხოლო 1986, 1988-ში მეორესთან ერთად). ამ პერიოდში სამშობლოში ერთხელ დაბრუნდა 1982 წელს, როცა „ბრისტოლ სიტი" ცოტა ხნით ჩაიბარა. 1990 წელს ჰოჯსონი ბედისწერამ შვეიცარიაში მოისროლა. „ქსამაქსთან" მისი სამწვრთნელო ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მასპინძლებმა ინგლისელს მათი ეროვნული გუნდის განვრთნა შესთავაზეს, ეს 1992 წელს მოხდა. აი, სწორედ ამ დროს დარეკა მისმა ვარსკვლავურმა საათმა. ჰოჯსონი ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპეციალისტი გახდა. სხვა შემთხვევა, როცა ამ ქვეყნის ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ გადალახა შესარჩევი ჯგუფის ბარიერი და ფინალურ ეტაპზე გავიდა (1994 მსოფლიოს ჩემპიონატზე 1/8-ში გაალწია, წააგო რა ესპანეთთან 3:0, 1996 წელს კი ევროპირველობის ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა), იოლი გასახსენებელი არ არის. ჰოჯსონი თვით მილანის „ინტერმა" მიიწვია მთავარ მწვრთნელად, მაგრამ დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია. ერთადერთი, რაც „ნერაძურის" ფანებს გაახსენდებათ, 1997 წელს „შალკესთან" ორრაუნდიან პაექრობაში წაგებული უეფას თასის ფინალია. სწორედ აქედან დაიწყო უკვე სახელგანთქმული მწვრთნელის დიდი მოგზაურობა: წელიწადნახევარი „ბლექბერნში" (ამ ხნის განმავლობაში ის ორჯერ დასახელდა თვის საუკეთესო მწვრთნელად); „ვარდებიდან" წასვლის შემდეგ მან მეორედ შეცურა ერთსა და იმავე მდინარეში და „ინტერში" დაბრუნდა; მუშაობდა „გრასჰოპერში", კოპენჰაგენში (2000–01 სეზონში მოიგო დანიის პირველობა); ისევ სერია A და წარუმატებლობები „უდინეზეში" (2001); მან ცხოვრების მიერ ნაბოძები დიდი შანსი გაუშვა ხელიდან, როცა არაბი შეიხების მიერ შეპირებული მილიონი დოლარი ვერ გამოიმუშავა. (მისმა გუნდმა სპარსეთის ყურის თასზე წარუმატებლად იასპარეზა). არაბეთის შემდეგ ის ნაცნობ ჩრდილოურ გარემოს დაუბრუნდა და ნორვეგიის „ვიკინგი" ჩაიბარა, შემდეგ ფინეთის ნაკრებს მოჰკიდა ხელი, რომელთან ერთადაც, მას ნახევარი ნაბიჯი დააკლდა ევრო 2008-ზე გასასვლელად. სუომის ნაკრები სწორედ ისეთ პრაგმატულ ფეხბურთს თამაშობდა, როგორსაც ახლა ვადევნებთ თვალს "ფულჰემის" შესრულებით.

*„როცა სამუშაოდ „ფულჰემში" მივედი, გუნდში უამრავი ფეხბურთელ ი იყო. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სამი-ოთხი თითოეულ პოზიციაზე. ბევრ მათგანს სათამაშო დრო სულ არ ეძლეოდა, მაგრამ ბუნებრივია, კუთვნილ ხელფასს ყველა მათგანი იღებდა, ეს კი კლუბს სერიოზული თანხები უჯდებოდა. ახლა ჩემს განკარგულებაში 23 ფეხბურთელია, აქედან სამი მეკარე. ჩემს გუნდში თამაშის შანსი ყველას მიეცემა". „ბოლოს და ბოლოს მივაღწიეთ იმას, რომ ჩემი თანაგუნდელები ბურთის თავიდან მოშორებას კი არა, კომბინაციური ფეხბურთის თამაშს ცდილობენ,"* - ეს უკვე ფულჰემელთა გერმანელი ლეგიონერის **მორიტც ფოლცის** სიტყვებია, რომელიც მან ახალი მწვრთნელის დანიშვნიდან ძალიან მალე წარმოთქვა. ჰოჯსონმა გუნდის შენება დაცვიდან დაიწყო, რადგან უკანა ხაზი მისთვის ყოველთვის იყო გუნდის საფუძველი. ამ მიზნით მან „კოპენჰაგენიდან" მისი საყვარელი შეგირდი, ნორვეგიის ნაკრების კაპიტანი **ბრედ ჰანგელანდი** გადაიბირა, ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და სტაბილურ ფეხბურთელად მიიჩნევა.

„ფულჰემისთვის" ისედაც რთული სეზონი, ჰოჯსონის ხელში ასევე კოშმარულად გაგრძელდა - ზედიზედ სამი წაგების გარდა, ყველაზე შემაშფოთებელი იყო თამაშის საშინელი ხარისხი. გამოითქვა ვარაუდი, რომ ალ ფაიედმა მორიგი, ამჯერად უკვე საბედისწერო შეცდომა დაუშვა. პრესაში სახელდებოდა კონკრეტული გვარიც კი, ვისაც გამოცდილი კოლეგა ბოლო ტურებში უნდა შეეცვალა. ლაპარაკი იყო „ჰიბერნიანის" თავკაც **ჯონ კოლინზზე**. *„მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც უბედობას ასე იოლად ნებდება. ამჟამად ჩვენ ცუდად ვთამაშობთ, ცოტა გაგვაქვს და ბევრს ვუშვებთ,"* - თავს იმართლებდა ჰოჯსონი. ხელი მოუსვი და გეშველებაო, ნათქვამია. „ფულჰემსაც" ასე მოუვიდა. ფეხბურთელებმა ღირსეულ დონეზე ასპარეზობა მხოლოდ ბოლო ტურებში შეძლეს, როცა ოთხიდან სამი თამაში მოიგეს. გადარჩენილის გამოსავლენად, შეიძლება ითქვას, რომ ფოტოფინიშის გამოყენება გახდა საჭირო: „რედინგს" ბურთების ბალანსი ცოტათი უარესი აღმოაჩნდა. გუნდის ძალზე სუსტი თავდასხმის ცოტა ფერზე მოსაყვანად მწვრთნელმა **ენდი ჯონსონი** და **ბობი ზამორა** გადაიბირა. მათ დადებითი გავლენა იქონიეს არამხოლოდ იმით, რომ თავად გააქვთ გოლები, არამედ იმითიც, რომ სხვებს უმართავენ ხელს გოლების გატანაში. გუნდური მექანიზმი ძალზე ეფექტურად ამუშავდა. "ფულჰემის" საუკეთესო ბომბარდირად დღემდე ნახევარმცველი რჩება, ლაპარაკია **კლინტ დემპსიზე**. რომ არა ეს უკანასკნელი და რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერი **ჯიმი ბულარდი**, „ფულჰემის" საქმე მთლად ჭაკად იქნებოდა. „დარწმუნებული ვარ, რომ თუკი შემადგენლობას სტაბილურად შევინარჩუნებთ, იმდენად მოვძლიერდებით, რომ მალე ბევრი ლამაზი გოლი ჩვენი შესრულებით ალარავის გაუკვირდება. ეს მხოლოდ დროის ამბავი მგონია, რადგან ჩვენ საკმაოდ ბევრი მომენტის შექმნას ვახერხებთ, ერთადერთი რაც გვაკლია, სტაბილურობაა. გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის მიმდინარე სეზონი ერთ-ერთი საუკეთესოა სამწვრთნელო ტექნიკის სრულყოფის თვალსაზრისით. შესრულებული სამუშაოს თვალსაზრისით, მართლა კმაყოფილი ვარ," - განაცხადა ჰოჯსონმა.

თუმცა მიუხედავად ოპტიმიზმისა, სასურველია, რომ გუნდმა გასვლითი შეხვედრების უკეთესად ჩატარება ისწავლოს. „ქრევეინ კოტეჯის" მიღმა ლონდონელებს სულ რაღაც 5 ქულა აქვთ აღებული და გატანით კი სულ ორი გოლის გატანა მოახერხეს. თავად ჰოჯსონი ამისგან ტრაგედიას ვერ ხედავს და სულაც არ რცხვენია, როცა მშობლიური სტადიონის მიღმა ის მხოლოდ მკაცრად დაცვითი ტაქტიკით თამაშობს, ქულას ხომ სუნი არ აქვს... ამასთან, ფულჰემელები პრემიერლიგის ყველაზე დისციპლინირებულ გუნდად მიიჩნევიან. მათ ანგარიშზე ყველაზე ცოტა ყვითელი ბარათია.

**შალვა ბიბილაშვილი**



ატლეტიკო



# მეორე ულტიმატუმი აგირეს

„ატლეტიკომ" 2009 წელს ყველა თამაში წააგო. მადრიდულმა კლუბმა გასულ ტურში მშობლიურ „ვისენტე კალდერონზე" „ბილბაოსთან" შეირცხვინა თავი. გულშემატკივრებმა ეს წარუმატებლობა მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვეს. კარგად იცით, რომ ისინი ისედაც გაბრაზებული იყვნენ და **ხვიერ აგირეს** გადაყენებას ითხოვდნენ. მართალია, **ენრიკე სერესო** მწვრთნელის გათავისუფლებაზე საუბარს გაურბოდა, მაგრამ იძულებული გახდა, ხალხის ხმა შეესმინა. გუშინ ესპანური კლუბის პრეზიდენტმა მექსიკელ სპეციალისტს მორიგი ულტიმატუმი წაუყენა. მორიგი იმიტომ, რომ ამ სეზონში აგირეს ერთხელ უკვე უთხრეს, თუ მომდევნო სამ შეხვედრას არ მოიგებ, თანამდებობას გამოეთხოვებიო. მაშინ „როხიბლანკომ" ამოცანა ვერ შეასრულა, მაგრამ სენიორ სერესომ აგირე მაინც არ გადააყენა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ულტიმატუმი უფრო მკაცრი და დაუნდობელი იქნება. ახლა უკვე ყველა თამამად საუბრობს, რომ სენიორ ხავიერის მომავალი ბეწვზე კიდია. ყველაფერი, ალბათ, მომდევნო ორ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული. „ატლეტიკო" პრაქტიკულად გადაუჭრელი ამოცანის წინაშე დგას. საქმე ის არის, რომ სერესო მთავარი მწვრთნელისგან სათასო შეხვედრაში „ბარსელონის" „კამპ ნუზე" დამარცხებას ითხოვს. ამის შემდეგ კი „ალმერიასთან" გამარჯვებას ელოდება. „დიარიო ასის" მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ „ატლეტიკო" დასახულ მოკლევადიან ამოცანას ვერ გადაჭრის, გუნდის დამრიგებლის პოსტი ვაკანტური გახდება.

მიმომხილველების თქმით, რიგით მეორე ულტიმატუმი გულშემატკივრების შეუპოვარი ბრძოლის შედეგია. მათ უკმაყოფილება რადიკალურად რომ არ გამოეხატათ, შესაძლოა, სერესოს თავი ასე არ შეეწუხებინა. უკვე მრავალი წელია, რაც „ატლეტიკო" ჩაკეტილ წრეში ტრიალებს და ერთსა და იმავე პრობლემებს ებრძვის. ყოველი სეზონის დაწყების წინ გუნდი ამბიციურ მიზნებს ისახავს, მაგრამ სეზონის მსვლელობისას აღმოჩნდება ხოლმე, რომ „როხიბლანკო" ამ მიზნების ხორცშესხმისთვის მზად არ არის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ისმის კითხვა, რა სჭირს „ატლეტიკოს"?! გულშემატკივრებს, ალბათ, ძალიან ბევრი პასუხი ექნებათ, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, ჩვენი მოსაზრებაც გაგიზიაროთ. დიახ, „ატლეტიკო" ამბიციური გუნდია, მაგრამ საკითხავია, მისი რეალური შესაძლებლობები ამ ამბიციებს რამდენად შეესაბამება. თუ შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ „როხიბლანკოს" საჩემპიონო ფეხბურთელები არ ჰყავს. რა თქმა უნდა, **სერხიო აგუერო** თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფორვარდია, მაგრამ მას ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ დიდი შეხვედრების ბედი მარტომ გადაწყვიტოს და გუნდი უმაღლეს მწვერვალებზე აიყვანოს. დანარჩენი ფეხბურთელებიც საკმაოდ ნიჭიერები არიან, თუმცა ისინი ჩემპიონობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შესწვდნენ, თუ „ბარსელონა" და „რეალი" სეზონს ჩააგდებენ.

არ შეიძლება მთავარ მწვრთნელზეც არ გავამახვილოთ ყურადღება. აგირე ძალიან საინტერესო სპეციალისტია, მაგრამ ცხოვრებამ არაერთხელ დაგვანახა, რომ ამ კაცს „ატლეტიკოს" მგლური მადის დაკმაყოფილება არ შეუძლია. აგირე არაჩვეულებრივი იყო „ოსასუნაში", „ვისენტე კალდერონზეც" არა ერთი გენიალური მატჩი „დადგა", მაგრამ საფეხბურთო წარმატება ხანგრძლივი პროცესის პროდუქტია და მის მიღწევას სხვა მარიფათი, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. მარტივად რომ ვთქვათ, ენრიკე სერესოს ამბიციების დასაკმაყოფილებლად არა აგირეს, არამედ **კაპელოს, ლიპის, ბენიტესისა** და სხვა ამ რანგის სპეციალისტები სჭირდება. სხვა საკითხია, ამას „ატლეტიკოს" ჯიბე და პრესტიჟი რამდენად გაწვდება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ამოცანის გადასაჭრელად მადრიდელებს უპირველესი ხარისხის ვარსკვლავებიც დასჭირდებათ...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ოტმარ ჰიტცფელდი

# ნურავინ იტყვის, რომ ნაკრების გაწვრთნა უფრო ადვილია, ვიდრე კლუბის

## გენერალი 60 წლისაა

2008 წელი სხვა ყველაფერთან ერთად, ბუნდესლიგისთვის ორი ფაქტით იყო გამორჩეული: ოლივერ კანისა და ოტმარ ჰიტცფელდის წასვლით. ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა, ყველა დროის ყველაზე წარმატებულმა გერმანელმა მწვრთნელმა კი შვეიცარიას მიაშურა, სადაც ქვეყნის პირველი გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. „გენერალი" ბუნდესლიგას ცრემლებით და გამარჯვებული გამოეთხოვა - თავის უკანასკნელ სეზონში მან „ბაიერნს" კიდევ ერთხელ მოაგებინა თასი და ბუნდესლიგა. გუშინ ჰიტცფელდი 60 წლის გახდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ოტმარს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ჩამოართვეს.

**- ჰერ ჰიტცფელდ, 2008 წელი ახლახან გასრულდა. რომელია წლის საუკეთესო მოგონება თქვენთვის?**

- ყველაზე ემოციური მოგონება „ბაიერნთან" და ზოგადად ბუნდესლიგასთან გამომშვიდობებაა. გერმანიაში მოღვაწეობასთან ერთად, მწვრთნელის საკლუბო კარიერაც დავასრულე. მანამდე თვალცრემლიანი ჰიტცფელდი არავის ენახა, იმ მომენტში კი იმდენად დავიტვირთე ემოციებით, რომ თავი ველარ შევიკავე და ავტირდი. ზოგადად, ეს წელი ჩემთვის გარდამტეხი გამოდგა და უნდა ვთქვა, რომ 2008 წლით უაღრესად კმაყოფილი ვარ. კიდევ ერთხელ გავხდი გერმანიის ჩემპიონი, მოვიგე თასი და დავინიშნე შვეიცარიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, რომელიც 2010 წლის მუნდიალზე უნდა გავიყვანო.

**- შესარჩევ ციკლში შვეიცარიას თავიდან ძალიან გაუჭირდა. რა განსხვავებაა ნაკრებისა და კლუბის გაწვრთნას შორის?**

- ნაკრები სულ სხვა სამყაროა, უფრო საინტერესო თავგადასავალია, ვიდრე ყოველდღიური სამსახური. კლუბში მწვრთნელის სეზონისთვის მოსამზადებლად 6 კვირა და 10 ტესტმატჩი აქვს. ამ ხნის განმავლობაში არაერთი ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება. ხოლო როცა ნაკრების მწვრთნელი ხარ, ფეხბურთელებს თამაშამდე 4-5 დღით ადრე ნახულობ და დავალება კი იგივეა, რაც კლუბის შემთხვევაში - გუნდი იდეალურად უნდა მოამზადო. ნაკრების მომზადებისთვის გაცილებით ნაკლები დრო და ტესტმატჩებია. სიმართლე გითხრათ, თავიდან ასეთ სტილთან შეგუება ძალიან გამიჭირდა და ნურავინ იტყვის, რომ ნაკრების გაწვრთნა უფრო ადვილია, ვიდრე კლუბისა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაკრებში ერთ შეცდომას მალე ვერ გამოასწორებ. შეიძლება, საერთოდაც ველარ გამოასწორო. კლუბში კი შეცდომებზე სწავლა და მათი გამოსწორება უფრო ადვილია. თუმცა კლუბის შემთხვევაში მწვრთნელს უფრო მეტი სტრესი აქვს. ერთი სიტყვით, ნაკრების მწვრთნელობა ძალიან საინტერესო სამსახურია. ფეხბურთელებს სხვადასხვა ქვეყანაში ვაკვირდები, შესაბამისად, ბევრს ვმოგზაურობ. ასე რომ, სამსახურში ვაკეთებ იმას, რაც ზოგადად ჩემი ჰობია - მოგზაურობას ვგულისხმობ.

**- ბუნდესლიგაში უამრავი შვეიცარიელი ფეხბურთელი თამაშობს. რატომ სარგებლობს შვეიცარიაში გერმანიის ჩემპიონატი ესოდენ დიდი პოპულარობით?**

- რატომ არ უნდა სარგებლობდეს? ბუნდესლიგა ხომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. თანაც, გერმანული კლუბების დიდი სიამოვნებით ყიდულობენ ახალგაზრდა შვეიცარიელ ფეხბურთელებს, რადგან ეს ის ქვეყანაა, სადაც ახალგაზრდა მოთამაშე ტაქტიკურად უკვე ძალიან განსწავლულია.

**- მოგწონთ თუ არა, რომ მიმდინარე სეზონში გერმანული კლუბების დიდი ნაწილი ძალიან შემტევ ფეხბურთს თამაშობს?**

- მინდა ვთქვა, რომ გერმანიის ჩემპიონატი სერიოზულ პროგრესს განიცდის. ბოლო წლებში გერმანიაში ფეხბურთისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის დამსახურებაა. სტადიონები თითქმის ყველა თამაშზე სავსეა და გერმანიას ევროპაში ისევ საუკეთესო დასწრება აქვს. შემტევი ფეხბურთი კი ხალხისთვის დამატებითი მოტივაციაა. მართალია, ჩემი გუნდები ალვირახსნილ ფეხბურთს არასდროს თამაშობდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემტევი ტაქტიკა არ მომწონს.

**- როგორ შეაფასებდით „ბაიერნის" მიერ ჩატარებულ პირველ წრეს და თქვენი შემცვლელის, იურგენ კლინსმანის მუშაობას?**

- არ მჩვევია იმ მწვრთნელების შეფასება, რომლებიც ამა თუ იმ გუნდში ჩემ მერე მივიდნენ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „ბაიერნმა" ბოლოს ძალიან სერიოზული სერია „გამოაცხო", ძველებური ფორმა დაიბრუნა და პირველი წრე კარგად დაასრულა. ვფიქრობ, რომ რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს.

**- გერმანიის ჩემპიონობისთვის და თასისთვის ბრძოლაში „ბაიერნი" ყოველთვის ფავორიტია. ჩემპიონთა ლიგის პერსპექტივებზე რას იტყვით?**

- „ბაიერნს" აქვს იმის პოტენციალი, რომ ჰეთ-თრიკისთვის იბრძოლოს. გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ისე კარგად დაბრუნდა, რომ ვერავინ იტყვის, ამ ტურნირის მოგება არ შეუძლიაო. პოტენციალი არის, სხვა საქმეა, როგორ წავა საქმეები...

**- ყოველთვის ამბობთ, რომ „ბაიერნის" შემდეგ თქვენი საყვარელი გუნდი დორტმუნდის „ბორუსიაა". ვესტფალიურ კლუბზე რას გვეტყვით, როგორ მოგწონთ „ბორუსია" იურგენ კლოპის ხელში?**

- პროგრესი აშკარაა! „დორტმუნდს" კლოპმა ახალი სული შთაბერა და მკვდარი გუნდი ისეთ ენერგიულ კოლექტივად გადააქცია, როგორიც თვითონაა. დარწმუნებული ვარ, რომ დორტმუნდელები წელს მინიმუმ უეფას თასის საგზურს მოიპოვებენ.

**- ზამთარში ბუნდესლიგა ყველაზე დიდხანს ისვენებს ხოლმე, მაგრამ გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო ტრადიცია დაირღვევა და მხოლოდ სამკვირიანი პაუზა გამოცხადდება. თქვენ რომელი გირჩევნიათ, ხანგრძლივი თუ ხანმოკლე არდადეგები?**

- ყოველთვის მიხაროდა, რომ ბუნდესლიგაში ხანგრძლივი შესვენება ცხადდებოდა, რადგან დასვენება ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს კალენდარი ისეთი გადატვირთულია, რომ ფეხბურთელები ნორმალურად დასვენებას ვერ ახერხებენ. ცხადია, ფანებს გაუხარდებათ, პაუზა ხანმოკლე რომ იყოს, მაგრამ ისინიც უნდა მიხვდნენ, რომ ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებათ.

**- ტიმო ჰილდებრანდი ბუნდესლიგაში დაბრუნდა და „ჰოფენჰაიმში" ითამაშებს. ამ ტრანსფერზე რას იტყვით?**

- ჰილდებრანდის ტრანსფერით „ჰოფემ" ყველას დაანახვა, რომ გუნდის გეგმები სერიოზულია. გარდა ამისა, ეს გუნდი უფრო და უფრო საინტერესო ხდება, რადგან ჰილდებრანდი ის მოთამაშეა, რომელიც გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაში მოიაზრება.

**- 2009 წლისგან რას ელით?**

- ჩემთვის, როგორც შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი, ფაქტობრივად, გადამწყვეტი წელი იქნება. იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ჰოფენჰაიმი



რალფ რანგნიკმა უკან დაიხია

# რანგნიკმა ტონი შეცვალა

## ჩვენ არ ვართ ბაიერნის კონკურენტებიო...

ერთი თვის წინ „ჰოფენჰაიმიდან" სულ სხვანაირი ხმები ვრცელდებოდა, დღეს კი კარდინალურად განსხვავებული სურათია. „ჰოფეს" მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** ყველასათვის მოულოდნელად, **ტონი** შეცვალა და ამბობს, რომ მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უპირველესი და უკონკურენტო ფავორიტია. ეს იმ დროს, როცა პირველი წრის მიწურულს „პროფესორი რალფი" რეკორდმაისტერს ყველა მხრიდან უტევდა, ბავარიული გრანდის ფეხბურთელების სკალპებს ითხოვდა და პირდაპირ აცხადებდა, მხოლოდ და მხოლოდ „ვერცხლის სინისთვის" ვიბრძოლებთო.

რა შეიცვალა ზამთრის არდადეგების დროს? არ ვიცით! ფაქტი კი ისაა, რომ 50 წლის სპეციალისტმა, რომელიც თავის გუნდს მეორე წრისთვის ესპანეთში, კერძოდ კი ლა მანიაში ამზადებს, ფირფიტა გადააბრუნა. *„თუკი მიუნხენური კლუბი ნორმალურ სეზონს ჩაატარებს და კრიზისი არ ექნება, მაშინ ეს გუნდი ულაპარაკოდ გახდება გერმანიის ჩემპიონი. ჩვენ კარგად ვიცით და გააზრებულიც გვაქვს ის, რომ ბუნდესლიგაში მხოლოდ წელს გადმოვედით და არ ვაპირებთ საკუთარი თავის „ბაიერნის" თანასწორად მიჩნევას,* - აცხადებს რანგნიკი „ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *ჩვენ ბუნდესლიგაში ყველაზე ახალგაზრდა გუნდი გვყავს და რომ დავთვალოთ, აუცილებლად ისე იქნება, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ბუნდესლიგაში ყველა სხვა გუნდის მოთამაშეებზე ნაკლები მატჩი აქვთ ჩატარებული. ცხადია, ვერ დავიჩემებთ, რომ გამოცდილება არ არის მნიშვნელოვანი. „ბაიერნი" ჩვენზე გაცილებით გამოცდილი გუნდია. არ ვფიქრობ, რომ „ჰოფენჰაიმი" რეკორდმაისტერის კონკურენტია."*

რას ნიშნავს ეს ყოველივე? ნუთუ რანგნიკმა მოვლენები უფრო რეალურად შეაფასა? ან იქნებ ეს პროფესორის მიერ გაკეთებული განსაკუთრებული სვლაა მზაკვრული ჩანაფიქრით? ფაქტი ის არის, რომ „ჰოფენჰაიმის" მწვრთნელი სხვანაირად ალაპარაკდა. არადა, ყველას გვახსოვს მისი მიზანმიმართული, ძალიან მკვახე გამონათქვამები „ბაიერნის" მისამართით.

*„უნდა ვაღიარო, რომ როცა ვთქვი, ვისაც ბევრი ლაპარაკის მოსმენა სურს, მიუნხენში წავიდეს და ვისაც ლამაზი ფეხბურთის ხილვა უნდა, ჩვენთან ჩამოვიდეს-მეთქი, ეს სპეციალურად „ბაიერნის" გასაბრაზებლად გაკეთებული განცხადება იყო. მანამდე მიუნხენელები ჩვენს გუნდს მწარედ კბენდნენ და მეც ეს განცხადება წინასწარ მოვიფიქრე და დავგეგმე,"* - აცხადებს რანგნიკი.

ერთი სიტყვით, „ჰოფენჰაიმი" პოლიტიკას არ ცვლის, უბრალოდ აქცენტი გუნდის გაუმჯობესებაზე გაკეთდება და არა „ბაიერნის" დევნაზე - მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით „ჰოფე" მდევრის რანგში არ არის, როგორც იცით, „სოფლელებმა" პირველი წრე მოიგეს. *„ჩვენი უმთავრესი მიზანი ფეხბურთელების პროგრესია. თუკი მეორე წრეშიც ისე ვითამაშებთ, როგორც პირველში, მაგრამ უიღბლობის გამო რამდენიმე თამაშს წავაგებთ და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავალთ, მაინც ბედნიერი ვიქნები. უფრო ბედნიერი, ვიდრე იმ შემთხვევაში, ცუდად რომ ვითამაშოთ, გაგვიმართლოს და მეოთხეზე გავიდეთ,"* - ასეთია „პროფესორ რალფის" ფილოსოფია. ბევრმა მისი ეს განცხადებები, შესაძლოა, თავის დაზღვევად აღიქვას...

ტრანსფერი

# გიჟი პრინცი დორტმუნდში!

## კევინ ბოატენგი ბუნდესლიგაში ბრუნდება

დორტმუნდის „ბორუსიამ" მეტად ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა. ვესტფალიურმა კლუბმა „ტოტენჰემიდან" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველი **კევინ-პრინს ბოატენგი** გადაიბირა, რომელიც 2007 წელს ბერლინის „ჰერტადან" „ტოტენჰემში" 7.8 მილიონ ევროდ გაიყიდა. ბოატენგი, რომელიც გერმანიის მოქალაქეა და გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში მუდმივად თამაშობდა, ბოლო დროს „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. სწორედ ამიტომ, „მამლებმა" მისი განათხოვრება გადაწყვიტეს. ბოატენგი „ბორუსიაში" სეზონის ბოლომდე არენდის წესით ითამაშებს და „ბორუსიამ" „ტოტენჰემს" ამისათვის 500 000 ევრო გადაუხადა. თანაც, „დორტმუნდმა" ახალგაზრდა ნახევარმცველის შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო.

ბოატენგი უნიჭიერეს ფეხბურთელად მიიჩნევა, მაგრამ მას ყოველთვის თან სდევდა სკანდალი. „ჰერტაში" თამაშისას მას მთავარ მწვრთნელ **ფალკო გიოტცთან** ჩხუბი მოუვიდა, „ტოტენჰემში" კი კინაღამ გუნდის ყოფილი სპორტული დირექტორი **დამიენ კომოლი** შემოელახა. ამის გამო გარკვეული დროის განმავლობაში პირველი გუნდიდანაც კი გააგდეს. „ბორუსიის" მენეჯერი **მიხაელ ცორკი** ამბობს, ბოატენგი „ბორუსიას" ისე უყურებს, როგორც უდიდეს შანსს და იმისათვის, რომ ჩვენთან ეთამაშა, ხელფასის საკმაოდ დიდ ნაწილზე თქვა უარიო.

კევინ-პრინსის ნახევარძმა **ჯერომთან** (20 წლის, „ჰამბურგი") და კიოლნელ **დერეკთან** ერთად ბუნდესლიგის მესამე ბოატენგია. „ბორუსიას" საყრდენი ნახევარმცველი ძალიან სჭირდებოდა, რადგან როგორც იცით, ვესტფალიელებმა **მარკ-ანდრე კრუსკა** 700000 ევროდ ბელგიურ „ბრიუგეს" მიჰყიდეს, კაპიტანი **სებასტიან კელი** კი ტრავმირებულია. *„კევინი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც მოედნის ცენტრში მჭირდებოდა,"* - შვებით ამოისუნთქა **კლოპმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. დიდი მატჩის გამოხმაურება

# მილანურ-რომაული ოპტიმიზმი

## ანჩელოტი ბექჰემით კმაყოფილია



**იტალიის** ჩემპიონატის მე-18 ტურის ცენტრალური შეხვედრა რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც „რომამ“ „მილანს“ უმასპინძლა. მატჩი ევროპული მასშტაბით უდიდეს ინტერესს იწვევდა, ოლიმპიკოზე ხომ **დევიდ ბექჰემის** დებიუტი უნდა შემდგარიყო სერია A-ში. შედგა კიდეც. თანაც, ბევრისთვის მოულოდნელად, **კარლო ანჩელოტიმ** ინგლისელი სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და როგორც თვითონ განაცხადა, არც ნაუგია. მართალია, ბექჰემს თავისი საუკეთესო თამაში არ უჩვენებია, მაგრამ არც ამოვარდნილი გახლდათ საერთო სურათიდან. იტალიურ ფეხბურთში დებიუტი ურთულესი საქმე რომ არის, კარგად მოგეხსენებათ და ამ ფონზე, ბექზის გარჯა უარყოფითად ნამდვილად არ უნდა შეფასდეს. ასე ფიქრობს იტალიური მედიაც, თითქმის ყველა გამოცემამ დევიდი დადებითად შეაფასა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ბექჰემი ტელეკომპანია „რაიუნოს“ ესტუმრა და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა:

*„ძალიან რთული მატჩი იყო, რომელშიც შეიძლებოდა ორივე გუნდს მოეგო. თუმცა, ვფიქრობ, რომ ფორტუნამ სწორედ ჩვენ გვაქცია ზურგი. არაერთი ხელსაყრელი მომენტი გავუშვით ხელიდან და ერთი მაინც რომ გაგვეტანა, ყველაფერი დამთავრდებოდა. თუმცა, ფრეც არ არის ურიგო შედეგი, რადგან „რომა“ ძლიერი გუნდია და მისი ოლიმპიკოზე დამარცხება იოლი საქმე არ არის. რაც შეეხება პირადად ჩემს თამაშს, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. თავს უცხოდ არ ვგრძნობდი და თამაში არ გამჭირვებია, ეს კი პირველ რიგში, ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ „მილანს“ სკუდეტოს მოპოვება შეუძლია. ამ გუნდში თავი მოიყარეს უდიდესმა ფეხბურთელებმა, რომელთაც ნებისმიერი მიზნის მიღწევა ძალუძთ. საჭიროა მცირე დრო, რომ მექანიზმი კიდევ უფრო მძლავრად ამოქმედდეს. მადლობა მინდა გადავუხადო კარლო ანჩელოტის, ვინც გარისკა და პირველივე შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში გამამწესა. ეს ჩემ მიმართ გამოცხადებული დიდი ნდობაა და ვეცდები გავამართლო. რა აზრის ვარ „ინტერზე“? - ძალიან ძლიერი გუნდია და ამაში გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მიუხედავად იმისა, რომ „ნერაძურიმ“ „კალიარის“ ქულები გაუყო, გუნდმა მძლავრი შთაბეჭდილება დატოვა. მოურინიოს ფანტასტიკური ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც მოედანზე დიდ საქმეებს აკეთებენ. თუმცა „მილანს“ უფრო მეტი შეუძლია და ამას, ჩვენ აუცილებლად დავამტკიცებთ. ჩემი მიზანია, გუნდმა სკუდეტო მოიგოს და ამაში წვლილი შევიტანო“.*

ბექჰემს ინგლისის ნაკრებზე და **ფაბიო კაპელოზეც** დაეკითხნენ: *„ჩემი იტალიაში ჩამოსვლის უმთავრესი მოტივი სწორედ ეროვნული ნაკრები გახლავთ. ძალიან მინდა, რომ ინგლისის უმთავრეს გუნდში ვიასპარეზო და იმედია, სენიორ ფაბიო ამ მონდომებას დამიფასებს. „რეალში“ ყოფნისას, მე და კაპელოს შორის მართლაც იყო გაუგებრობები, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მეც და ფაბიოც ინგლისს ვემსახურებით და არ გვაქვს უფლება, საკუთარი ინტერესები საქმეზე წინ დავაყენოთ. კაპელო ძალიან დიდი მწვრთნელია და მიხარია, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი მის ხელშია. დარწმუნებული ვარ, მასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზებთ“.*

არადა, დევიდ ბექჰემი „რომასთან“ მატჩისთვის სასტარტოში არ მოიაზრებოდა, ამის შესახებ პრესასთან საუბარში თავად ანჩელოტიმ განაცხადა. ბუნებრივია, მატჩის შემდეგ კარლეტოს სწორედ ამ საკითხზე მოუხდა კომენტარის გაკეთება:

*„პირველ რიგში, ბოდიში მინდა მოვიხადო, რადგან ჟურნალისტები მოვატყუე. ის, რომ დევიდი სასტარტო შემადგენლობაში იქნებოდა, მატჩამდე ერთი დღით ადრე გადავწყვიტე, ეს ბექჰემსაც ვუთხარი, თუმცა დავუმალე ჟურნალისტებს. ეს ამბავი დიდ რეზონანსს გამოიწვევდა და ამით დევიდს მხოლოდ ვავნებდით. ინგლისელი დუბაიში ძალიან მონდომებული იყო და ძირითადში დაყენებით, ერთგვარი საჩუქარი გავუკეთე. ბექჰემი ინტელიგენტი ფეხბურთელია და ახალ გარემოსთან შეგუება არ გასჭირვებია. ძალიან კარგად ითამაშა და ჩემი დავალებები ბოლომდე შეასრულა. კმაყოფილი ვარ მისი თამაშით და იმედია, ასევე გააგრძელებს. რომში თამაში იოლი არასდროს ყოფილა და ალებული ქულა აქტივში უნდა ჩავიწეროთ. „რომა“ ნამდვილი გამოცდაა და ხშირად ამ გამოცდას ვერ ვაბარებთ. დღეს შეგვეძლო თამაში მოგვეგო კიდეც, საამისოდ სულ მცირედი დაგვაკლდა. დაწინაურების შემდეგ გატანის არაერთი შესაძლებლობა გვქონდა და ერთი მაინც უნდა შეგვეგდო, თუმცა რაც იყო, იყო. მთავარია, წინ ვიყუროთ და მომავალზე ვიფიქროთ. პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ სკუდეტოს მოპოვება ხელგვეწიფება. თებერვლიდან ოპტიმალურ კონდიციამდე უნდა მივიდეთ და ჩემპიონატის ჩარხი ჩვენკენ შემოვაბრუნოთ. ეს ჩემი და თითოეული ფეხბურთელის მიზანია“.*

დევიდ ბექჰემთან ერთად, ყურადღების ცენტრში გახლდათ **ალეშანდრე პატო**, ვინაც დუბლი შეასრულა და მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა. განსაკუთრებით ეფექტური მისი მეორე გოლი იყო, თითქმის ცენტრიდან წამოილო ბურთი, გზად ორი ფეხბურთელი ჩამოიცილა და ტექნიკური დარტყმით დონი უშანსოდ დატოვა. მოვუსმინოთ ახალგაზრდა ბრაზილიელს:

*„ძალიან რთული თამაში იყო, რომელიც ლოგიკური შედეგით დასრულდა. შესაძლოა, გამარჯვებასთან ახლოს უფრო ჩვენ ვიყავით, მაგრამ „რომამაც“ შესანიშნავად ითამაშა და ქულა ნამდვილად დაიმსახურა. ჩემს გოლებზე რა უნდა ვთქვა? - პირველ შემთხვევაში, კაკამ იდეალური პასი მომცა და გატანის გარდა, აღარაფერი დამრჩენოდა. რაც შეეხება მეორე გოლს, მართლაც კარგი დრიბლინგი გამომივიდა, ამ ეპიზოდს შინ ალბათ არაერთხელ ვნახავ. „მილანში“ თამაში დიდი ბედნიერებაა, ასეთ პარტნიორებთან თავს უხერხულადაც კი ვგრძნობ. თითოეული მათგანი ნამდვილი ვირტუოზია და მადლობა ღმერთს, რომ მათ გვერდით მიწევს თამაში. სამწუხაროდ, „ინტერთან“ ქულათა სხვაობა ვერ შევამცირეთ, თუმცა მომავალს მაინც ოპტიმიზმით ვუყურებთ. წინ დიდი გზაა და ჯერ კიდევ ბევრჯერ შეიცვლება მდგომარეობა. მთავარია, საჭირო დროს ვიყოთ ოპტიმალურ ფორმაში“.*

როგორც ვხედავთ, რომაული ფრით „მილანელები“ არცთუ უკმაყოფილონი არიან და მომავალს ნათელ ფერებში ხედავენ. იგივე ვითარებაა „რომას“ ბანაკშიც და ამაზე **ლუჩანო სპალეტის** სიტყვებიც მოწმობს:

*„ფანტასტიკური საღამო იყო, რომელმაც თითოეულ ჩვენგანს დიდი სიხარული მოგვიტანა. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად დავწინაურდით. მეორე ნახევრის სტარტზე კი რაღაც მოიშალა მექანიზმში და მეტოქემ ეს კარგად გამოიყენა. მახარებს ის, რომ მოვლენათა ასეთმა განვითარებამ წელში არ გაგვტეხა, ჩვენ გავაგრძელეთ ბრძოლა და ანგარიშიც გავათანაბრეთ. სწორედ ასეთი მებრძოლი „რომას“ ხილვა მსურს მომავალშიც. რაც შეეხება, სატურნირო მდგომარეობას - ჯერ კიდევ შორს ვართ ოთხეულისგან, თუმცა ეს არ გვაშინებს. ზუსტად ვიცი, რომ ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უახლოეს პერიოდში ჩავერთვებით. ორიოდე სიტყვას „მილანზეც“ ვიტყვი. ამ გუნდმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი თანავარსკვლავედი მართლაც იშვიათია და მიხარია, რომ ამ რანგის მეტოქესთან ღირსეულად ვიასპარეზეთ. ანჩელოტის დიდი რესურსი აქვს და დარწმუნებული ვარ, ამას კარგადაც გამოიყენებს. „როსონერი“ სკუდეტოს მოპოვების მთავარ პრეტენდენტად მიმაჩნია და ჩემს მეგობარ კარლეტოს წარმატებებს ვუსურვებ“.*

პატოს მსგავსად, დუბლით გამოირჩა **მირკო ვუჩინიჩი**, ვინაც „მილანს“ ორი შესანიშნავი გოლი გაუტანა. ჩერნოგორიელი მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია და **ფრანჩესკო ტოტის** არყოფნაში, გუნდის ლიდერად გვევლინება. შეხვედრის შემდეგ მირკო კარგ გუნებაზე გახლდათ:

*„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებს, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს და მეტოქეს გამარჯვება არ დაანებეს. ჩემი გოლები სწორედ მათი გარჯის ნაყოფია. ფრე ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის, ჩვენ წინააღმდეგ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი თამაშობდა. ჩვენი მიზანი ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაა. ვეცდებით, გულშემატკივარი გავახაროთ და იმედია, ეს ასეც იქნება. ტიფოზები დღეს გულმხურვალედ გვქომაგობდნენ და ის, რომ არ დავმარცხდით, მათი დამსახურებაა“.*

ერთი სიტყვით, რომაული მატჩით და მისი შედეგით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. „რომაც“ და „მილანიც“ მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ. სულ ბოლოს გამცნობთ, რომ მე-19 ტურში „როსონერი“ „ფიორენტინას“ მიიღებს, „ჯალოროსი“ კი „ტორინოს“ ესტუმრება.

ვარსკვლავური აზრი

# დელ პიერომ, მთავარი ქულებიაო



**ალესანდრო დელ პიერომ** სეზონის პირველი ნახევარი დიდებულად ჩაატარა და როგორც ჩანს, ტემპის დაგდებას არც სამომავლოდ აპირებს. გასულ უქმეებზე, ტურინულმა გრანდმა „სიენას“ მოკრძალებულად მოუგო (1:0), ერთადერთი გოლი კი სწორედ **პინტურიკიომ** გაიტანა. ნამატჩევს, ალექსი გახარებული გახლდათ და პრესასაც ებაასა:

*„სკუდეტოსთვის ბრძოლა გრძელდება და მიხარია, რომ „ინტერთან“ ჩამორჩენა შევამცირეთ. მართალია, სამი ქულის აღება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ. სეზონი გრძელია და ყველა შეხვედრაში ვერ იფრენ, მთავარია, მაშინაც კი აილო ქულები, როდესაც თამაში არ მიგდის. მთავარი ბრძოლები წინ არის და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



გამოვიდა ახალი ნომერი

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ

სამხრეთამერიკული ფეხბურთი

# იქ, დასავლეთ ნახევარსფეროში...

ინტერვიუ

ხუან რომან რიკელმე

# ალბისელესტეს მაისურა მარადონამ მათხოვა, ბოკა ხუნიორსში კი ეს მაისურა მე მეკუთვნის

## თუ რომანი მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ფეხბურთიდან წავა



კონმებოლის ვებგვერდზე ხუან რომან რიკელმეს ინტერვიუ გამოქვეყნდა. „ბოკა ხუნიორსის" ნახევარმცველმა მრავალ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. ინტერვიუ ძალიან ვრცელი გამოვიდა, ამიტომ თქვენს სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.

**- თასსა და არგენტინის ჩემპიონატში თამაში განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს? მენტალურად უფრო იღლებით, თუ ფიზიკურად?**

- ხშირად მსმენია, ჟურნალისტები რომ ამბობენ, ევროპაში დატვირთვებს მშვენივრად უძლებენ, არგენტინაში კი არაო. გვაბრალებენ, იქ უფრო მონდომებული და მოტივირებული არიანო. არგუმენტად ის ფაქტი მოჰყავთ, რომ ევროპის ჩემპიონთა ლიგასა და ლიბერტადორესზე დაახლოებით ერთი და იმავე რაოდენობის მატჩები ტარდება... თუმცა იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ ჩემპიონთა ლიგა 10 თვეს გრძელდება, ლიბერტადორესი კი სულ რაღაც ხუთ თვეში მთავრდება. ერთი და იმავე რაოდენობის მატჩის გამართვა ორჯერ ნაკლებ დროში გვიწევს. ეს რა თქმა უნდა, გაცილებით რთული და დამღლელია. სამწუხაროა, რომ ამ ობიექტურ რეალობაზე არავინ საუბრობს. სათქმელად, რა თქმა უნდა, ძალიან მარტივია, რიკელმე ჩემპიონთა ლიგაში უფრო მონდომებული იყო და არგენტინის ღირსება ნაკლებად ადარდებსო. სხვათა შორის, კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ევროპაში გასვლითი შეხვედრის ჩასატარებლად მაქსიმუმ 3-4 საათი უნდა იფიქრო, აქ კი ვენესუელაში, კოლუმბიასა და მექსიკაში ფრენა გვიწევს ხოლმე. თითქმის მთელ დღეს თვითმფრინავში ვატარებთ. განა ამას ენერგია არ სჭირდება?

**- ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ბედნიერება თქვენც გქონდათ. ევროპულ ტურნირსა და ლიბერტადორესს შორის კიდევ რა განსხვავებას ხედავთ?**

- ეს ორი ტურნირი ძალიან სერიოზულად განსხვავდება ერთმანეთისგან, არ ვიცი, როგორ შევადარო. ევროპაში მნიშვნელობა არ აქვს, შინ თამაშობ, თუ გასვლაზე, ყველაგან გასაოცარი ატმოსფეროა. ყველგან ჩემპიონთა ლიგის დროშები ფრიალებს, დიდი ფეხბურთელები თამაშობენ და პატარა ბავშვები დაუვიწყარ სანახაობას უყურებენ. ლიბერტადორესზე განსხვავებული სიტუაციაა. ბრაზილიაში როცა ვთამაშობთ, მოედანზე გასვლის გვეშინია. 2001 წელს ბრაზილიაში ნახევარფინალი ვითამაშეთ. იმისათვის რომ მინდორზე უსაფრთხოდ შევსულიყავით, პოლიციის მთელი ჯარი გამოიყვანეს. თავზე რაღაც გადაგვაფარეს და შეშინებულებმა ძლივს მივაღწიეთ მოედნამდე. თამაშამდე და თამაშის შემდეგ კი დაჯავშნული ავტობუსით დავდიოდით.

**- ევროპულმა გამოცდილებამ რა შეგძინათ?**

- ევროპაში გატარებული თითოეული დღე პროფესიულ ზრდაში დამეხმარა. იქ თითქმის ექვსი წელი ვთამაშობდი. „ბარსელონაში" ერთი სეზონი დავრჩი. შემდეგ „ვილიარეალში" გადავედი და იქ დაუვიწყარი წლები გავატარე. სხვათა შორის, ესპანეთში უფრო კარგად მექცეოდნენ, ვიდრე არგენტინაში.

**- გულშემატკივარს ფეხბურთელის ცხოვრებაში რამხელა ადგილი უჭირავს?**

- როგორც კი კარიერას დავასრულებ, ფეხბურთიდან ინჩასების მეტი აღარავინ დამრჩება. იმედია, ინჩასების სიყვარული და სითბო არ მომაკლდება. ქუჩაში ამ ყველაფერს ყოველ დღე ვგრძნობ. ფეხბურთმა შეიძლება, ბევრი ფული გაშოვნინოს, მაგრამ თუ ხალხი ქუჩაში ზიზღით შეგხედავს, ყველაფერს აზრი დაეკარგება. იმედია, მათი სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გამყვება.

**- ბავშვობაში ვინ იყო თქვენი კერპი?**

- ჩვენი თაობის ბავშვებისთვის მისაბაძი ფეხბურთელი ყოველთვის მარადონა იყო. ვოცნებობდით, რომ მას დავმსგავსებოდით... მაგრამ პროფესიულ ფეხბურთში მოხვედრის შემდეგ გინდება, რომ ხალხმა შენი სახელითა და გვარით დაგიმახსოვროს.

**- რა იგრძენით, როცა მარადონამ თქვა, არგენტინის ნაკრების 10-ნომრიან მაისურს მხოლოდ და მხოლოდ ხუან რომან რიკელმეს ვაძლევო?**

- უდიდესი სიხარული. ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ, რადგან მარადონას მაისურს უკვე მრავალი წელია ვიცვამ. ის ბასილეს დროს მუნდიალზე მერგო. ფეხბურთელი ნომერს ეჩვევა და შემდეგ მისი გამოცვლა ძალიან უჭირს. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ მარადონამ მრავლისმთქმელი 10-ნომრიანი მაისურა მე მომცა.

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა მარადონა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა?**

- ამ ამბავს მშვიდად შევხვდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დიეგო დაფასდა. მან ძალიან წინააღმდეგობრივი ცხოვრება გამოიარა. მარადონას განადიდებდნენ და ლანძღავდნენ. იმედი მაქვს, ალბისელესტეში ერთად მუშაობით დიდ წარმატებებს მივაღწევთ და ისტორიაში ის დიდი მწვრთნელის სახელითაც შევა.

**- მისი დანიშვნა არ გაგიკვირდათ?**

- სულაც არა. მე ის უფრო მაკვირვებს, მრავლისმნახველი მარადონა ნაკრებში როგორი ენთუზიაზმით მუშაობს. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში დიეგო კიდევ უფრო გაგვაოცებს.

**- არგენტინის ნაკრების მსგავსად, „ბოკა ხუნიორსშიც" 10-ნომრიანი მაისური გაცვიათ. რამდენამდ მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ყველაფერი?**

- ამ კითხვას ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვცემ ხოლმე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, არგენტინის ნაკრების მაისურა მარადონამ მათხოვა და უნდა დავაბრუნო, „ბოკა ხუნიურსში" კი ეს მაიურა სამუდამოდ მე მეკუთვნის. მგონი, მე ეს დავიმსახურე. „ლა ბომბონერაზე" დაუვიწყარი წლები გავატარე. უამრავი დიდი მატჩი მოვიგეთ. „ბოკა ხუნიორსს" ყველაფერი მივეცი რაც შემეძლო.

**- სამხრეთამერიკული ფეხბრთის დონეს როგორ აფასებთ?**

- 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპი ძალიან მძიმე და რთულია, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საგზური მოვიპოვოთ. როცა მუდიალზე ხვდები თითქმის ერთი თვე გაქვს მოსამზადებლად. მწვრთნელს ყველა პირობა გააჩნია იმისთვის, რომ გუნდი მისი გემოვნებით ათამაშოს. საკვალიფიკაციო ეტაპი კი განსხვავებული სპეციფიკისაა. შესარჩევი მატჩის წინ მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვს. ორი დღე ვვარჯიშობთ, შემდეგ შორეულ ქვეყანაში მივემგზავრებით და რა თქმა უნდა, შეაძლებლობების გამომჟღავნება გვიჭირს. ვიცით, რომ წინ ძალიან რთული საკვალიფიკაციო მატჩები გველოდება, მაგრამ ჩვენ არაფრის გვეშინია. არგენტინა, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოხვდება მუნდიალზე.

**- მე სულ სხვა რამ გკითხეთ, მაგრამ არა უშავს. რადგან შესარჩევ ტურნირზე თქვენ თვითონ ჩამოაგდეთ სიტყვა, იქნებ გვითხრათ, თქვენი აზრით, არგენტინასა და ბრაზილიას 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე სტაბილურად თამაში რატომ უჭირთ?**

- იმავე მიზეზის გამო, რომელიც „ბოკა ხუნიორსსა" და „რივერ პლეიტს" არგენტინის ჩემპიონატში სერიოზულ პრობლემებს უქმნის. გრანდებთან წარმატება განსაკუთრებულ სიხარულთან არის დაკავშირებული. თუ არგენტინას, ან ბრაზილიას მოუგებ, თავს ამაყად და ბედნიერად გრძნობ. ეს არის და ეს. ჩვენ წინააღმდეგ ყველა გუნდი ბოლომდე იხარჯება. მათთვის ჩვენი დამარცხება პრესტიჟისა და ღირსების საქმეა. ღირსება, რომელიც გმირობასთანაა ასოცირებული.

**- ბოლო წლების საუკეთესო არგენტინის ნაკრებად 2007 წლის იმ გუნდს მიიჩნევთ, რომელმაც კოპა ამერიკაზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა?**

- ის გუნდი ძალიან კარგად თამაშობდა, თასის მოპოვებაზე ვოცნებობდით, მაგრამ ფინალში ბრაზილიასთან წავიფორხილეთ. მთავარი შეხვედრა ჩავაგდეთ და ამით უდიდესი ტკივილი განვიცადეთ. წარმომიდგენია, ჩვენი გულშემატკივრები რა დღეში იქნებოდნენ. არადა, ტურნირის განმავლობაში მართლაც არაჩვეულებრივად გამოვიყურებოდით. სამწუხაროდ, ფინალში არაფერი გამოგვივიდა და თავი შევირცხვინეთ.

**- მოსაგები რა დაგრჩათ?**

- ჩემი ყველაზე დიდი ოცნება, მუნდიალის მოგებაა. 2010 წლამდე დიდი დროა. ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. სამხრეთი აფრიკის მუნდიალის მოგება, დაუვიწყარი წარმატება იქნება.

**- მუდიალზე რომ გაიმარჯვოთ, კარიერას დაასრულებთ?**

- მსოფლიო ჩემპიონატი იმდენად დიდი ტურნირია, მისი მოგების შემდეგ შეგიძლია ჩათვალო, რომ მისია შესრულებულია. ახლა რომ მითხრათ, მსოფლიო თასის მოსაგებად კარიერას თავი უნდა დაანებოო, დაუფიქრებლად წავალ.

**- როცა თქვენი ქალიშვილი გკითხავთ, ხუან რომან რიკელმე როგორი ფეხბურთელი იყოო, რას უპასუხებთ?**

- მან უკვე ძალიან ბევრი რამ იცის, რადგან 10 წლისაა. ყველაფერს მშვენივრად ხვდება. თუ მაინც და მაინც სულში ჩამიძვრება და კითხვებს დამაყრის, ვუპასუხებ, მამაშენი თავდადებული ფეხბურთელი იყო, ყოველთვის ვაჟკაცურად თამაშობდა-მეთქი.

**- ევროპული კარიერიდან ყველაზე ცუდად რა დაგამახსოვრდათ?**

- (იცინის) მაინც და მაინც ცუდი მოგონება გაინტერესებთ?

**- კარგ ზეც გკითხავთ...**

- როგორ გითხრათ, ძალიან ცუდად მახსენდება „არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაფუჭებული 11-მეტრიანი. ის გოლი რომ გამეტანა, „ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდოდა. ეს საუკუნის მოვლენა იქნებოდა. წარმოიდგინეთ, პროვინციული გუნდი ამხელა ტურნირის ფინალში რომ გასულიყო.

**- კარგი მოგონებაც გაგვიმხილეთ...**

- კარგი მოგონებაც „ვილიარეალს" უკავშირდება. ამ გუნდში მშვენიერი წლები გავატარე. ძალიან კარგად ვთამაშობდით, მაგრამ შემდეგ მწვრთნელთან უსიამოვნება შემემთხვა და ესპანეთიდან წამოვედი. მადლობა ღმერთს, ახლა „ბოკა ხუნიორსში" ვთამაშობ.

**- „ვილიარეალიდან" სხვაგან წასვლა არ გიფიქრიათ?**

- სიმართლე გითხრათ, მაშინ ბევრი წინადადება არ მქონდა, თუმცა რამდენიმე ევროპული კლუბი ნამდვილად მეპატიჟებოდა. მათი წინადადებები ნორმალურად არც კი მომისმენია, რადგან „ბოკა ხუნიორსში" დაბრუნებაზე ვოცნებობდი.



სკანდალი

# რამონ დიასს ამერიკის ინჩასმა თავი მოსჭრა

ფეხბურთი მექსიკელების დიდი გატაცებაა. მნიშვნელობა არ აქვს იქაური ადამიანი ღარიბია, თუ მდიდარი, ბედნიერი თუ ღარიბი, ფეხბურთი ყველას გაგიჟებით უყვარს.. მაშინ, როცა საყვარელი გუნდი აგებს, მექსიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეტ-ნაკლები შთაბეჭდილება რომ შეგვექმნას, ერთ ისტორიას გავეცნოთ. ინტერლიგიდან გამოვარდნის შემდეგ „ამერიკა" შინ ბრუნდებოდა. ბენიტო ხუარესის აეროპორტში გუნდს ჟურნალისტების დიდი არმია დახვდა. მთავარი მწვრთნელი **რამონ დიასი** კორესპონდენტების ტყვეობაში მოექცა. მას პირველივე წუთიდან აგრძნობინეს, რომ მძიმე კითხვებზე მოუწევდა პასუხების გაცემა, მაგრამ ჟურნალისტებს გუნდის წარუმატებლობით ჭკუიდან გადასულმა გულშემატკივარმა დაასწრო და არგენტინელ სპეციალისტთან მიიჭრა. „ამერიკის" ინჩასმა დიასს ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა მოურიდებლად პირში მიახალა: *„შენ ნამუსდაკარგული კაცი ხარ. სინდისი რომ გქონდეს, დღესვე ქუდს დაიხურავდი და შენს არგენტინაში წახვიდოდი. წადი, წადი, წაეთრიე. ყელში ამოხვედი. გვძულხარ."*

რამონ დიასი ამ უსიამოვნო მონოლოგს მშვიდად ისმენდა. გულშემატკივარს ის არ გამოპასუხებია, უფრო მეტიც არგენტინელი მწვრთნელი მორჩილად იდგა და მოთმინებით ელოდებოდა, ეს კოშმარი როდის დამთავრდებოდა. ბოლოს როგორც იქნა, აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ და ეგზალტირებული გულშემატკივარი შემთხვევის ადგილიდან სასწრაფოდ გაიყვანეს. ამის შემდეგ რამონ დიასმა დიდსულოვანი განცხადება გააკეთა: *„ასეთ გამოხდომებს, რა თქმა უნდა, ვერ მოვიწონებ, მაგრამ გულშემატკივრების ძალიან კარგად მესმის. წაგებას მშვიდად ვერავინ ხვდება. გული მწყდება, რომ წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. სამწუხაროდ, გუნდს ახლა ცუდი დრო უდგას. ფეხბურთელების ძირითადი ბირთვი გადატვირთული კალენდრის გამო გადაღლილია. ამ პირობებში ძნელია ბიჭებისგან მაქსიმალური ძალისხმევა მოვითხოვო. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გუნდს წარმატება მოუტანონ, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს არაფერი გამოსდის."*

სენიორ დიასს ჰკითხეს თანამდებობიდან გადადგომას ხომ არ აპირებთო. ამ კითხვას მან ასე უპასუხა: *„არა, სამსახურიდან წასვლას არ ვაპირებ. მშიშარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ და დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება არ მახასიათებს. თუ ხელმძღვანელობა არ გამიშვებს, შევეცდები პრობლემები გამოვასწორო. ჩვენ ნამდვილად შეგვწევს ამის უნარი. მთავარია, მოთმინებით ავივსოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მათი ძალიან კარგად მესმის. მოდით, ემოციები მოვთოკოთ და ჩვენს გუნდს წარმატებები თანადგომით მოვუტანოთ."*

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**

(გაგრძელება)

# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




300 ფრანკი - ეს დაახლოებით იმდენია, რამდენსაც ჟიოფეს მუნიციპალურ სამსახურში მუშაობისას ხელფასის სახით ვიღებდი. უფრო სწორედ, იქ 400 ფრანკი მქონდა იმის სანაცვლოდ, რომ ქალაქში ფანრებს ვკიდებდი. მაგრამ ჩემი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა: მალე თავაზიანად გადამიხადეს მადლობა და კარისკენ მიმითითეს იმის გამო, რომ სამუშაო საათებში ხშირად ვთამაშობდი კალათბურთს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი ნახტომი „ნანსი-ლოტარინგიის" შემადგენლობაში, განვლილი გზა ტყე აის სანვრთნელი მინდვრებიდან სტადიონ „მარსელ-პიკომდე" ჯერაც ძალიან გრძელი მეჩვენებოდა.

ეს გზა იმდენად ეფემერული ჩანდა, რომ ჩემმა წინდახედულმა მშობლებმა სხვა პროფესიაზეც იზრუნეს, რომელსაც, მათი აზრით, შეეძლო ჩემი ამბიციების დაკმაყოფილება.

სკოლის დამთავრებიდან ერთი წლის თავზე, როგორც ჩამოყალიბებული იუნიორი, უკვე მესამე დივიზიონის გუნდში ვთამაშობდი, რომელსაც მამაჩემი ავარჯიშებდა.

ის ბევრს ცდილობდა, რომ ტაქტიკური მეცადინეობებისთვის განკუთვნილი საფეხბურთო შავი დაფიდან მათემატიკის შავ დაფაზე გადავსულიყავი. ის სწრაფად მიხვდა, რომ ვერ შევძლებდი დიდი ხანი სწავლისა და მომქანცველი ვარჯიშების შეხამებას. მამაჩემი გაჯიუტდა და დაიჟინა, რომ ბუღალტერის პროფესია უნდა ამეთვისებინა.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო: ჩვენ ვცხოვრობდით შენობაში, რომელიც კლუბს ეკუთვნოდა და ის ქალაქიდან 15 კილომეტრში მდებარეობდა. ჩვენზე ზრუნავდა ყოფილი ფეხბურთელი-პროფესიონალი, ძალიან სიმპატიური **მ. კუბა**. ჩვენ ხუთნი ვიყავით - **ფელდენი, ბურლა, ერვე მარიო** (რომლის ძმამ - **ივმა** წარმატებული კარიერა გაიკეთა), **შერე** და მე. ჩვენ მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობდით, გადაღეჭილი გვქონდა ჟურნალები - „ეკიპი" და „ფრანს ფუტბოლი", ზეპირად ვიცოდით იმ რუბრიკის ტექსტები, რომელსაც „საიდუმლოდ" ერქვა. რაც შეეხება სპორტის ცოდნას, ამაში ხომ ბადალი არ გვყავდა... მაგრამ მამამ „ნანსი-ლოტარინგიის" მწვრთნელთა საბჭოს ჩემი გუნდიდან გარიცხვა სთხოვა, სხვა ხელობის ასათვისებლად! ის გონებაშიც არ ივლებდა აზრს იმის შესახებ, რომ საკმარისი მონაცემები მქონდა 1972 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად.

მაგრამ „ნანსისა" და „ნიმის" მატჩის შემდეგ, რომელიც 2:1 მოვიგეთ, მამაჩემმა ელემენტარული გამოთვლები ჩაატარა და მიხვდა, რომ თავისი იდეის განხორციელებაზე უარი უნდა ეთქვა. ბუღალტრული ანგარიში ამით დასრულდა და ისღა მრჩებოდა, გატანილი გოლების არითმეტიკული დათვლა მეწარმოებინა.

მალე, „ნანსის" პროფესიული გუნდის შემადგენლობაში ორი გოლი გავიტანე. ეს 12 მაისს მოხდა: საფრანგეთის ჩემპიონატის 36-ე ტური მიმდინარეობდა. ჩვენ კიდევ ერთი ცნობილი გუნდის „ლიონის" წინააღმდეგ ვთამაშობდით.

ამ დღეს, „ნანსიმ" „ლიონი" 4:1 დაამარცხა. მე კი ორი გოლი გავიტანე! ჩემი პირველი ორი გოლი პირველ დივიზიონში.

ამ მატჩისთვის, ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა", რომელიც ჩემსთვის პროფესიული ფეხბურთის ერთგვარი მაღალავტორიტეტული ორგანო იყო, ოთხი ვარსკვლავი (მაქსიმუმი - ხუთი) დამიწერა.

სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი.

მაგრამ შემდეგ ჯერზე საშინელება მოხდა! მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დამსვა. ჩემს ნაცვლად **კუზოვსკი** დააყენა, რომელსაც ადრე კლუბი „მარსელში" გაშვებას უპირებდა. მისი შემადგენლობაში შეყვანით, „ნანსიმ" ყველას აჩვენა, რომ მოთამაშე ტრავმისგან განიკურნა და კვლავ შეუძლია გუნდისთვის დახმარების გაწევა.

როცა თავისთან მიწვევდა, **ანტუან რედინმა** შესანიშნავად იცოდა, რომ მისგან დიდი ხანი არ წავიდოდი...

## სენტ-ეგზიუპერის ქუჩა

მაგრამ, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. პირველ მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე, 16 წლის ახალგაზრდა ყმაწვილი მშობლიურ პიემონტს ტოვებს და ლოტარინგიაში მიემგზავრება. ის ტოვებს თავის მშობლებს - გამოფიტულ და გამხდარ გლეხებს, რომლებსაც ტურინის ნალვლიან და ულიმლამო მიწაზე გადარჩენისთვის ბრძოლა უწევდათ. ბიჭმა მაღაროში მუშაობა მიატოვა და ქვისმთლელობა გადაწყვიტა. მაგრამ ომმა ის სამშობლოში დააბრუნა და იქ სამხედრო მოქმედებების დასრულებას დაელოდა. ამის შემდეგ, ისევ იგივე გზა გაიარა, ოღონდ ამჯერად ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად. 20 წლის იყო, მაგრამ უკვე ბევრი პროფესია ჰქონდა გამოცვლილი: იყო ქვისმთლელი, მაღაროელი, მეტალურგი, კერძოდ მუშაობდა ჟიოფის მახლობლად, ფოლადის მაგნატების - **ვენდელების** მამულში. ისინი ამ მიწის მფლობელები იყვნენ და ამავე მიწაზე მდებარე სკოლა, ქარხნები, სამშობიაროები და ბევრი სხვა რამ მათ ეკუთვნოდათ.

იმ დროს, ჟიოფი პატარა ქალაქი იყო, 11 ათასი მაცხოვრებლით, რომელიც მერტ-ი-მოზელის დეპარტამენტის ქარხნებისა და ქვანახშირის მაღაროების ცენტრში მდებარეობდა. ეს იყო მუშა-ქალაქი, სადაც ყოველ 100 ადამიანზე 6-8 იტალიელი ემიგრანტი მოდიოდა. მოხერხებულმა ახალგაზრდა პიემონტელმა ქვისმთლელმა თავისი ერთგული მეუღლის დახმარებით ფულის დაგროვება შეძლო და ფრანშეპრეს ქუჩაზე ბარი შეიძინა, რომელსაც „სპორტსმენების კაფეს" უწოდებდნენ. აქ ჩემი ბაბუა - **ფრანჩესკო პლატინი**, რომელიც პიემონტსა და სამშენებლო საქმეს ‹ ›კთხოვა, მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა. სწორედ ჟიოფში მას შვილი - **ალდო** შეეძინა, ჩემი მომავალი მამა.

ალდომ ბურთის მიმართ ყურადღება ადრეულ ასაკში გამოიჩინა. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ „სპორტსმენების კაფეს" ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის წევრები ხშირად სტუმრობდნენ, აქვე იყვნენ ახალგაზრდა სპორტული ასოციაციის წევრები და ბუნებრივია, მამაჩემი მალე მოხვდა მათ გუნდში. მე ყოველთვის სიამაყით ვფიქრობ იმაზე, რომ შემეძლო ბედი პროფესიულ ფეხბურთში მეცადა - ღმერთმა დიდსულოვნად დამაჯილდოვა კარგი ნახევარმცველის ყველა საჭირო თვისებით: ბრძოლის ორგანიზების უნარით, მცველისთვის დამახასიათებელი ყურადღებით და თავდამსხმელის ბრძოლისუნარიანი თვისებებით. და ამას დაემატება ვიწრო სპეციალიზაციაც: საჯარიმოების შესრულება.

მაგრამ მამაჩემმა უპირატესობა უფრო საიმედო ხელობას მიანიჭა: ის პროფცენტრში მათემატიკის მასწავლებელი გახდა. ცოლად **ანა** მოიყვანა და შექმნა ოჯახი, სადაც მე 1955 წლის ზაფხულის დასაწყისში გავჩნდი, ჩემი დის - **მარტინას** დაბადებიდან ოცი თვის თავზე.

რაც კი საკუთარი თავი მახსოვს, ჩემი ცხოვრება ყოველთვის ბურთთან იყო დაკავებული. ორი წლის ვიყავი, როცა მამაჩემს, რომელიც მაშინ მოყვარული ფეხბურთელი იყო, ყველგან თან დავყავდი.

ფრანშეპრეს ქუჩიდან, სადაც ბაბუაჩემის „სპორტსმენების კაფე" მდებარეობდა, კვარტალ არნიში გადავედით, იმ ბორცვებზე, რომელიც ქალაქს ერტყა გარს და სენტ-ეგზიუპერის ქუჩაზე, მეშვიდე ნომერ სახლში დავსახლდით. ჩემს მშობლებს დიდი სახლის აშენება სურდათ. მე შვიდი წლის ვიყავი და მეხსიერებაში ჩამრჩა ნათელი მოგონებები ამ ელდორადოზე. ისეთი ბიჭისთვის, რომელსაც მხრებზე თავის ნაცვლად ბურთი ედგა, ასეთი გადასახლება ძალიან ცოტას ნიშნავდა... რა თქმა უნდა, არ მომწონდა „სპორტსმენების კაფეს" რომ დავშორდი, სადაც ბოთლების თაროებს შორის ცნობილი კლუბების ვიმპელები ეკიდა. მაგრამ საბოლოოდ, მაინც მო[illegible] სენტ-ეგზიუპერის ქუჩა სინამდვილეში ჩიხი იყო, სადაც მანქანები ხშირად არ შედიოდნენ. აქ სულ მალე ბურთის პატარ პრინცად ვიქეცი. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარაჟი, რომლის დაკეტილი კარიც შესანიშნავ საფეხბურთო კარებად იქცეოდა. წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ ირხეოდა ბადე ჩემი მძლავრი და ზუსტი დარტყმების შემდეგ.

ასე გახდა სენტ-ეგზიუპერის ქუჩა ჩემი პირველი საფეხბურთო მოედანი, ჩემი პირველი სტადიონი, სადაც პუბლიკის როლს ჩემი გალიზიანებული მეზობლები თამაშობდნენ! **პროტუას** ოჯახი, რომელიც ჩვენს მოპირდაპირედ, 25-ე სახლში ცხოვრობდა, დღემდე იხსენებს ჩემს პირველ დარტყმებს. „როგორ ზანზარებდა ყველაფერი!", - ამბობდა ოჯახის უფროსი **რობერ პროტუა**. მისი მეუღლე თავისთვის წუწუნებდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ ბურთის მოხვედრის ფართობი მხოლოდ გარაჟის კარით შემოფარგლულიყო.

ყოველდღე, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, გულმოდგინებით ვატარებდი ინტენსიურ ვარჯიშებს. ჩემს კარადაში ინახებოდა რამდენიმე ბურთი: ნაჭრის, რეზინის, ტყავის... დილით, სკოლაში წასვლისას, ქუჩაში ბურთით ხელში გამოვდიოდი.

ჩემი მეორე მეზობელი, **დელფო საბატინი**, რომელიც ნომერ 15 სახლში ცხოვრობდა, ხანდახან მეკითხებოდა - ბურთთან ერთად ხომ არ მეძინა?! მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა „ეშმაკის" გაცნობა ნომერ მეათე სახლიდან. აქ ცხოვრობდა **ბრაგარების** ოჯახი. ამ პატარა ბიჭის მამა მეკარე იყო. მისი წყალობით, უკვე მარტო აღარ მიწევდა ვარჯიში. ჩვენმა მოუხერხებელმა დუეტმა მალე აითვისა დრიბლინგისა და პასის მეტად რთული ხელოვნება.

შემდეგ შემოგვიერთდნენ **კლოდ ვესპინიანი, პიერ ტურენი**, ერვე და ივ სანტონები, **დომინიკ გატონი** და **ფილიპ შვარცი**. თქვენ დღემდე თვალწინ მიდგახართ, ენთუზიაზმით სავსენი. ისევ გხედავთ ჩემო მეგობრებო, ვხედავ თქვენს თამაშს, მესმის თქვენი აღფრთოვანებული შეძახილები და კვლავ განვიცდი ჩვენი თამაშისა და მეგობრობის გამო სიხარულს.

ნებისმიერ სიტუაციაში - „ეიზელზე" მომხდარი ტრაგედიის დროს, საფრანგეთის ნაკრების იმედგაცრუებისას, მკაცრი კრიტიკის პირობებში - ყოველთვის მახსოვდა ჩემი საფეხბურთო ბავშვობა. და ახლა, როცა უკვე ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდე, შემიძლია საბოლოო დასკვნა გავაკეთო: დიახ, **მიშელ პლატინი**, რომელსაც კომენტატორები „თავისი ეპოქის ყველაზე დიად ფეხბურთელს" უწოდებენ, ყოველთვის თავისი გზით მიდიოდა მთელი კარიერის განმავლობაში. სავარაუდოდ, ეს იმიტომ მოხდა, რომ მას არც ერთ მომენტში არ უცდია თავის თავში ჩაეკლა ის ბიჭი, რომელიც ოდესღაც სენტ-ეგზიუპერის ქუჩაზე ცხოვრობდა.

**გია თვალაბეიშვილი**

(გაგრძელება იქნება)


ჩემი პირველი ბურთი


საფეხბურთო გუნდი „ჟიოფი" (1955-56 წ. წ.). მამაჩემ ალდოს ამაყად უჭირავს ხელში პატარა ბიჭი - ეს მე ვარ, მიშელ პლატინი




ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და სპორტი

# ეს უკვე კატასტროფაა...

- რატომ იღუპებიან მოზარდები მოედანზე?
- მოსწავლეთა 85 პროცენტს ხერხემალი გამრუდებული აქვს
- ახალგაზრდების 75 პროცენტი ჯარში სამსახურისთვის ფიზიკურად უვარგისია

**მაშინ,** როცა თითქმის უიმედოდ ჰქონდა ხელი ჩაქნეული ყველას, ვინც ბავშვთა სპორტთან ურთიერთობს და ხსნის გზას ველარ ხედავდა, უეცრად გამოკრთა იმედი, რაც ერთი წლის წინათ საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა ახალ ნაკადს მოჰყვა. ამ ამქარშია ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, რომელიც მანამდეც იყო პარლამენტარი, მაგრამ ახლა რეალობად აქცია დიდი ხნის ყველასთვის ნანატრი ოცნება - ცალკე შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტი, დაირღვა სხვა დარგებთან სპორტის გერად მიტმასნის არაეფექტური და გაუმართლებელი ტრადიცია. ახალშექმნილი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ასანიძემ პირველი ნაბიჯი კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნით გადადგა. აი, რა იყო მნიშვნელოვანი. საბჭოს სათავეში ჩაუდგა მთავარ სპეციალისტად კომიტეტში მიწვეული ვაჟა შუბლაძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს, როგორც სპორტში ღრმად ჩახედულ ნიჭიერ ორგანიზატორს. გადასაჭრელი პრობლემა, ცხადია, ბლომადაა, მაგრამ კომიტეტმა და მისმა საბჭომ ყველაზე წინ დააყენა ბავშვთა სპორტი, როგორც ქართული სპორტის საფუძველთა საფუძველი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. კვლევის შედეგებმა დიდად გადააჭარბა მოსალოდნელ უკუღმართობებს. ამას წინათ, გიორგი ასანიძის მოთხოვნით, ბავშვთა სპორტში შექმნილ საგანგაშო ვითარებაზე სამმა საპარლამენტო კომიტეტმა გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელა. ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს ჯანსაღი მოზარდი თაობის აღზრდასთან პირდაპირი ურთიერთობა აქვთ და სწორედ რომ აუცილებელი იყო ერთად მათი შეკრება. კვლევის შედეგები კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ვ. შუბლაძემ წარადგინა საბჭოს სახელით.
დღეს ბატონი ვაჟა „ლელოს“ სტუმარია.

**- თქვენმა კომიტეტმა და საბჭომ გადაწყვიტა, ღრმად ჩასწვდომოდა ბავშვთა სპორტში შექმნილ საგანგაშო ვითარებას. როგორი იყო კვლევის არეალი?**

- განათლების, ჯანდაცვისა და სპორტის მესვეურების გარდა, შევხვდით ბავშვთა სპორტის საკითხებზე მომუშავე მეცნიერებს, ვეტერანებს, პრაქტიკოს სპეციალისტებს. ცალკე ვესაუბრეთ სპორტული სკოლების, აგრეთვე საჯარო სკოლების დირექტორებს, ფიზალზრდის პედაგოგებს...

**- რა გამოიკვეთა?**

- დაგვიგროვდა ზღვა მასალა. შევეცადეთ, ბავშვთა სპორტში თავჩენილი პრობლემები გამომწვევი მიზეზების მიხედვით დაგველაგებინა. გამოიკვეთა შვიდი მთავარი მიზეზი.

**- საინტერესოა, იქნებ მოკლედ ჩამოგვითვალოთ...**

- მოკლედ გამიჭირდება, თუ შეიძლება კომენტარებსაც დავურთავ. სხვაგვარად სრულ სურათს ვერ დაინახავთ.

**- კი, ბატონო...**


ვაჟა შუბლაძე



- **პირველი** და უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ განათლების სისტემაში გაუქმდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ქსელი. 162 ასეთ სკოლაში 60 ათასამდე ბავშვი იკაჟებდა ჯანმრთელობას და პირველ ნაბიჯებს დგამდა დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე. გაუქმდა აგრეთვე სპორტსკოლები პროფკავშირებში, სპორტულ საზოგადოებებში და ბავშვები აღმოჩნდნენ ქუჩაში. დამღუპველი ტოტალური პროცესი, ვერც მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის დადგენილებამ შეაჩერა, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ავალებდა, შესაძლებლობების ფარგლებში დაეფინანსებინათ ბავშვთა სპორტსკოლები: საკითხის შესწავლის პროცესში ჩვენი კომიტეტის, პირადად ბატონ გიორგი ასანიძის ძალისხმევით და ბატონი გიგი უგულავას კეთილი ნებით გადაწყდა თბილისში სპორტის 18 სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა სექციებში 60 ახალი მწვრთნელის დასაქმების საკითხი. იმედია, ეს მხოლოდ დასაწყისია თბილისისთვის და გამოძახილს პოვებს რეგიონებშიც.

**მეორე** - გაუქმდა ბავშვთა სპორტსაზოგადოება „მართვე“. გაპარტახდა განათლების ღია თუ დახურული სპორტული ბაზები.

**მესამე** - მოიშალა, კომპლექსური შეჯიბრებების სისტემა - სასკოლო პირველობებიდან დაწყებული, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადით დამთავრებული. ეს არ იყო საბჭოთა გადმონაშთი. მოზარდთა სპორტული შეჯიბრებების სისტემა მთელ მსოფლიოშია ფეხმოკიდებული.

**მეოთხე** - დაიკარგა ფიზალზრდის გაკვეთილების ჩატარების ტრადიცია. ცხადია, გაკვეთილი არ იყო პანაცეა, მაგრამ წამყვანი ადგილი ეკავა აღზრდის საერთო კომპლექსში. ტოტალურად არ სრულდება „სპორტის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნები, რომელიც კვირაში არანაკლებ 4 საათისა, ფიზალზრდის გაკვეთილების ჩატარებას ითვალისწინებს. ცხადია, შეიქმნა კადრების, სპორტული ბაზების, ინვენტარის დეფიციტი, რაც ცალკე პრობლემებია.

**- უკაცრავად, ჩაგერთვებით, გავეცანით განათლების სამინისტროს „ეროვნულ სასწავლო გეგმას“. ეს დოკუმენტი უბრალოდ ბავშვთა სუფთა ჰაერზე გაყვანას და სხვადასხვა თამაშსაც ითვალისწინებს...**

- დიახ, გეთანხმებით, მაგრამ არც ეს მოთხოვნა სრულდება.

**- მეხუთე მიზეზზე შევჩერდით...**

- **მეხუთე** მიზეზად მივიჩნიეთ ის, რომ სკოლებში 10 წელიწადია არ განახლებულა სპორტული ინვენტარი, მათ შორის უმარტივესიც კი. სხვა რაღა ვთქვათ, როცა სკოლების ეზოებში სახტომ ორმოსაც ველარ ნახავთ.

**მეექვსე,** ასევე ტკივილიან მიზეზსაც მივადექით. კადრებს ვგულისხმობ. სპორტის აკადემიის გაუქმებით, რა დასამალია, სერიოზული პრობლემები შეიქმნა. მით უფრო, რომ ისედაც აშკარა იყო ფიზალზრდის პედაგოგთა ნაკლებობა. გაუქმდა მწვრთნელთა ფაკულტეტიც, რომელიც უმაღლესი განათლების სპეციალისტებს ამზადებდა. ეს სამომავლოდ დიდ სპორტს დაარტყამს ქვეყანაში. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი აუცილებლად ქართული სპორტის სასიკეთოდ უნდა გამოინახოს.

დაბოლოს, **მეშვიდე** მიზეზი - ჯანდაცვა. ზემოთ ვთქვით, როგორ დაიბანა ხელი განათლების სისტემამ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებით. იგივე არჩევანი გააკეთა ჯანდაცვამაც. გაუქმდა სკოლის ექიმის ინსტიტუტი, აღარ მოწმდება 12-14 წლის მოზარდთა ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, აღარაფერს ვამბობთ მოსწავლეთა ყოველწლიურ დისპანსერიზაციაზე. ფაქტობრივად 10-11 წლის წინათ სკოლაში შესულმა ბავშვმა, სწავლა ისე დაამთავრა, მისი ჯანმრთელობა არავის შეუმოწმებია. გაუქმდა სპორტულ-სამედიცინო დისპანსერებიც. არავინ ინტერესდება სპორტულ სექციებში მომეცადინე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობით. არ რეგულირდება მათი ფიზიკური დატვირთვა. ყოველივე ამან მიგვიყვანა ფატალურ შედეგებამდე - 13-14 წლის სამი მორაგბე მოედანზე დაიღუპა. 35-ე საფეხბურთო სკოლაში გულის მანკით დაავადებული 5 მოზარდი აღმოჩნდა.

**- ბატონო ვაჟა, ისე გამოდის, საერთოდ, პროფილაქტიკაც უგულებელყოფილია...**

- დიახ, სამწუხაროდ, ერის საყოველთაო გაჯანსაღების ისეთ ალტერნატიულ და ეფექტურ შესაძლებლობას, რაც ფიზიკურ კულტურას და მასობრივ სპორტს გააჩნია, ჩვენთან აღარ ექცევა ყურადღება. „სპორტის შესახებ კანონი“ იმ ნაწილშიც არ სრულდება, რაც სუსტად განვითარებული ბავშვებისთვის სკოლებში ჯანმრთელობის ჯგუფების შექმნას ითვალისწინებს. შედეგი? სკოლებში ხერხემლის გამრუდება ახლა უკვე მოსწავლეთა 85 პროცენტს აღენიშნება, წვევამდელთა 75 პროცენტი კი, სამედიცინო შემოწმების მონაცემებით, ჯარში სამსახურისთვის ფიზიკურად უვარგისია.

**- მძიმე სურათი დაგვიხატეთ, არის თუ არა გამოსავალი?**

- კვლევის შედეგები ერთ მიზანს ემსახურება - ყველა უნდა შევთანხმდეთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შემდეგ გზა ხსნისა უთუოდ გამოჩნდება. ასეთი შეთანხმება ზემოხსენებული სამი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე უკვე დაფიქსირდა.

**- შემდეგ რა?**

- სერიოზული მუშაობაა საჭირო დონორ ორგანიზაციებთან; გვაქვს მხარდაჭერა პარლამენტისგან, ვითარება გავაცანით ბატონ დავით ბაქრაძეს. ვიცით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე აქტიურად ჩაერთვება პრობლემის მოგვარებაში; გადაუდებლად უნდა შემუშავდეს „ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღების ეროვნული სახელმწიფო პროგრამა“ (გნებავთ უწოდეთ კონცეფცია).

**- შეიძლება ვთქვათ, რომ კომიტეტის დასკვნას არ დაესმება წერტილი და ბოლომდე გადაიჭრება პრობლემები?**

- სხვაგვარად არ შეიძლება. სტატისტის როლის შესრულება ნამდვილად არ გვქონია ჩაფიქრებული. გვინდა საგანგაშო ვითარება დროულად გამოსწორდეს, რისთვისაც ზემოხსენებული საპარლამენტო კომიტეტები, როგორც შეთანხმდნენ, ყველაფერს გააკეთებენ.

ესაუბრა
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**რედაქციისაგან:** *გუშინ ყველასთვის გასახარი ამბავი შევიტყვეთ. მას შემდეგ, რაც საქართველოში ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში შექმნილ სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით ინტერვიუში ხსენებული სამი საპარლამენტო კომიტეტის გადაწყვეტილება იუნესკოს ეცნობა, მხარდაჭერის პასუხმაც არ დააყოვნა. იუნესკო ოფიციალურად აცხადებს, რომ მზადაა ჩაერთოს პროექტში და დააფინანსოს იგი.*

*აქვე გაგაცნობთ კიდევ ერთ ცინცხალ სასიამოვნო ამბავს. აშშ-ის საინვესტიციო ფონდი (იუსაიდი) მზადყოფნას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებასთან გამართულ კონსულტაციებში.*

*როგორც ხედავთ, საერთო ძალისხმევას სასურველი შედეგებისკენ მივყავართ. ჩვენ უკვე ვდგავართ ევროპული და ამერიკული მოდელების დანერგვით პრობლემების რეალურად გადაჭრის წინაშე, რისი მიღწევაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდებოდა.*

## მომავალი ჩვენია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი

# მარტო ცქიტიშვილი რეალს ვერ ეყო


ნიკა ცქიტიშვილი

**ისევე** როგორც **ტაირონ ელისი, ნიკა ცქიტიშვილიც** ესპანურ გრანდებთან მატჩებში მეტად კონცენტრირებული გადის და უხვქულიანობითაც გამოირჩევა. ნიკამ მადრიდის "რეალთან" გამართულ გასვლით შეხვედრაში 20 წუთში 15 ქულა ჩააგდო. მისმა "ფუენლაბრადამ" კი სამეფო კლუბთან 74:90 წააგო. შეგახსენებთ, რომ წლეულს ცქიტოს ესპანური დებიუტი კატალონიურ "ბარსელონასთან" შედგა და ქართველი ფორვარდი 22 ქულით გამოირჩა.

ესპანეთის პირველობის მე-17 ტური საქართველოს ნაკრების სამივე წევრისთვის წარუმატებელი გამოდგა. შინ წააგო ტაირონ ელისის "კახასოლმა". სევილიელებმა აუტსაიდერ "სარაგოსას" ღირებული ორი ქულა აჩუქეს – 75:79 დამარცხდნენ. **ვლადიმერ ბოისას** "მენორკამ" კი ისეთ გუნდთან წააგო, რომ შეიძლება ვთქვათ – ეპატიება. მენორკელთა მეტოქე მეორეადგილოსანი "უნიკახა" იყო, რომელსაც 16-დან მხოლოდ 4 მატჩი აქვს წაგებული. აქვე განვმარტავთ, ესპანეთის პირველობაზე კენტი კლუბი (17) თამაშობს. ამიტომ, თითოეულ წრეში ყველა გუნდი თითოჯერ ისვენებს და ამიტომაც აქვს ყველას 17 ტურის შემდეგ 16 მატჩი.

გასული უქმეების მატჩების წინ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: წინასამატჩო პრესკონფერენციაზე "ვალენსიას" ხორვატმა თავკაცმა **ნევენ სპაჰიამ** განაცხადა – გუნდში რამდენიმე ტრავმირებულია, ამიტომ 12-კაციანი განაცხადი შეიძლება დუბლშემადგენლობის ორი კალათბურთელით შევავსოთ. განაცხადში შეყვანის მთავარი პრეტენდენტები ქართველები, **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შარაბიძე** არიანო.

ასეთი განცხადების შემდეგ მოუთმენლად ველოდით "ვალენსიას" "ბილბაოსთან" დაპირისპირებას. ვალენსიელებმა ბასკეთში 78:72 იმარჯვეს, თუმცა მის განაცხადში მხოლოდ 10 კალათბურთელი იყო, მათ შორის ერთი ქართველიც არ გახლდათ... თუმცა, ფაქტობრივი შეცდომა რომ არ გამოგვივიდეს, გეტყვით, რომ "ვალენსიელთა" რიგებში საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა **შემონდ უილიამსმა** ითამაშა და თანაგუნდელებს 8 ქულით შეეწია. ასე და ამგვარად, შენგელიასა და შარაბიძის ვალენსიური დებიუტი მომავლისთვის გადაიდო.

### რეალი-ფუენლაბრადა 90:74

ნიკა ცქიტიშვილი: 20 წუთი, 15 ქულა, 4 მოხსნა

"რეალი"-"ფუენლაბრადას" მატჩის მიმოხილვაში საინტერესო რამ ეწერა: *"შეხვედრაში ევროპის საუკეთესო კალათბურთელები მონაწილეობდნენ. ერთ ეპიზოდში **ვან დენ შპიგელმა** გაიბრწყინა, მეორეში **ფერნან ლოპესმა**, მესამეში **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა**, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე ღირებული რეალელი **ფელიპე რეიესი** იყო. მის ანგარიშზე 19 ქულა და 11 მოხსნაა. მატჩის დასაწყისი ცქიტიშვილი-რეიესის დაპირისპირებად გადაიქცა. "ფუენლაბრადას" მხრიდან ქულებს ნიკოლოზი აგროვებდა, "რეალის" მხრიდან – რეიესი. სკიტამ პირველ მეოთხედში 9 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ფელიპე რეიესის წყალობით სამეფო გუნდის წარმომადგენლებმა საწყისი მეოთხედი 23:18 მოიგეს."*

მატჩის მიმოხილვის თარგმანის გაგრძელება აღარ ღირს, რადგან მეორე პერიოდიდან "რეალმა" 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და საფინალო სირენამდე მეტოქისთვის დაწევის უფლება არ მიუცია. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ამ პუბლიკაციასთან "მიწებებული" ნიკა ცქიტიშვილის ჩატენვის ამსახველი ფოტო შეხვედრის პირველივე წუთზეა გადაღებული – სადავო გდება ფუენლაბრადელებმა მოიგეს და ელვისებური გარღვევით ანგარიში ნიკამ გახსნა – 2:0.

ქართველი ფორვარდი "ფუენლას" ვიცე-სნაიპერი გახდა – 15 ქულა ჩააგდო (7-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო). სკიტას თანაგუნდელმა **ბრედ ოლესონმა** 19 ქულას მოუყარა თავი.

"ფუენლაბრადასთვის" "რეალთან" დაპირისპირება მეტად მნიშვნელოვანი იყო – გამარჯვების შემთხვევაში ნიკას და მის მეგობრებს მერვე ადგილზე ანაცვლების შანსი ჰქონდათ. 17 ტურის შემდეგ რვაეულში მოხვედრა კი "კოპა დელ რეიზე" გასვლის გარანტია იყო. ეს ტურნირი 19 იანვარს გაიმართება.

### უნიკახა-მენორკა 78:53

ვლადიმერ ბოისა: 18 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი

მიმოხილვის შესავალში აღვნიშნეთ, რომ ბალეარულმა "მენორკამ" მეტისმეტად ძლიერ მალაგურ "უნიკახასთან" წააგო. ვოვა ბოისას თანაკლუბელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კუნძულ მალაგაზე პირველი ტაიმი ღირსეულად ჩაატარეს – მასპინძლებს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩნენ, მეორე ნახევარში კი მეტად გაუჭირდათ: მესამე პერიოდში 6 ქულა ჩააგდეს, მეოთხეში – 7. "უნიკახამ" 78:53 გაიმარჯვა.

ვოვა ბოისამ 18 წუთში 3-3 ორქულიანი და სამიანი ისროლა, რომელთაგან მხოლოდ ერთი ორქულიანი გამოიყენა. მატჩის ოქმში მის გასწვრივ სამი ორიანი დაფიქსირდა – 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი. მენორკელთაგან 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ გამთამაშებელმა **პუხ ჯეტერმა** მოაგროვა – 16.

### კახასოლი-სარაგოსა 75:79

ტაირონ ელისი: 26 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი

ტაირონ ელისის "კახასოლი" იმის ნაცვლად, რომ თავისნაირ აუტსაიდერებთან გამარჯვებით ცდილობდეს ცხრილის ფსკერისთვის თავის დაღწევას, ასეთებთან შინ მარცხდება. მეთხუთმეტეადგილოსანმა "სარაგოსამ" სევილიაში 79:75 იმარჯვა.

ტაირონ ელისმა ჩვეულად ვერ იყოჩაღა, 1 ორქულიანი, 2 სამიანი ჩააგდო და 8 ქულას 6 მოხსნა მიამატა.

ბოლოს სატურნირო მდგომარეობაზე. „კახასოლს" 2 მოგება და 14 წაგება აქვს. გასავარდნი ზონის წინ მყოფ (ორი ვარდება) "სარაგოსას" – 5 მოგება და 11 წაგება. ასეთივე შეფარდება გააჩნიათ "მენორკასა" და "ესტუდიანტესს". ცქიტიშვილის "ფუენლაბრადას" 7 მოგების წილ 9 წაგება უწერია და მე-9 ადგილზეა. "ვალენსია" მეშვიდეა – 9 მოგება, 7 წაგება.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში



# ფაჩულია სასტარტოს დაუბრუნდა

**ზაზა ფაჩულიას** თვე და ხუთი დღე მოუწია მოცდამ, ვიდრე სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდებოდა. 6 დეკემბრის შემდეგ ("დალასი"-"ატლანტა" 100:98) ქართველი ცენტრი პირველად მოხვდა სასტარტო ხუთეულში. ისევე როგორც მაშინ, ამჯერადაც ზაზამ ტრავმირებული **ელ ჰორფორდის** ადგილი დაიკავა. "ჰოქსის" ახალგაზრდა მეფარეს, ჰორფორდს მუხლი აწუხებს და მინიმუმ ერთი კვირა დაისვენებს.

ფაჩულიას სასტარტოში დაბრუნება თავისთავად სასიამოვნო ამბავია. ისიც აღსანიშნავია, რომ მან 30 წუთზე მეტი სწორედ 6 დეკემბრის მატჩის შემდეგ პირველად ითამაშა. 11 იანვარს "ფილადელფიასთან" დაპირისპირებისას მან მოედანზე 31 წუთი გაატარა. თუმცა, ეს ყველაფერი ორმა დეტალმა გააფერმკრთალა – "ატლანტა ჰოქსმა" 94:109 წააგო, ხოლო ზაზა ფაჩულიას ნაკლებად ეფექტური მონაგარი ჰქონდა. მან 5-დან მხოლოდ 1 ორქულიანი გამოიყენა, 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 6 მოხსნა მიამატა. ზაზას სროლის სიზუსტის გაუარესების მიზეზი მისი გაციება უნდა იყოს. სურდოს გამო მან "ორლანდოსთან" ზედიზედ გამართული ორი მატჩი გამოტოვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავადმყოფობის გამო ზაზა ფორმიდან ოდნავ ამოვარდა.

მწვრთნელის, **მაიკ ვუდსონის** მტკიცებით "ატლანტას" "ფილადელფიასთან" საშინაო მატჩში გადამწყვეტი იერიშისთვის ძალა აღარ ეყო. ვუდსონმა იქვე დასძინა – ყველამ ცუდად ითამაშო. სამწუხაროდ, მეოთხე პერიოდში "ჰოქსის" დაღმასვლა ფაჩულიას ტექნიკური ფოლით დაიწყო. სირენამდე 11 წუთით ადრე ქართველის დაჯარიმებას **იგუოდალას** ზუსტი საჯარიმო მოჰყვა და "ფილადელფია" 84:81 დაწინაურდა. ბურთი გვერდითი ხაზიდან ისევ სტუმრებმა შეიყვანეს და ოციოდე წამში იგუოდალამ სამქულიანით "ფილადელფია" 6 ქულით დააწინაურა. დარჩენილ დროში ერთი ჯარიმა ფაჩულიამაც გამოიყენა, **ბიბიმ** სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ, როგორც მწვრთნელმა თქვა, ბოლო წუთებზე "ატლანტას" ფიზიკურად "სიქსერსმა" აჯობა.

ჰორფორდის არყოფნა "ქორებს" მოხსნებშიც დაეტყოთ. ამ საკითხზე "ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებული მცირე მასალაში **სეკუ სმიტი** საუბრობს: *"ზაზა ფაჩულიას გასულ სეზონში არაერთი ტრავმა ჰქონდა, მაგრამ იგი ყოველთვის მისდევდა დევიზს – "შეინარჩუნე მზადყოფნა". "ატლანტას" ცენტრი ელ ჰორფორდი ტრავმის გამო ერთ კვირას (შეიძლება მეტსაც) გამოტოვებს და სასტარტო ცენტრობას ზაზა მომზადებული უნდა შეხვდეს. ელ ჰორფორდის გარეშე ჩატარებულ პირველ მატჩში "ჰოქსის" მეფარეებს გაუჭირდეთ: **სოლომონ ჯონსმა***

ზაზა ფაჩულიამ ჯამში 7 ქულა (4 ზაზას ანგარიშზეა) და 6 მოხსნა (ექვსივე ფაჩულიამ მოხსნა) მიითვალეს, ხოლო "ატლანტამ" "ფილადელფიასთან" მოხსნებში აშკარად დათმო – 24:39.

*"ვეძებთ კალათბურთელს, რომელიც ელ ჰორფორდს უახლოესი 10 დღის განმავლობაში ღირსეულად შეცვლის. გვყავს სამი მეფარე, ზაზა ფაჩულია, სოლომონ ჯონსი და რენდოლფ მორისი. შეიძლება ზოგი თამაში ისე წარიმართოს, რომ ფორვარდი ჯოშ სმიტის ცენტრის პოზიციაზე გადაყვანა მოგვიწიოს. ასე რომ, ვარირების საშუალება გვაქვს და ჯერ არ ვიცი რა ტაქტიკას მივმართავთ მომდევნო შეხვედრაში,"* – განაცხადა "ატლანტის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა.

13 იანვარს ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები დასავლურ ვოიაჟს "ფინიქს სანსთან" გასვლითი მატჩით დაიწყებენ, 14-ში "კლიპერსს" ლოს-ანჯელესში ესტუმრებიან, 16-ში – "გოლდჯენ სტეიტს". ამ დაპირისპირებებს ჯორჯიელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში მათ აღმოსავლეთის კონფერენციის სატურნირო ცხრილში "დეტროიტი" გადაასწრებს. სადღეისოდ "ატლანტა ჰოქსს" 22 მოგება და 14 წაგება აქვს, "დეტროიტს" კი - 22 მოგება და 13 წაგება. კონფერენციის მეოთხე ადგილისთვის ამ გუნდებს შორის სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. მეოთხეადგილოსანი ხომ პლეი ოფში მეხუთეს დაუპირისპირდება და მოედნის უპირატესობა მეოთხეს ექნება.

### ფაჩულიას მონაგარი

31 წუთი: 4 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 შეცდომა, 3 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 10:52 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:05 | პასი: 1 (უილიამსი 2ქ, 6:14) |
| 06:52 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 05:55 | ორქულიანი: 2ქ (12:16) |
| 05:31 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 05:17 | პასი: 2 (უილიამსი 2ქ, 14:16) |
| 02:22 | ფოლი: 1 |
| 02:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 01:49 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 05:54 | ზაზამ ლოუ შეცვალა |
| 03:31 | საჯარიმოები: 2\1 (3ქ, 48:50) |
| 02:45 | ფოლი: 2 |
| 02:45 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 11:09 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 06:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:51 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |
| 02:52 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:15 | ფოლი: 3 (ტექნიკური) |
| 09:15 | საჯარიმოები: 2\1 (4ქ, 83:89) |
| 07:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 07:10 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:29 | შეცდომა: 1 |
| 05:29 | ზაზა ევანსმა შეცვალა |
| 03:30 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 01:10 | ზაზა ევანსმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

# თევზაძის ორი სატიტულო შანსი

**როგორც** იცით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **შოთა თევზაძე** რუმინეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის. მისმა "ბაკაუმ" ქვეყნის პირველობის პირველი წრე ლიდერის რანგში დაასრულა. ცნობისათვის, თევზაძის გუნდი რუმინეთის ჩემპიონი არასოდეს ყოფილა, ეს მისთვის არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონია.

რუმინეთის ჩემპიონატი 7 თებერვალს განახლდება და თევზაძის ამბებს ოპერატიულად მოგაწვდით. საინტერესო კიდევ ისაა, რომ "ბაკაუ" პარალელურად, საერთაშორისო არენაზეც გამოდის. უფრო კონკრეტულად, თევზაძე და მისი თანაგუნდელები "ჩელენჯ კაპზე" გამოდიან, რაც მეორე რანგის ევროტურნირია. "ბაკაუმ" შარშან პირველი ეტაპი იტალიური "ბოლონიას" დამარცხებით დაძლია და ახლა მერვედფინალში ბერძნულ პაოკ-ს დაუპირისპირდება. ორრაუნდიანი ბრძოლის პირველი მატჩი 14 თებერვალს ათენში გაიმართება.

"ბაკაუს" წევრთათვის ორივე ტურნირი მნიშვნელოვანია, მაგრამ აქცენტი მაინც რუმინეთის ჩემპიონობაზე კეთდება. ერთი შეხედვით, "ბაკაუს" შიდა არენაზე გამარჯვების მეტი შანსი აქვს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასზე გაცილებით სუსტ რუმინულ "რესიცას" "ჩელენჯ კაპი" ორჯერ აქვს მოგებული.

*"გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და ყველაფერს გავაკეთებთ, სეზონი შედეგიანად რომ დავასრულოთ. "ბაკაუს" ისტორიაში საუკეთესო პერიოდი დგას და მიხარია, ამაში წვლილი მეც რომ მიმიძღვის. აქ მაფასებენ, მენდობიან და არაფერს დავიშურებ იმისთვის, რომ იმედები მომავალშიც გავამართლო"*, - გვითხრა შოთამ.

ლევან ჯანეზაშვილი


შოთა თევზაძე
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# შავი ზღვისპირელები ხმელთაშუა ზღვაში

## ანუ რატომ არიდებენ თავს ეროვნულ ჩემპიონატს ჩვენი სანაქებო მოჭადრაკეები?

ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფედერაცია 2002 წელს შეიქმნა და საერთაშორისო ტურნირსაც დღიდან დაარსებისა ატარებს. ამ ორგანიზაციაში 22 ქვეყანაა გაწევრებული. რა თქმა უნდა, მასში საქართველო არ შედის, მაგრამ წლევანდელ ტურნირში, ანთალიაში, ქართველებს თამაშის უფლება დართეს, მხოლოდ გარკვეული პირობით: მთავარი ჯილდოსთვის – თასისთვის ვერ იბრძოლებენ, ყველა სხვა ბონუსი კი მათთვის ხელმისაწვდომი იქნება...

ტურნირი ჯერჯერობით უმაღლეს რანგამდე ვერ ამაღლდა, მაგრამ მასში საკმაოდ ძლიერი დიდოსტატები მონაწილეობენ ყოველწლიურად და პირველობისთვის ბრძოლა ურთულესი საქმეა. ტურნირის პირველი ნომერი გათურქებული **მიხეილ გურევიჩია,** რომელსაც 2624 სარეიტინგო ქულა აქვს. მეორეა ქართველი **თამაზ გელაშვილი**, რომელიც გურევიჩს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. ასპარეზზე კიდევ ერთ ქართველს, დიდოსტატ **ლევან აროშიძეს** ვხედავთ. მისი დღევანდელი რეიტინგი 2526 ქულას უდრის და მეოთხეა აღნიშნულ შეჯიბრებაში. მესამე რეიტინგი რუმინელ **მირჩა პარლიგრასს** აქვს – 2605. აშკარაა, რომ ქართველები ფავორიტები არიან, მაგრამ სხვა საქმეა, როგორ შეძლებენ თამაშს. უკვე ორი ტურია ჩავლილი და გელაშვილმა, ყველას გასაკვირად, ნახევარი ქულა დაკარგა დაბალი კლასის მოჭადრაკესთან. მეორე ტურში კი იმარჯვა, მაგრამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად დიდი გარჯა მოუწევს. ლევან აროშიძეს ჯერ ყველაფერი კარგად მისდის და დავიტოვოთ იმედი, რომ ასეც გააგრძელებს. მონაწილეთა რაოდენობა დიდი არ არის - 40 მოჭადრაკე. სულ 9 საშეჯიბრო დღეა გამოყოფილი გამარჯვებულის და პრიზიორების გამოსავლენად.

მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა აროშიძის გარდა კიდევ 4 მონაწილეს აქვს. ამათგან ორს ჩვენებურები შეხვდებიან მესამე ტურში: ლევანი თეთრებით შეუტევს იტალიელ საერთაშორისო ოსტატ **დანიელე ვოკატუროს** და, ცხადია, გამარჯვების შესანიშნავი შანსი აქვს, თამაზ გელაშვილი კი ბერძენ საერთაშორისო ოსტატ **იოანის გეორგიადისს** ხვდება. თამაზი მეტოქეს რეიტინგში ლამის 3 პუნქტით უსწრებს და რომ ვერ მოიგოს, ნამდვილად სენსაციური შედეგი დაფიქსირდება, მით უფრო, რომ ქართველი დიდოსტატი თეთრებითაა. 2 ქულა აქვს მიხეილ გურევიჩსაც. ის შავი ფერით თამაშობს დღეს და მეტოქეც უფრო სერიოზული ჰყავს – ახალგაზრდა თურქი საერთაშორისო ოსტატი **მერთ ერდოგდუ**. ერდოგდუს ერთხელ, 2004 წელს მოგებული აქვს ეს ტურნირი.

რაკი შეჯიბრება 9 ტურად ტარდება, ეს ავტომატურად გამორიცხავს გელაშვილისა და აროშიძის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს, რომელიც სამიოდ დღეში იწყება თბილისის ჭადრაკის სასახლეში. რატომღაც ხმელთაშუა ზღვის ტურნირში თამაში არჩიეს თამაზმა და ლევანმა, არადა, ქვეყნის უპირველესი ტურნირი პრესტიჟულობით რიგით საერთაშორისო ტურნირებს, რა მასშტაბისაც უნდა იყოს იგი, ბევრად აღემატება. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში მსგავსი იგნორირება მრავლადაა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. მათმა უარმა, გასაგებია, რომ ვაკანსიები გააჩინა და დებულების თანახმად, თამაშის უფლებას სხვები მიიღებენ. სამწუხაროდ, დღეისათვის ჭადრაკის ფედერაციას არ გააჩნია მონაწილეთა სრული სია, რადგანაც მინიმუმ კიდევ ერთი მოჭადრაკის საკითხი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ - **ბაადურ ჯობავას** საბოლოო სიტყვა არ მიუღია ფედერაციას. არადა, გუშინ, ორშაბათს იწურებოდა განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა. ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი და გაუგრძელა ვადა ქვეყნის უპირველეს მოჭადრაკეს, მაგრამ მასთან კავშირი თითქმის არ ხერხდებოდა, - ბაადური ეგვიპტეშია საკლუბო ჩემპიონატში სათამაშოდ და როგორც მისი ოჯახის წევრები ამბობენ, თავადაც ვერ ახერხებენ მასთან დაკავშირებას. ცოტა უცნაური კი ჩანს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ბაადურის ძმა – **ბეგლარ ჯობავა** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანია... გუშინ, გვიან ღამით პრეზიდენტი **გია გიორგაძე** საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა და დღეს უკვე დადგინდება ჩემიონატში მონაწილეთა საბოლოო სია. რა თქმა უნდა, მკითხველს ამ სიას უთუოდ მივაწვდით ტურნირის სტარტამდე, დღეს კი ქალთა სიას გაგაცნობთ.

საქმე ის არის, რომ გადაწყდა, საქართველოს ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის პარალელურად ჩატარებულიყო, ცხადია, ორ დამოუკიდებელ ტურნირად. ასეთი ნაბიჯისკენ ფედერაციას საერთაშორისო კალენდარმა უბიძგა, – საკმაოდ ადრეულ ეტაპზე – მარტის დასაწყისში იმართება ევროპის ჩემპიონატები და იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ერთ-ერთ მთავარ პრიზად ჩემპიონის და ორი პრიზიორის ევროპის ჩემპიონატზე მივლინებას აწესებს, სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა...

ქალთა შორისაც არიან ისეთები, ვინც უარი თქვეს თამაშზე: **მაია ჩიბურდანიძე** ტრადიციულად გვერდს უვლის საქართველოს ჩემპიონატებს; შარშან უარი პირველად თქვა **ლელა ჯავახიშვილმა** და თუ შარშანდელი ნაბიჯი განპირობებული იყო იმით, რომ ქვეყნის მეორე მოჭადრაკე გახლდათ და სხვებზე ბევრად მეტი რეიტინგი ჰქონდა (რეიტინგს ლიდერები განსაკუთრებით უფრთხილდებიან), წლეულს ბევრად საპატიო მიზეზი გააჩნია – ფეხმძიმედ არის და სულ მალე გახდება დედა. დღეისთვის, იცით, რომ უმაღლესი რეიტინგი **ნანა ძაგნიძეს** აქვს. ქართული ტრადიციიდან გამომდინარე, მასაც უარი უნდა განეცხადებინა და ასეც მოხდა – ძაგნიძემ გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირში თამაში არჩია საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობას. სხვა დანაკლისი ჩემპიონატს არა აქვს, თუ არ ჩავთვლით იმ დიდოსტატებს, რომლებმაც ერთი თვის წინათ პროტესტის ნიშნად უარი თქვეს შესარჩევ ტურნირში თამაშზე, რის შემდეგაც ავტომატურად დაკარგეს ფინალში ასპარეზობის უფლება. პროტესტანტთაგან ერთი – **ინგა ჭარხალაშვილი** მაინც იბრძოლებს ტიტულისთვის, მაგრამ არა – ქალბატონებში, - იგი ვაჟებში ცდის ძალებს, სადაც თამაშის უფლება შესარჩევი ტურნირიდან ხვდა. სამაგიეროდ, საკმაოდ დიდი და უჩვეულო შევსება მიღო ქალთა ჩემპიონატმა – ათეული წლების შემდეგ ახალგაზრდებთან გაჯიბრება ისურვა **ნონა გაფრინდაშვილმა!** ქალბატონი ნონასაგან ასეთ ნაბიჯს არავინ ელოდა, მაგრამ რატომღაც გაუჩნდა სურვილი, რომელიც პირველ რიგში ოჯახის წევრების დამსახურებაა, თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელთა თხოვნა რომ არა, ალბათ საკითხი არც კი დადგებოდა დღის წესრიგში. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის თამაში ნამდვილად ბევრად აამაღლებს ტურნირის პრესტიჟს და უდიდეს ინტრიგასაც გააჩენს. სხვათა შორის, გაფრინდაშვილის რეიტინგი არცთუ დაბალია – 2350 ქულას უდრის და მეექვსეა ტურნირში.

ქალების ფინალში 12 მონაწილეა, რომლებიც ერთმანეთს წრიული სისტემით, 11 ტურად შეხვდებიან: **1.მაია ლომინეიშვილი(2437); 2. სალომე მელია(2422); 3. ნინო ხურციძე(2421); 4.სოფიკო ხუხაშვილი(2416)8 5. სოფიო გვეტაძე(2377); 6. ნონა გაფრინდაშვილი(2350); 7. მირანდა მიქაძე(2287); 8. სოფიკო გურამიშვილი(2281); 9. ნაზი პაიკიძე(2280); 10. მერი არაბიძე(2246); 11. ქეთი ნანალაშვილი(2231); 12. მარიამ დანელია(2219).**

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

ლეგიონერები

# უამინდობამ ფედერალები არია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეთერთმეტე ტურის შეხვედრათა უმრავლესობა უამინდობის გამო გადაიდო. არც ერთი შეხვედრა არ გამართულა A ჯგუფში. **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილის, შალვა სუთიაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მასის", რომელიც სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზეა, სტუმრად უნდა ეთამაშა „ლონსთან". ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან, ეს პარიზული კლუბი ერთადერთია, რომელიც A ჯგუფში ლიდერთა შორისაა.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა ითამაშა. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა", რომელიც გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს, სტუმრად დაამარცხა „მონლუსონი" - 9:6. აბუსერიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს.

შინ მოიგო „ლიმოჟთან" შეხვედრაში **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერმა" - 32:27. ესაკია თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო. ელოშვილი 68-ე წუთზე შეცვალეს.

B ჯგუფი. **მონლუსონი - ორლეანი 6:9, სენ ნაზერი - ლიმოჟი 32:27, ნუარი - ჟენევიე (გადაიდო), ბობინი - ვანი (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ორლეანი - 32 ქულა, 2. ლიმოჟი - 30, 3. ბობინი - 30, 4. ვანი - 29, 5. სენ ნაზერმა - 28, 6. მონლუსონი - 26, 7. ნუარი - 16, 8. ჟენევიე - 6.**

D ჯგუფში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა. „ლავორმა" შინ დაამარცხა „ნიცა" - 16:13. **ილია ზედგინიძის** „ექსის" შეხვედრა საკუთარ მოედანზე „გროლესთან" გადაიდო. სატურნირო ცხრილს ამ ჯგუფში სათავეში 30 ქულით სწორედ „ექსი" უდგას.

E ჯგუფსაც ქართველ მორაგეთა გუნდი, **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, ირაკლი გუნდიშვილისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგო" ლიდერობს 33 ქულით. პერიგოელები მეთერთმეტე ტურში სტუმრად უნდა დაპირისპირებოდნენ **გრიგოლ მაღალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორს". შეხვედრა არ გაიმართა. „კაორი" სატურნირო ცხრილში ამჟამად 26 ქულით მე-4 ადგილზეა.

F ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა ითამაშა და ორივემ მარცხი განიცადა. **დავით გასვიანის** „ლე ბუგე" სტუმრად შეხვდა „ლანჟონის" და - 12:24 დამარცხდა. გასვიანმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. სტუმრად დამარცხდა „სენ ჟან და ლუზთან" **ირაკლი ჭყონიასა** და **დიმა ბასილაიას** „მორლაა" - 9:24. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

F ჯგუფი. **ლანჟონი - ლე ბუგე 12:24, სენ ჟან და ლუზი - მორლაა 24:9, ვალანსი - ტარნო** (გადაიდო), **რიბერაკი - ლანამეზანი** (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლანამეზანი - 34 ქულა, 2. ლანჟონი - 33, 3. სენ ჟან და ლუზი - 11, 4. ვალანსი - 26, 5. ლე ბუგე - 26, 6. მორლაა - 17, 7. ტარნო - 16, 8. რიბერაკი - 12.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვას დროც მოვიდა



ოქსანა კალაშნიკოვა

ამერიკის ქალაქ ბოკა რატონში დაიწყო ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ქალთა შეჯიბრების საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-8 ნომრად განთესეს 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (395), რომელსაც ოქტომბრის მერე არსად უთამაშია. ვნახოთ, როგორ ფორმაში ხვდება ახალ სეზონს ჩვენებური, სტარტი კი ჩინებულია - ოქსანას პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული ავსტრიელი **დომინიკ ვიმერი** იყო. ვიმერი მალე 20 წლის შესრულდება, საერთაშორისო არენაზე მას მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ოქსანამაც იოლად სძლია გამოუცდელ მეტოქეს – 6:1, 6:1. აი, მეორე მეტოქის, ამერიკელი **ელი ვილის** (აშშ, 589) დამარცხება კი ჩვენებურს გაუჭირდა – 7:6 (3), 7:5. ფინალურ წრეში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე ბრაზილიელი **ტელიანა პერეირაა** (396), რომელიც მე-9 ნომრადაა განთესილი.

ვაჟთა შეჯიბრების საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** თამაშობდა. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო ძირითად ბადეში გაღწევა. პირველ წრეში ნიკამ ინდოელ **ამოგ პრაბჰაკარს** მოუგო – 6:3, 6:3. მეორე წრეში მას ამერიკელი **მარკუს ფიუგეიტი** (600) შეხვდა. 21 წლის მეოთხე ნომრად განთესილ მასპინძელთან ქართველი სამ სეტში დამარცხდა – 3:6, 7:5, 5:7 და ტურნირს გამოეთიშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქალთა ფრთხილი წინსვლა, ვაჟების უძრაობა

გუშინ WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ვაჟთა კლასიფიკაციაში ქართველ ჩოგბურთელებს ცვლილებები არ შეხებიათ, ქალებში კი მცირე წინსვლა გვაქვს. 18 წლის **ანა ტატიშვილი** მსოფლიოს 158-ე ჩოგანი გახდა 396 ქულით, ანამ ერთ კვირაში 2 საფეხურით წაიწია წინ, რაც მისი კარიერის ახალი მიღწევაა. **მაკა ჩახნაშვილი** 266 ქულით რეიტინგის 217-ე საფეხურზეა (+1). კარიერის ახალ ზედა ნიშნულზეა 19 წლის **სოფიო შაფათავაც**, რომელიც 220 ქულით მსოფლიოს 243-ე ჩოგანია. სხვები: 394 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 112 ქულა; 652 (+3) **ეკა გორგოძე** – 40; 674 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** – 38; 704 (+2) **მანანა შაფაქიძე** – 34; 748 (+2) **სალომე დევიძე** – 28; 916 (+2) **სოფიო მელიქიშვილი** – 16.

ვაჟები: 528. **ირაკლი ლაბაძე** – 96 ქულა; 920. **ლაზარე კუხალაშვილი** – 24; 1115. **ლადო ჩიხლაძე** – 12; 1220. **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 8; 1326. **ნოდარ ითონიშვილი** – 6; 1566. **ბექა ბუჩუკური** – 2; 1659. **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოკეი

# ბაკურიანში სომხები გვეწვევიან

ყინულის ჰოკეის სეზონი ნელ-ნელა ხურდება. თებერვალში ბაკურიანში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. ამასთან, როგორც გაირკვა, თებერვალშივე ბაკურიანს სომეხი ჰოკეისტები ეწვევიან და მათთან ერთად, ერთობლივი შეკრება ჩატარდება.

შეკრება უკვე დაიწყო პატარა ჰოკეისტებისთვის. ისინი ბაკურიანში 7 იანვრიდან ვარჯიშობენ. ზამთრის კურორტზე ნორმალური საწვრთნელი პირობებია. ღია ყინულის მოედანი კარგ მდგომარეობაშია. როგორც იცით, ეს საქართველოს ერთადერთი სტანდარტული მოედანია და მისი გამოყენება მხოლოდ ზამთარშია შესაძლებელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სუმო

# მოგება და წაგება ერთი ილეთით

გუშინ, იანვრის ბაშოზე ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა 21 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, ხოლო გამოცდილმა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** პირველი მარცხი იწვნია. კოკაის მეტოქე მე-3 მაეგაშირა **გოეიდო** იყო. ქართველი დოჰიოს ცენტრში დაეცა, მას შემდეგ, რაც იაპონელმა მარჯვენა მხრიდან ჰკრა ხელი. კოკაის 1-1 ბალანსი აქვს. დღეს მის წინააღმდეგ იაპონელ გულშემატკივართა საყვარელი რიკიში **ტაკამისაკარი** დადგება. შარშან ისინი ოთხჯერ დაეჭიდნენ ერთმანეთს, ერთხელ ქართველმა იმარჯვა, სამჯერ – იაპონელმა. ტაკამისაკარის იანვრის ბაშოზე ჯერჯერობით მოგება არ აქვს.

ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი ლევან გორგაძეა. გუშინ ის მე-13 მაეგაშირა **კორიუს** ხვდებოდა, ქართველმა მარცხენა მხრიდან შეუტია მეტოქეს და ძირს დასცა. ტოჩინოშინმა ზუსტად ის ილეთი გამოიყენა, რომლითაც კოკაი დაამარცხეს – ცუკიოტოში. ტოჩინოშინს 2-0 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე 29 წლის მონღოლი **ტოკიტენკუა**. ყოფილ კომუსუბის ჩვენებური ერთხელ უკვე შეხვდა და აჯობა. დღეისათვის ტოკიტენკუ მე-10 მაეგაშირაა.

ბაშოზე წარმატებით იჭიდავა ორივე დიდმა ჩემპიონმა - **ჰაკუჰომ** თანამემამულე **კიოკუტენჰო** დაამარცხა, ხოლო **ასაშორიუმ კოტოშოგიკუს** მოუგო. 5 ოძეკიდან სამმა ბრწყინვალედ დაიწყო ბაშო (**კოტოოშუ, ჩიოტაიკაი, კაიო**), ორს კი ჯერ მოგება არა აქვს (**ჰარუმაფუჯი, კოტომიცუკი**). სხვა მხრივ, ჯერ ადრეა სავარაუდო ლიდერებზე საუბარი.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) ზედიზედ ორი დღე ისვენებს, მას 1-0 ბალანსი აქვს. გაგამარუ აღმოსავლეთის მე-13 მაკუშიტაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი). 11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 4)-გოეიდო (მ 3) 0:1 (ცუკიოტოში); ტოჩინოშინი (მ 11)-კორიუ (მ 13) 1:0 (ცუკიოტოში); ასაშორიუ (ი)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0; ჰაკუჰო (ი)-კიოკუტენჰო (მ 1) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ტოიონოშიმა (კ) 1:0; კოტოოშუ (ო)-კისენოსატო (კ) 1:0; კაიო (ო)-ამინიშიკი (ს) 1:0; მიაბიამა (მ 2)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0; ტაკეკაძე (მ 3)-კოტომიცუკი (ო) 1:0; ბარუტო (ს)-იოშიკაძე (მ 2) 1:0; ფუტენო (მ 5)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; არანი (მ 6)-ტაკამისაკარი (მ 5) 1:0.**

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 5); ტოჩინოშინი (მ 11)-ტოკიტენკუ (მ 10).**

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი, გაზეთ „ლელოს" უფროსი თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი

**ჯიმშერ (ჯიმი) ენუქიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

*პანაშვიდი: 13, 14 იანვარს, 17 საათზე; გამოსვენება 15 იანვარს 14 საათზე. მისამართი: ყაზბეგის ქ. 19 (ვერაზე).*

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ასოციაციის წევრის, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის

**ჯიმშერ (ჯიმი) ენუქიძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**კლივლენდი–ფინიქსი 103:109**

25:31, 28:28, 20:25, 30:25

კ: ტორნტონი (23+8 მოხსნა), კემბი (18+18 მოხსნა), მ. კოლინზი (15+7 პასი+3 ჩაჭრა), ე. გორდონი (14+6 პასი), ფ. ჯონსი (13+10 პასი), სკინერი (11+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება).
ფ: სტაუდმაიერი (26+7 მოხსნა), პილი (21), ჯ. რიჩარდსონი (21), შ. ო'ნილი (15+10 მოხსნა), ნეში (14+12 პასი), ბარბოზა (10).

**ტორონტო–ბოსტონი 88:94**

20:32, 21:22, 14:19, 33:21

ტ: ბარნიანი (17+9 მოხსნა), მუნი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), ბოში (15+11 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. გრემი (12+8 მოხსნა), კაპონო (12).
ბ: რ. ალენი (36), რონდო (14+11 პასი), პირსი (11+6 პასი), გარნეტი (10+11 მოხსნა), გ. დევისი (6+11 მოხსნა).

**საკრამენტო–დალასი 102:95**

29:27, 20:28, 28:23, 25:17

ს: მარტინი (21), გარსია (17), უდრიხი (16+6 პასი), ბ. მილერი (13+7 მოხსნა), სალმონსი (13), ტომპსონი (12).
დ: ტერი (33), ნოვიცკი (15+8 მოხსნა).

**ატლანტა–ფილადელფია 94:109**

30:30, 22:29, 26:24, 16:26

ა: ჯო ჯონსონი (25+9 პასი), ბიბი (22+8 პასი), ჯო სმიტი (13), მ. უილიამსი (12), მ. ევანსი (10).
ფ: იგუოდალა (27+9 პასი), ტ. იანგი (22+9 მოხსნა), ა. მილერი (19+7 პასი+3 ჩაჭრა), სპეიტსი (12+8 მოხსნა), ლ. უილიამსი (11+6 პასი).

**სან ანტონიო–ორლანდო 98:105**

28:32, 22:23, 22:19, 26:31

ს-ა: ტ. პარკერი (31+6 პასი), დანკანი (18+10 მოხსნა+3 დაფარება), ჯინობილი (18), ფინლი (10).
ო: დ. ჰოვარდი (24+14 მოხსნა), ჯ. ნელსონი (22), თურქოგლუ (21), ლუისი (15).

**გ. სტეიტი–ინდიანა 120:117**

23:32, 32:29, 31:24, 34:32

გ-ს: კროუფორდი (32), აზუბუიკე (21+8 მოხსნა), ბელინელი (17), მაგეტი (14+7 მოხსნა), ბიედრინსი (11+9 მოხსნა+3 დაფარება), უოტსონი (11).
ი: გრეინჯერი (42+7 მოხსნა), ფორდი (15+6 პასი), ჯეკი (12+6 პასი), ს. გრეჰი (11), დანლივი (10), ფოსტერი (6+12 მოხსნა).

**ლეიკერსი–მაიამი 108:105**

26:21, 24:30, 27:22, 31:32

ლ: ბინუმი (24), ბრაიანტი (19+7 პასი), რადმანოვიჩი (18+7 მოხსნა), პ. გასოლი (14+18 მოხსნა), ფიშერი (13+11 პასი+3 ჩაჭრა), ვუიაჩიჩი (10).
მ: უეიდი (27+9 პასი), ბიზლი (23), დ. კუკი (17), მერიონი (12+8 მოხსნა), ქუინი (12+7 პასი).

# სერ ჩარლზი ეთერიდან მოხსნეს



ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდა **ჩარლ ბარკლი** მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო პოლიციაში მოხვდა. პოლიციამ მის სისხლში ალკოჰოლის დაშვებულზე ორჯერ მეტი დოზა აღმოაჩინა. აუცილებელი პროცედურული ნორმების გავლის შემდეგ, ბარკლი შინ გაუშვეს. კალათბურთელმა დანაშაული აღიარა და საჯაროდ ბოდიშიც მოიხადა.

თუმცა კანონის დარღვევამ "სერ ჩარლზს" პირველი პრობლემა უკვე შეუქმნა. ბარკლი ამერიკულ ტელეარხ Turner Sports-ის ანალიტიკოსად მუშაობს და ახლა არხის ხელმძღვანელობამ გარკვეული პერიოდი ეთერში გასვლა აუკრძალა.

*"ჩემთან საუბარში ჩარლზმა დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ კარგად ესმის შექმნილი სიტუაციის მთელი სიმძიმე. ახლა მის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დგება, რადგან ბარკლის როგორც იურიდიულ, ასევე პირად პრობლემებთან შეჭიდება მოუწევს. ჩვენის მხრივ შემიძლია განვაცხადო, რომ მას ძალიან დიდ პატივს ვცემთ და დაინტერესებული ვართ მისი კეთილდღეობით"*, - ამბობს Turner Sports-ის პრეზიდენტი **დევიდ ლევი**.

## რაგბი

# კარტერმა ტრავმა მიიღო



ახალი ზელანდიის ნაკრებისა და საფრანგეთის "პერპინიანის" მორაგბე **დენ კარტერი** ტრავმირებულია და მან შეიძლება 17 იანვარს, "ოსპრეისის" წინააღმდეგ ჰაინეკენის თასის ჯგუფური ეტაპის მატჩში ვერ მიიღოს მონაწილეობა. კარტერმა აქილევსის მყესი საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაიზიანა, როცა "პერპინიანმა" 40:14 დაამარცხა "ბურგუანი". იმ შეხვედრაში დენმა პირველი ტაიმის შემდეგ დატოვა მოედანი. ახლა ზელანდიელის ტრავმის ხარისხს სამედიცინო შემოწმება დაადგენს.

*"მატჩის დაწყებიდან 30 წუთის შემდეგ ტკივილი გამიძლიერდა და გავიფიქრე, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება მოედნის დატოვება იქნებოდა. გულდაწყვეტილი ვარ, რადგან გუნდი შესანიშნავად თამაშობდა და მინდოდა ბოლომდე დავრჩენილიყავი მოედანზე. ახლა ტესტებს ჩავიტარებ და იქ გადაწყდება, გამოვტოვებ თუ არა უახლოეს ვარჯიშებსა და მატჩებს"*, - განუცხადა კარტერმა გაზეთ "ეკიპს".

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

### ადელბოდენი (შვეიცარია)

**გიგანტური სლალომი. კაცები**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 2:24.95 (1:12.33+1:12.62); 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტა) - 2:25.19 (1:12.53+1:12.66); 3. ჩეტილ იანსრუდი (ნორ) - 2:25.67 (1:14.19+1:11.48); 4. სანდრო ვილეტა (შვეიც) - 2:25.87 (1:14.76+1:11.11); 5. სიპრიენ რიშარი (საფ) - 2:26.05 (1:13.67+1:12.38); 6. მარკ ბერტო (შვეიც) - 2:26.25 (1:13.79+1:12.46).

**სლალომი. კაცები**

1. რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) - 1:42.95 (50.12+52.83); 2. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) - 1:43.13 (49.14+53.99); 3. ალექს ნოიროიტერი (გერ) -1:43.27 (50.37+52.90); 4. ანდრე მიურერი (შვედ) - (50.43+52.86); 5. მანფრედ მოელგი (იტა) - 1:43.33 (49.91+53.42); 6. მარსელი ჰირხერი (ავსტრია) - 1:43.51 (49.79+53.72).

**საერთო ჩათვლა**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 557; 2. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) - 507; 3. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) - 470; 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 429; 5. დიდიე კუში (შვეიც) - 403; 6. დანიელ ალბრეხტი (შვეიც) - 367.

### მარიბორი (სლოვენია)

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. ტინა მაზე (სლოვენ) - 2:45.15 (1:21.75+1:23.40); 2. დენიზე კარბონი (იტა) - 2:45.54 (1:21.66+1:23.88); 3. კატრინ ჰოლცლი (გერ) - 2:46.07 (1:21.93+1:24.14); 4. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 2:46.35 (1:21.96+1:24.39); 5. მანუელა მოელგი (იტა) - 2:46.37 (1:21.89+1:24.48); 6. ლარა გუტი (შვეიც) - 2:46.62 (1:22.73+1:23.89).

**სლალომი. ქალები**

1. მარია რიში (გერ) - 1:29.64 (44.78+44.86); 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 1:30.79 (46.07+44.72); 3. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 1:31.41 (46.08+45.33); 4. ანია პერსონი (შვედ) - 1:31.68 (46.33+45.35); 4. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:31.68 (47.25+44.43); 6. ფრიდა ჰანსდოტერი (შვედ) - 1:31.86 (46.61+45.25).

**საერთო ჩათვლა**

1. მარია რიში (გერ) - 729; 2. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 644; 3. ლინდსი ვონი (აშშ) - 616; 4. . კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 571; 5. ანია პერსონი (შვედ) - 542; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) - 404.

## ავტოსპორტი. დაკარი 2009

### VIII ეტაპი

**ვალპარაისო–ლა სერენა. 419 კმ**

**ავტომობილები**

1. საინსი (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 03:47.19; 2. დეპინგი (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +04.02; 3. მილერი (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +04.12; 4. რომა (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +04.15; 5. დე ვილიერსი (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +10.48.

**მოტოციკლები**

1. დესპრე (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - 4:07.39; 2. კომა (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1.49; 3. ლოპესი (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - +2.56; 4. დუკლო (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +12.39; 5. ვილადომსი (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +13.12; 6. ფრეტინი (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +15.46.

### საერთო ჩათვლა

**ავტომობილები**

1. საინსი (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 27:29.59; 2. დე ვილიერსი (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +10.57; 3. მილერი (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +18.05; 4. რომა (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +33.31; 5. გორდონი (აშშ, HUMMER H3) - +1:08.21; 6. ჰოლოვჩიკი (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +2:39.32.

**მოტოციკლები**

1. კომა (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 30:33 15; 2. ფრეტინი (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +1.06:28; 3. დესპრე (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:33.34; 4. სტრიტი (აშშ, KTM 690) - +1:39.07; 5. ულევალსეტერი (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +1:42.24; 6. ვილადომსი (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1:55.42.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი–ნიუ ჯერსი 4:3**

2:1, 0:1, 2:1

გოლები: 0:1 ჰოლიკი-2 (ვანდოლფო-5, მოტო-8), 1:1 რაიანი-12 (ბ. მორისონი-9, ებეტი-5), 2:1 პალსონი-5 (ტოენი-7, რ. ნიდერმაიერი-4), 2:2 კლარკსონი-8 (როლსტონი-3, ზუბრუსი-16), 3:2 კუნიტცი-10 (პერი-25, ს. ნიდერმაიერი-20), 4:2 კუნიტცი-11 (მეტცლაფი-35, პერი-26), 4:3 პარიზე-24 (ლანგენბრუნერი-22, ჯონსტა-26).

**ედმონტონი–სენტ ლუისი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 ი. მჩასტნი-3 (მაკლემანი-9, პოლაკი-10), 1:1 ბრული-1 (პოტულნი-1, სემ განიე-12), 2:1 სემ განიე-4 (ე. კოული-9, პოტულნი-2).

**ჩიკაგო–ნეშვილი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ბიფულინი-9 (სიბრუკი-8, კეინი-19), 1:1 ერატი-11 (ტუტუ-4, ლეგვანდი-13), 2:1 ბოლანდი-8 (ლედი-18, ჰავლატი-22), 3:1 ჰავლატი-12 (კეინი-20).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| დუისბურგი-სტ. ტრუიდენი | გადაიდო |
| ალკმაარი-აპელდოორნი | 3:3 |
| ალ ვეჰდა-ბაიერნი | 1:3 |
| ომონია-ალემანია | 0:8 |
| კაიზერი-სტ. პაული | 4:2 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| მილტონი-კოლჩესტერი | 1:1 |
| ოლდჰემი-ჰარტლპული | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პიზა-რიმინი | 1:3 |
| **სერია C1/A** | |
| ლეკო-პროპატრია | გადაიდო |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პიერიკოსი-აგროტიკოსი | 1:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| შივასი-დენიზლი | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| აპეპ-ეთნიკოსი | 2:2 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| მოდო-ტიმრა | 2:1 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 5:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| კუერი-კინგ ტურნერი | 6:4, 7:5 |
| ფერერო-ნიშიკორი | 5:3 უარი |
| ჯინეპრი-სტეტჰემი | 6:2, 6:3 |
| ტროიცკი-კუნიცინი | 6:1, 6:2 |
| **ATP. სიდნეი** | |
| რობრედო-მელცერი | 6:3, 6:4 |
| ბოლელი-სტარაჩე | 7:6, 6:4 |
| ლოდრა-გრემელმაირი | 6:0, 6:2 |
| ნიემინენი-ლოპესი | 6:2, 7:6 |
| ანჩიჩი-მალისე | 4:6. 7:6, 6:3 |
| ანდრეევი-დანჩევიჩი | 7:6, 6:3 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პავლიუჩენკოვა-როგოვსკა | 6:3, 6:1 |
| უ. რადვანსკა-ვოზნიაკი | 3:6, 7:6, 7:5 |
| რაზანო-კამერინი | 6:1, 6:2 |
| ჩინკი-გარბინი | 6:2, 1:6, 7:5 |
| გოვორცოვა-მური | 6:0, 6:3 |
| ჟენგი-ერაკოვიჩი | 6:1, 4:6, 6:1 |
| სანტანჯელო-ვაიდიშოვა | 6:1, 6:1 |
| კეოტავონგი-შავაი | 6:3, 7:5 |
| სუარეს ნავარო-ჩაკვეტაძე | 7:6, 1,6, 7:5 |
| დულკო-ფოგელი | 6:2, 6:3 |
| პენეტა-პეერი | 6:2, 7:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ვოზნიაჩკი-ციბულკოვა | 6:1, 6:2 |
| კანეპი-კერბერი | 6:1, 7:5 |
| კლეიბანოვა-კირილენკო | 6:2, 6:2 |
| კორნე-პეტროვა | 6:2, 6:4 |
| გაიდოშოვა-აზარენკა | 6:4, 6:2 |
| საუთი-ბარტოლი | 1:1 უარი |
| დემენტიევა-მაკაროვა | 7:5, 6:1 |
| დუშევინა-სტარი | 6:0, 6:1 |
| სუგიამა-კრეიბასი | 6:2, 6:3 |
| ერანი-დელაკუა | 6:1, 6:2 |
| საფინა-კირსტეა | 6:2, 6:1 |
| მ. გარიგესი-ზვონარევა | 6:1, 3:6, 6:3 |
| ჰანტუხოვა-ზაკოპალოვა | 6:3, 6:0 |

## TV სპორტი

### 13 იანვარი. სამშაბათი

**HTB-პლიუსი (ფეხბურთი)**

07:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
09:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 ესპანეთის ჩემპიონატი.
23:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი.
01:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:00 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული.
06:50 ესპანეთის ჩემპიონატი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
10:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-მონრეალი.
12:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი.
14:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია.
17:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ჟილ სიმონი. შანხაი. ჩინეთი.
20:20 კალათბურთი.
20:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
21:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული.
23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. პსჟ-ლანსი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. ნიცა-ჰავრი.
03:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ნეშვილი (LIVE).
07:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

11:30 რალი-რეიდი. დაკარი. IX ეტაპი.
12:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ობერჰოფი. გერმანია.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
15:00 რალი-რეიდი. დაკარი. IX ეტაპი.
15:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. II დღე. ლონდონი.
15:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. III დღე. ლონდონი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. კრისტიანო რონალდო.
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 რალი-რეიდი. დაკარი. X ეტაპი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ანთალია. თურქეთი (LIVE).
01:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. III დღე. ლონდონი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. X ეტაპი (LIVE).
02:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. III დღე. ლონდონი.
03:15 ფეხბურთი. კრისტიანო რონალდო.
03:45 რალი-რეიდი. დაკარი. X ეტაპი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვილერბანი (საფრანგეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. კანადა-შვედეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
18:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მარუსი (საბერძნეთი)-ზადარი (ხორვატია).
19:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბენეტონი (იტალია) (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-გრან კანარია (ესპანეთი).
00:45 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბენეტონი (იტალია).
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1

# ესეც ახალი ფერარი



ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე პირველი გუნდი, რომელმაც ახალი ბოლიდის პრეზენტაცია გამართა, კონსტრუქტორთა თასის მოქმედი მფლობელი "ფერარი" გახდა. უამინდობის გამო, ცერემონია ფიორანოდან გუნდის კუთვნილ მეორე ტრასაზე - მუჯელოზე გადაიტანეს და ახალი მანქანა ჟურნალისტებს წარუდგინეს.

ახალი "ფერარის" სახელია - F60. ეს რიცხვი იტალიური გუნდის ფორმულა 1-ში მოღვაწეობის 60-წლიან იუბილეს აღნიშნავს.

*"მანქანის სახელწოდებით ფორმულა 1-ის ისტორიის ასახვა გადავწყვიტეთ და ის ფაქტიც დავაფიქსირეთ, რომ "ფერარი" ყოველთვის იყო წარმოდგენილი ყველაზე პრესტიჟულ ჩემპიონატში"*, - განაცხადა "სკუდერიას" სპორტულმა დირექტორმა **სტეფანო დომენიკალიმ**.

მანქანის გარეგნული იერი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აეროდინამიკის სფეროში დანესებული რადიკალური ცვლილებებით არის ნაკარნახევი - "ფერარიმ" პირველმა წარმოადგინა წინა ფართო და უკანა ვიწრო ანტიფრთის საკუთარი ვერსია, თუმცა პირველი რბოლისთვის მანქანამ, შესაძლოა, ოდნავ იცვალოს სახე - გუნდის ინჟინრები მელბურნის ეტაპამდე კიდევ უფრო მიმზიდველს გახდიან.

საინტერესოდ გამოიყურება მანქანის უკანა ნაწილი (იქ, სადაც ძრავაა მოთავსებული), რომელსაც ჟურნალისტებმა "ბოთლის ყელი უწოდეს", თუმცა ეს ყველაფერი საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება.

F60 აღჭურვილია კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემით (KERS), რომელიც Magneti Marelli-ის ინჟინრებთან ერთად არის შემუშავებული. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, გამოიყენებს თუ არა "ფერარი" KERS-ს სეზონის პირველ რბოლებში. ბოლიდზე დამონტაჟებულია დამუხრუჭების ახალი სისტემა (Brembo-ს მიერ წარმოდგენილი) და გადაცემათა გრძივი კოლოფი, რომელიც ფიბროკარბონის მჩატე კორპუსშია მოთავსებული, რაც მანქანის ოპტიმალურ წონას ინარჩუნებს.

პრეზენტაციაზე F60-ის პროექტზე მუშაობის შესახებ "ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა **ალდო კოსტამ** ისაუბრა:

*"თქვენ თავად ხედავთ, რომ F60 არ არის შარშანდელი მანქანის გაუმჯობესებული ვერსია, არამედ სრულიად ახალი ქმნილებაა. ჩვენ მისი წარმოება სუფთა ფურცლიდან დავიწყეთ, ხოლო ასეთი სერიოზული ცვლილებები აეროდინამიკისა და KERS-ის გამოყენების შესახებ ახალი რეგლამენტის გამო განხორციელდა.*

*რეგლამენტში რადიკალურმა ცვლილებებმა გვაიძულა საკმაოდ ადრე დაგვეწყო პროექტზე მუშაობა და დღეს მოხარულები ვართ, რომ თქვენ წინაშე წარმოვადგინეთ ინტენსიური და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი".*

ცერემონიას ესწრებოდნენ გუნდის ძირითადი პილოტები - **ფელიპე მასა** და **კიმი რაიკონენი** და ორი ტესტ-პილოტი - **მარკ ჟენე** და **ლუკა ბადოერი**.

*"ვგრძნობ, რომ ყოველ წელს უფრო ძლიერი პილოტი ვხდები. ექვსი წლის განმავლობაში დიდი გამოცდილება შევიძინე, განსაკუთრებით ეს ბოლო სეზონზე ითქმის, როცა ტიტულისთვის უმძიმესი ბრძოლა გადავიტანე. ამან ახალი სეზონისთვის უკეთ მომზადებაში შემიწყო ხელი.*

*არ ვიცი, ვისგან უნდა ელოდოს საფრთხეს "ფერარი", მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კონკურენტუნარიანი იქნებიან "მაკლარენის" პილოტები, შეიძლება იგივე ვთქვათ BMW-ზეც. ეს გუნდი ძალიან ბევრს მუშაობს და ყოველ სეზონში უმატებს. აუცილებლად უნდა ვახსენოთ "რენო"... არ გამოვრიცხავ, რომელიმე სხვა გუნდმაც შემოგვთავაზოს სიურპრიზი. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ვმუშაობთ და იმედი გვაქვს, დასახულ მიზანს მივაღწევთ.*

*გაოცებული დავრჩი, რადგან ველოდი, რომ F60 დიდი მანქანა იქნებოდა და ის 10 წლის წინანდელ ბოლიდს დაემსგავსებოდა. მაგრამ ის პატარაცაა და კომპაქტურიც, განსაკუთრებით მისი უკანა ნაწილი. ძალიან ლამაზად გამოიყურება და იმედია, სწრაფიც იქნება"*, - განაცხადა ფელიპე მასამ.

კიმი რაიკონენი: *"გასულ წელს ყველაფერი ისე ვერ იყო, როგორც მინდოდა, მაგრამ ეს წარუმატებლობები წარსულს ჩაბარდა - ახალი სეზონი ახალ იმედებს გვისახავს. ახლა რთულია F60-ის კონკურენტუნარიანობაზე მსჯელობა, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ კარგი მანქანა შევქმენით და რამდენიმე კვირაში შეგვეძლება მეტოქეთა შედეგებთან პარალელების გავლება. დღეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადავდგით, წინ სერიოზული სამუშაო გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ ჩემპიონატის მოსაგებად.*

*რეგლამენტში ცვლილებების გამო, F60 თავის წინამორბედებისგან განსხვავებულია, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ჩვენ შევეჩვევით მის გარეგნულ იერს. ის სულ სხვა არის, მაგრამ უკვე მომწონს და მოუთმენლად ველი პირველი ტესტის შედეგებს".*

ცერემონიის დასრულების შემდეგ, F60 ტრასაზე გაიყვანეს. საჭეს ფელიპე მასა მიუჯდა. ბრაზილიელმა საინსტალაციო წრე გაიარა, ბოქსებში დაბრუნდა და 20 წუთის შემდეგ, ისევ ტრასაზე აღმოჩნდა.

*"ბედნიერი და აღელვებული ვარ იმით, რომ პირველი მე დავჯექი ახალი მანქანის საჭესთან"*, - განაცხადა მასამ მეორე წრის შემდეგ.

ახალი სეზონის დაწყებამდე "ფერარი" პორტიმაოში, ბაჰრეინში, ხერესსა და ბარსელონაში ხუთ სატესტო სერიას გაივლის.









ცურვა

# ფელპსი ჩინეთში დაბრუნდა

ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** ჩინეთში დაბრუნდა, სადაც "წყლის კუბში" რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება აქვს დაგეგმილი. ეს ის არენაა, რომელშიც ლეგენდარულმა სპორტსმენმა პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს რვა მედალი მოიგო.

მაგრამ ფელპსის ჩინეთში მოგზაურობის მთავარი მიზანი ავტოკონცერნ "მაზდას" სარეკლამო კლიპში მონაწილეობაა. ჩინური პრესის ინფორმაციით, მაიკლი ამ აქციის სანაცვლოდ მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს, რაც უცხოელებისთვის სარეკლამო კონტრაქტების რეკორდული მაჩვენებელია.

*"ჩინეთში დაბრუნება ძალიან გამიხარდა. პეკინთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. ახლა გადაღებებში მივიღებ მონაწილეობას, "წყლის კუბში" ვივარჯიშებ და ჩემს ქვეყანაში გავფრინდები. დროა, მომავალი ოლიმპიადისთვის დავიწყო მზადება"*, - ამბობს 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი.

*"დარწმუნებული ვართ, რომ ფელპსი წარმატებას მოგვიტანს. ჩინეთში მისი პოპულარობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება"*, - აცხადებს "მაზდას" ოფიციალური წარმომადგენელი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ფეხბურთი

# BECK STREET BOYS



